# არსენალი

„ქვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. №6. იანვარი. 2005. ფასი 1,5 ლარი



რას მოგვიტანს მინისტრების „კარუსელი"

როგორ მიითვისა რუსეთის იმპერიამ ქართული ხმლის საიდუმლო

1425
2005

…ლოში გავრცელებული სანადირო ცხოველები

შპიონაჟის უდიდესი მუზეუმი

შეტევაზეა "გენერალი აბრამსი"

გერმანული დოგი — აპოლონი ძაღლების სამყაროში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართველი, რომელმაც ამერიკელებს თვითმფრინავების აგება (ასწავლა)

18



„ფორდის“ მრისხანე „მკვლევარი“

50



როგორ იღებენ მოხალისეებს საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში (ტესტები)

44

კორიდა

ესპანური ტრადიციების თანამედროვე ვარიანტი

30





აღარ არის საჭირო მეთაურისთვის ცოლის გაცნობა...

6



გერმანული დოგი — აპოლონი ძაღლების სამყაროში

34

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


პერსპექტივა

4 თავდაცვის მინისტრების „კარუსელი"

ახალი ამბები

6 მოკლედ სიახლეების შესახებ

გადაწყვეტილება

8 „მერწმუნეთ, რომ კბილებით დავიცავ ამ ჯარისკაცებს"

საგამოფენო დარბაზი

10 შპიონაჟის უდიდესი მუზეუმი

სპეცსამსახურები

13 რა მიზნებს ისახავს ეკონომიკური შპიონაჟი

სატკივარი

16 ვინ ზრუნავს აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგული მეომრების ბედზე?

ქართველი კონსტრუქტორები

18 ქართველი, რომელმაც ამერიკელებს თვითმფრინავების აგება ასწავლა

ავღანური დღიურები

20 დუსტი საგზლის მაგიერ

ნადირობის მოყვარულთათვის

22 საქართველოში გავრცელებული სანადირო ცხოველები

24 მონადირის მცნებები

24 ტყეში რომ არ დავიკარგოთ

იარაღი

25 ყველაზე ძვირი, ყველაზე ძლიერი, ყველაზე მძიმე „გენერალი აბრამსი"

ცხოვრების წესი

30 კორიდა

კონსულტაცია

33 კვალიფიციური რჩევები

კომპანიონი

34 გერმანული დოგი — აპოლონი ძაღლების სამყაროში

32 დოგი ძნელადაღსაზრდელი ბავშვივითაა

32 სამი დღე კეთილი დოგის ტყვეობაში

საქართველოს ისტორია

38 ქართული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან

მეზობელთა ჯარისათ

41 ცუდას რად უნდა მტერობა, ანუ როგორ მიითვისეს ერთმორწმუნე რუსებმა ქართული ხმალი

სტატიის კვალდაკვალ

44 როგორ იღებენ მოხალისეებს საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში (ტესტები)

45 სამხედრო ლექსიკონი

კროსვორდი

47 არსენალვორდი

ადამიანის მეგობრები

48 სავიტრინო ცხოველები

სუპერმობილი

50 „ფორდის" მრისხანე „მკვლევარი"

„არსენალის" იარაღის მაღაზია

55 USP უნივერსალური თვითდამტენი... სპეციალურად „ზღვის ლომებისთვის"


# რედაქტორის სვეტი

წლის უკანასკნელი კვირები ისე უხვად იყო „დახუნძლული" სამხედრო სფეროში განვითარებული მოვლენებით, რომ ვეჭვობთ, საახალწლო სუფრაზე მოჭარბებული ტკბილეულივით მოგაბეზრათ თავი. ამიტომ იანვრის ნომერი სამხედრო სფეროს შედარებით გასართობ და შემეცნებით თემებზე ავაგეთ.

გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და მოგილოცოთ ახალი, 2005 წელი. გისურვოთ ჯანმრთელობა, ბედნიერება და ჯანსაღი საბრძოლო განწყობა, რომელიც არა მარტო სამხედრო საქმეში, არამედ ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც აუცილებლად გამოგადგებათ. ვიმედოვნებთ, რომ 2005 წელსაც ჩვენი ერთგული მკითხველები იქნებით და ჩვენც ყველანაირად ვეცდებით, იმედები არ გაგიმტყუნოთ.

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ჟორჟოლიანი*

**ყურადღება!**
სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.
ტელ: 42-43-40

ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში


გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება
რედაქციის მისამართია:
თბილისი, აკურის ქუჩა №8.
(სპორტის სასახლის უკან)
ტელ: 42-43-46
ფაქსი: 98-74-44
email:
arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავდაცვის მინისტრების „კარუსელი“





## 2004 წელი საქართველოს სამხედრო ძალებისთვის გრანდიოზულ ექსპერიმენტად იქცა





**გასული 2004 წელი ქართულმა არმიამ დავით თევზაძის ხელმძღვანელობით დაიწყო და ირაკლი ოქრუაშვილით დაამთავრა, მათ შორის კი გელა ბეჟუაშვილი და გიორგი ბარამიძე იყვნენ.**

შეიძლება თევზაძის გათავისუფლება თავდაცვის მინისტრის პოსტიდან ბევრს არ გაჰკვირვებია, მაგრამ ბეჟუაშვილის, ბარამიძისა და ოქრუაშვილის ასე მალ-მალე ჩანაცვლება დიდ გაოცებასა და ცოტა გაურკვევლობას იწვევს.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ თითოეული მინისტრისა და მისი გუნდის ჩანაცვლება ახლით, იწვევდა ათასნაირ საკადრო პრობლემას, რომლის დროსაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის (გენერალური შტაბის უფროსის ცვალებადობაც არ იყო უცხო გასული წლისთვის) შრომისუნარიანობა ძალზე ეცემოდა.

ამის არცთუ დადებითი შედეგი გარკვეულწილად ცხინვალში აგვისტოს ბრძოლების დროსაც მოვიმკეთ — თავდაცვის სამინისტროსა და გენერალურ შტაბში ოპერატიული მართვის პროცესი საკმაოდ დარღვეული აღმოჩნდა, რასაც ჩინოვნიკთა ბიუროკრატიზმი და გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უუნარობა დაემატა, რის გამოც არ გვაკლდა პრობლემები როგორც სამხედრო დანაყოფების უზრუნველყოფაში (ღამის ხედვის მოწყობილობებით, ჯავშანჟილეტებით, დახურული რადიოკავშირის საშუალებებით და ა.შ.), ისე მათთვის გასაგებად საბრძოლო დავალების დასმაში.

გასული წლის განმავლობაში ვერა და ვერ გაიმიჯნა ბოლომდე თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ფუნქციები. სამწუხაროდ, მაინც შეიმჩნეოდა ერთმანეთის საქმეში ჩარევის დიდი სურვილი.

გაურკვეველი სიტუაცია შეიქმნა შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარებში შსს-ს შინაგანი ჯარების შერწყმასთან დაკავშირებით — ერთმანეთს დაეჯახა შინაგანი ჯარების სარდლობისა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელობის ინტერესები.

შერწყმის ეს პროცესი გარკვეულწილად შენელდა და მას უფრო დიდმა სტრუქტურულმა ცვლილებამ გადაუსწრო წინ — შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების ბაზაზე ერთიანი, პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს შექმნა ძალიან გაბედულ ექსპერიმენტად მოჩანს, რომლის პირველ შედეგებს, ეტყობა, ახალი, 2005 წლის შუა პერიოდისთვის მოვიმკით.

ჯერჯერობით ძალიან ძნელია იმის გაბედულად მტკიცება, რამდენად კარგი ან ცუდი იქნება მეტამორფოზები ძალოვან სტრუქტურებთან დაკავშირებით, მაგრამ ერთი რამის თქმა ახლაც შეიძლება — შსს-სა და უშიშროების სამინისტროებს ფუნქციონირება ძველი სახით აღარ უნდა გაეგრძელებინათ, რადგან შიდაუწყებრივი რეფორმები ამ საბჭოთა დროინდელ „მონსტრებს“ ვერაფერს დააკლებდა.

ახალი ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, რომ ქართული არმიის და იქ მომსახურე ჯარისკაცების, ზემდეგებისა და ოფიცრების იმიჯი აამაღლოს საზოგადოების თვალში. ამას მხოლოდ მივესალმებით, მაგრამ ხელისუფლების წარმოებულ ამ „პიარკამპანიას“ ხანდახან გამოერევა ჯარის რეალური მძიმე ცხოვრების ნიუანსები, როგორიცაა სამხედრო მოსამსახურეთა მოწამვლა უხარისხო სასმელი წყლით ვაზიანში, ჯარისკაცების მიერ სამხედრო ნაწილების მასობრივი დატოვება როგორც ვაზიანში, ისევე მუხროვანში.

ყველაფრის მარტო იმით გამართლება,

პარლამენტის ბიბლიოთეკა







რომ ჯარისკაცებს მასობრივი დაუმორჩილებლობისკენ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მსტოვრები აქეზებენ, ჯარში არსებული პრობლემების მიჩქმალვა და სირაქლემის პოზიციის დაჭერა იქნებოდა.

განვლილ 12 წელთან შედარებით, მარტო 2004 წელს ბევრი სასიკეთო გაკეთდა ქართული არმიის გასაძლიერებლად — საბრძოლო ტექნიკისა და საჭურვლის შეძენითა და სამხედრო მოსამსახურეთა კვებისა და ხელფასების თანხების გაზრდით, მაგრამ პრობლემაც ხომ ბევრი რჩება, მათ შორის უვარგისი პროდუქტების შესყიდვა, საწვავის გაზრდილი ფასებით აღება, გაყალბებული საბუთებით ბენზინისა და დიზელის საწვავის მოპარვა სამხედრო ნაწილებიდან და ა.შ.

ასევე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ პრეზიდენტისთვის ასე ზარ-ზეიმით ნაჩვენები გარემონტებული ყაზარმების უმეტესობა ისევ დაკეტილია და იქ ჯარისკაცებს, ვისთვისაც ისინი გარემონტდა, არ უშვებენ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ უშვებენ, სიცივეში ჰყავთ, რადგან ყაზარმების გათბობის პრობლემა ჯერ კიდევ ვერ მოგვარდა. ცალკე საკითხია, რამდენად ხარისხიანად გარემონტდა ეს ყაზარმები...

როგორც ხედავთ, პრობლემები საქართველოს სამხედრო ძალებში ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია და ეს გასაგებიცაა — ერთ წელში ყველაფრის გამოსწორება შეუძლებელია.

ჩანს, რომ საქართველოს ხელისუფლება მართლაც ცდილობს ქართული არმიის რეალურად გაძლიერებას, რომ შეუცდომელი და მით უმეტეს, ხელისუფლებაში არავინაა — მათ უნდა მოისმინონ და გაითვალისწინონ ქართულ არმიასთან დაკავშირებული ყველა კონსტრუქციული კრიტიკა. წინააღმდეგ შემთხვევაში ცხვირაწეული ხელისუფლება მალე თავის წინამორბედს დაემსგავსება, აქედან გამომდინარე, ყველა სავალალო შედეგით.

*საზოგადოებას ამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე ერთი ბუნებრივი კითხვა გაუჩნდა: არსებობს თუ არა ეს ყბადაღებული ახალი ყაზარმები და ნორმალური პირობები საქართველოში, თუ ეს სარეკლამო ტრიუკია და თუ არსებობს, მაშინ ის ხალხი რაღას გაურბის? ჩვენ თავს ვალდებულად ვთვლით, ამის შესახებ საკუთარი აზრი გამოვთქვათ. ეს ყაზარმები მართლაც არსებობს. მაგრამ ლამაზი, ნათელი, ევროსტანდარტის დარბაზების უმეტესობა ჯერ დაუსახლებელია. ამას კი ბევრი მიზეზი აქვს. თავად განსაჯეთ:*

პუნქტი 1. გვაქვს გარემონტებული ყაზარმები, რომლებში ცხოვრებაზეც არავინ იტყვის უარს. მაგრამ ისინი ბოლომდე არ არის დამთავრებული და ფოტოზეც ჩანს, რომ პატარ-პატარა ხარვეზები მოიძებნება. ამის გამო ხელმძღვანელობა ვერ იბარებს ამ ყაზარმებს, რათა მშენებლებისა და შემკეთებლების მიერ დაშვებული წუნი ჯარისკაცებს არ მიეწეროს, რაც შემდეგში დამატებითი ხარჯების გამოყოფას მოითხოვს. ამასთან ერთად, სამწუხაროდ, არის ისეთი პრობლემები, როგორიცაა დაუდევრობა, გაფლანგვა, ხარისხის შეუსაბამობა, ე.წ. „პაკაზუხობა" და ა.შ.

პუნქტი 2. გვყავს ჯარისკაცები, რომლებსაც მთავრობა ნორმალურ ყაზარმებსა და პირობებს შეჰპირდა და ამ დანაპირებით მოხიბლულები თავად მიაწყდნენ გამწვევ პუნქტებს. ესეც რეალობაა, — წლის საშემოდგომო გაწვევა ერთი თვით ადრე დასრულდა, იმიტომ, რომ ყველა ადგილი შეივსო(!). მაგრამ ამ ჯარისკაცებს ხელმძღვანელობა ახალგარემონტებულ ყაზარმებში ვერ უშვებს, იმიტომ, რომ... (იხ. პუნქტი პირველი).

პუნქტი 3. ჯარისკაცები, რომლებიც პრესიდან, ტელევიზიიდან და მთავრობის დაპირებებიდან ყოველდღე ისმენენ, რომ ჯარში ყველაფერი კარგად არის და ძველი, გაუსაძლისი პირობები დავიწყებას მიეცა, გაოგნებული რჩებიან როდესაც ჯერჯერობით მკაცრ რეალობასთან პირისპირ დგებიან... წარმოიდგინეთ, იმას ხომ არ იფიქრებს 18-19 წლის ბიჭი, რომ პრეზიდენტმა, მინისტრმა და საყვარელმა გაზეთმა თუ ტელეარხმა მოატყუა. არადა მან ხელმძღვანელობის პრობლემების შესახებ (კვლავ იხ. პუნქტი პირველი) არაფერი იცის. ამიტომ ყველაფერში უშუალოდ ნაწილის მეთაურს ადანაშაულებს და ცდილობს იქ წავიდეს, სადაც მას პრეზიდენტი, მინისტრი, საყვარელი გაზეთი ან ტელეარხი ეპატიჟებოდა...

პუნქტი 4. სამწუხაროდ, სახეზეა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც არიან ჯარისკაცებიც, არის ახალი ყაზარმაც, რომელშიც ეს ჯარისკაცები ცხოვრობენ. მეტიც, არის ყველა ის საჭირო საშუალება, რომელიც ჯარსა და ჯარისკაცს სჭირდება და ეს საშუალებები ნაწილამდეც მივიდა, მაგრამ ჯარისკაცს ის უბრალოდ არ შეხვდა... (აქ უკვე პირველ პუნქტში ნახსენები პრობლემებიდან თქვენ თვითონ ამოარჩიეთ).

პუნქტი 5. დაბოლოს არის ასეთი სიტუაციაც — ჯარისკაცს შექმნილი აქვს ყველა პირობა, მაგრამ მას უბრალოდ არ სურს სამსახური და ეძებს მიზეზებს იმისთვის, რომ სამშობლოს წინაშე მართლაც რომ რთული ვალდებულებისგან თავი როგორმე დაიძვრინოს...

გაითვალისწინეთ, რომ ეს მხოლოდ აისბერგის მწვერვალია. ქვემოთ თუ ჩავუყვებით, კიდევ მრავალ ბნელ კუნჭულს აღმოვაჩენთ. საზოგადოება დამნაშავეების დასჯას მოითხოვს. ხელისუფლება სასჯელით იმუქრება. ყველაფერი თითქოს სწორია, მაგრამ მოდით ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. ჰქვია კი იმ სამხედროს დეზერტირი, რომელმაც მართალია თვითნებურად დატოვა ნაწილი, მაგრამ შინ, დედიკოსთან კი არა, მეთაურებთან უბრალო საცხოვრებელი პირობების სათხოვნელად მივიდა? თანაც იმ პირობებისა, რომლებზეც მთელი დუნია ლაპარაკობს. თანაც ლაპარაკობს, არა როგორც ნათელ პერსპექტივაზე, არამედ როგორც უკვე შემდგარ ფაქტზე. ადამიანური თვალსაზრისით, ეს ლოგიკას მოკლებულია. რა თქმა უნდა, იმას არ ვამბობთ, რომ ჯარისკაცები არ უნდა დაისაჯონ, ეს გამორიცხულია, იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში მსგავსი ფაქტები კიდევ განმეორდება. მაგრამ უნდა დაისაჯონ ისინიც, ვინც დაუშვა 67 კაცის ნაწილიდან შეუმჩნევლად გაქრობა და მათი ქალაქში არასანქცირებული შემოსვლა. აუცილებლად უნდა დაისაჯონ ის ხელმძღვანელი პირებიც, ვინც ვერ, ან არ უზრუნველყო ეს ჯარისკაცები აუცილებელი პირობებით.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ, რომ ჯარისკაცი ომის პირობებში ყველანაირ სიძნელეს უნდა უძლებდეს. მაგრამ ბევრს ავიწყდება, რომ ომის პერიოდი არ გვიდგას და საერთოდ, ჯარისკაცმა რომ სიძნელეებს გაუძლოს, ჯანმრთელი, მაძღარი, ძლიერი და ნავარჯიშები უნდა იყოს, ოღონდ ნავარჯიშები არა შიმშილისა და ყინვის გაძლებაში. მის მოსამზადებლად ასეთი გამოცდაც აუცილებელია, ოღონდ, ეს აუცილებლად სწავლების ფორმატში უნდა ჯდებოდეს და არა ცხოვრების პირობებში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მორიგი „სათამაშო“ პენტაგონისთვის

პენტაგონმა კომპანია „აი ბი ემ“-ს ახალი სუპერკომპიუტერის შექმნა დაუკვეთა. მონსტრის ოპერაციული სისტემა ასევე „აი ბი ემ“-ის მიერ დამუშავებული „იუნიქსი“ იქნება. კომპიუტერს მისისიპიში, საზღვაო ძალების ოკეანოგრაფიული კვლევითი ცენტრის შენობაში განათავსებენ. ხელშეკრულების ღირებულება ჯერჯერობით არ ხმაურდება, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს მანქანა ათეულობით მილიონი დოლარი დაჯდება. ეს არც არის გასაკვირი, იმიტომ, რომ ფაქტობრივად, ის ერთმანეთთან დაკავშირებული 368 ზეძლიერი გამომთვლელი მანქანისგან შედგება და საერთო ჯამში, 3 ათასი 64-ბიტიანი პროცესორით იქნება აღჭურვილი. აშშ-ის თავდაცვის უწყება ამ კომპიუტერით საბრძოლო მოქმედებების მოდელირებას, მეტეოროლოგიური მონაცემების დაკვირვებასა და მრავალი სხვა საჭირო ინფორმაციის დამუშავებას აპირებს. მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 20 ტრილიონი მათემატიკური ოპერაციაა წამში. ამდენად პენტაგონის ახალ „სათამაშოს“ ერთ წამში იმდენი ინფორმაციის გადამუშავება შეეძლება, რასაც კალკულატორით შეიარაღებული ადამიანი 1,2 მილიონ წელიწადს მოანდომებდა.

# რუსეთი ისევ გვაკვირვებს

რუს სამხედროებს ამ ბოლო დროს ახალი გასართობი გამოუჩნდათ. საქმე ის არის, რომ ამ უზარმაზარი ქვეყნის ტერიტორიაზე უგზოუკვლოდ არის დაკარგული სხვადასხვა სახისა და ეპოქის აუარებელი იარაღი. ამ იარაღს რიგითი მოქალაქეები პოულობენ და... ძალიან იშვიათ შემთხვევაში მილიციას აბარებენ. სწორედ ამ იშვიათი ჩაბარებების შედეგად შეგროვებული კოლექცია ახალისებს რუს სამხედროებს.

ვიბორგის მახლობლად, საავარაკო ნაკვეთზე ერთ მცირე გაქანების ბიზნესმენს ორი ბეტეერი აღმოუჩინეს. როგორც ის ამტკიცებს, ბეტეერები ტყეში იპოვა და იმიტომ დაიტოვა, რომ საკუთარი უსაფრთხოება დაეცვა(?!).

ალტაის მხარის ქალაქ ზმეინოგორსკში ფიზიკოსმა მილიციის განყოფილებაში 8 ცალი პლუტონიუმის კონტეინერი მიიტანა. როგორც გაირკვა, ფიზიკოსს მასობრივი განადგურების იარაღის საწარმოებელი ნედლეული 6 წლის განმავლობაში სახლთან, ავტოფარეხში ჰქონდა შენახული და ახლა მისი ჩაბარებისთვის დაახლოებით 3 მილიონი დოლარის მიღებასვარაუდობდა. მილიციაში მას სწრაფად აუხილეს თვალი სინამდვილეზე და ახლა მისი ოცნება ციხიდან მალე გამოსვლით შემოიფარგლება. ჩუკოტკაზე ერთმა მონადირემ მილიციაში 1,5 ტონა დენთი მიზიდა. გაირკვა, რომ მისი სახლის მახლობლად სამხედრო კოლონას გაევლო და ერთ-ერთ მანქანას საბურავი გახეთქვოდა. ჯარისკაცებმა, საბურავის გამოსაცვლელად, დატვირთული მანქანა დაცალეს და მერე ტვირთის ნაწილის მანქანაზე დაბრუნება დაეზარათ... მონადირემ სახელმწიფოსგან 800 ათასი რუბლი მიიღო...

# აღარ არის საჭირო მეთაურისთვის ცოლის გაცნობა

საფრანგეთის მთავრობამ დაამტკიცა ახალი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს სამხედრო პირების ვალდებულებებისა და უფლებების სერიოზულ ცვლილებებს. ასე მაგალითად, სამხედროებს აღარ დასჭირდებათ მეთაურის ნებართვა უცხოელი ქალბატონის ცოლად მოსაყვანად ან მისი პროფესიის შესახებ პატაკის



ჩაბარება ინსტანციაში. ფრანგ სამხედროს ამიერიდან შეეძლება დაუბრკოლებლად მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობებში. იყოს „საზოგადოებების“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. ასევე უფლება აქვთ, მეთაურების დაუკითხავად გამოთქვან საკუთარი აზრი ნებისმიერ თემაზე (მათ შორის სამხედროზე), რომელიც არ შეიცავს სამხედრო საიდუმლოს. მოიხსნა აკრძალვა ზოგიერთ გამოცემაზე (მაგ. სოციალისტური „ლიბერასიონი“), რომელსაც ადრე ყაზარმებს ახლოსაც არ აკარებდნენ. ახალი კანონით სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს ზრუნვას არა მარტო საბრძოლო მოქმედებების დროს დაშავებულ სამხედროებზე. არამედ ოპერაციებს შორის, დასვენების დროს დაშავებულებზეც. ამასთან, გათვალისწინებულია სამხედრო მოსამსახურის იურიდიული დაცვის შემთხვევებიც. კანონის კიდევ ერთ სიახლედ ფულადი წახალისებებისა და ჯარიმების შემოღებაც შეიძლება ჩაითვალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტაივანელები აღარ ხუმრობენ

ტაივანის სამხედრო საჰაერო ძალებმა რამდენიმე ხნის წინ წვრთნები ჩაატარეს. ეს სწავლებები არაფრით იქნებოდა გამორჩეული, რომ არა ერთი ვითარება — ტაივანის სსძ-ის „მირაჟ 2000E“-ებმა დაცლილი საბრძოლო კომპლექტის შევსება ჩვეულებრივ ავტობანზე, სპეციალურად გადაკეტილ მონაკვეთზე მოახერხეს და ისევ ჰაერში აიჭრნენ. ტაივანელი სამხედროების თქმით, ეს ვარჯიში იმ შემთხვევისთვის არის გამიზნული თუ გარეშე მტერი (ალბათ მეზობელ ჩინეთს გულისხმობდნენ) მათ ავიაბაზებზე მოახდენს თავდასხმას.



# მოსკოვი ისევ იბრძვის იარაღის ექსპორტის ბაზრისთვის




რუსეთის სამხედრო-ტექნიკური ფედერალური სამსახურის განცხადებით, 2004 წელს ამ ქვეყნის ექსპორტმა იარაღის საერთაშორისო ბაზარზე 5,6-5,7 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც 200-300 მილიონით მეტია 2003 წლის მაჩვენებელზე. სამსახურის ხელმძღვანელობა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ექსპორტის მოცულობა იზრდება ისეთ პირობებში, როდესაც მოსკოვის ორი უმსხვილესი კლიენტი — ინდოეთი და ჩინეთი ჭირვეულობენ და რუს მომწოდებლებს სხვადასხვა მიზეზების გამო პრეტენზიებს უყენებენ. პეკინი ამით დროს წელავს და ევროსაბჭოს მიერ გამოცხადებული ემბარგოს მოხსნას ელოდება, რათა უფრო სარფიანი კონტრაქტები გაახერხოს. დელი კი სამხედრო შესყიდვების სერიოზულ დივერსიფიცირებას ახდენს და უფრო ხშირად დასავლეთევროპულ და ისრაელის მომწოდებლებს არჩევს (20-მილიონიანი კონტრაქტი მარტო ისრაელის „ტავორების“ შესყიდვაზე გააფორმეს). ზემოთქმულის მიუხედავად, ექსპორტის ჯამური თანხიდანაც ჩანს, რომ რუსეთის ჩამოწერა ჯერჯერობით ნაადრევია. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ საერთო თანხაში რუსეთის მიერ ძველი ვალების დაფარვის მიზნით განხორციელებული მიწოდებებიც შედის. ასეთი შემთხვევაა სამხრეთ კორეაც. 1991 წელს სეულმა მოსკოვს მილიარდნახევარი დოლარის კრედიტი გამოუყო. რის საფასურადაც რუსებმა კორეელებს უკვე მიაწოდეს 33 БМП-3, 33 ტანკი T-80У, 30 ვერტმფრენი ლფ-32, 770 ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი „მეტისი“ და 45 გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „იგლა“. ეს იარაღი დაახლოებით ნახევარი მილიარდის ღირებულებისაა, ასე რომ რუსებს კიდევ დიდხანს მოუწევთ ვალების დაბრუნება.




# ბრიტანელები მუსლიმანებს აგროვებენ

სწორედ ასეთი გადაწყვეტილება მიილო ბრიტანეთის დაზვერვის დეპარტამენტმა. რომლის ფრთის ქვეშაც ახალი, მუსლიმანური აღმსარებლობის ბრიტანელებით დაკომპლექტებული სადაზვერვო პოლკი ყალიბდება. ამ შენაერთის მთავარი ფუნქცია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული მუსლიმანური ტერორისტული ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და მისი ანალიზი იქნება. შედეგად ბრიტანელები ტერაქტების წინასწარ სტადიაზე ჩაშლასა და ორგანიზატორების დროულ გაუვნებელყოფასაც გეგმავენ. როგორც ითქვა, პოლკი აქტიურად ითანამშრომლებს აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამართველოსთან და ისრაელის მოსადთან. სამხრეთ უელსში ბაზირებულ შენაერთში 600 მოსამსახურე გაერთიანდება. პოლკში სამხედრო ძალების სამივე სახეობის — საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ნაწილებიდან მიიღებენ რეკრუტებს. მათ ურთულესი ტესტირებების გავლა მოუწევთ. დამტკიცების შემდეგ კი ბევრად უფრო რთული და მძიმე სწავლების პერიოდი ელოდებათ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მერწმუნეთ, რომ კბილებით დავიცავ ამ ჯარისკაცებს"

*მუხროვანის სამხედრო ნაწილის ჯარისკაცების დემარში დეკემბრის ერთ-ერთ მთავარ მოვლენად იქცა. ზოგმა სიცივისგან გალურჯებული და შიშისგან დამფრთხალი ჯარისკაცები გულწრფელად შეიცოდა, ზოგმა კი ლამის სამშობლოს ღალატში დასდო ბრალი. ფაქტია, რომ ჯარისკაცები გაჭირვებამ ატარა ფეხით სუსხიან ზამთარში, ხოლო ხელისუფლების მიერ ჩასახულმა იმედმა სახელმწიფო კანცელარიის კარზე მიიყვანა. მოგვიანებით ეს ჯარისკაცები სახალხო დამცველის აპარატის ეზოში აღმოჩნდნენ, შემდეგ მერვე პოლკის შენობაში, მოგვიანებით კი უშიშროებაში დაკითხვაზე. რა მოხდა რეალურად იმ დღეს, რატომ დატოვეს ჯარისკაცებმა მუხროვანის ნაწილი და რატომ დახია ირაკლი სესიაშვილმა სახალხო დამცველის რწმუნება, ამას ირაკლის ნაამბობიდან შეიტყობთ, მანამდე კი ერთი ამბავი მინდა გიამბოთ, რომელიც ზემოთ მოთხრობილ ფაქტთან უშუალო კავშირშია.*



სახალხო დამცველის რწმუნებულს სამხედრო საკითხებში ირაკლი სესიაშვილს ინტერვიუსთვის დაახლოებით ერთი თვის წინ ვესტუმრე. ის-ის იყო საუბრის დაწყებას ვაპირებდით, რომ მისი სამუშაო ოთახის კარი შუახნის მამაკაცმა შემოაღო და ომბუდსმენთან გასაუბრება ითხოვა. მამაკაცის გამომეტყველება ცხადყოფდა, რომ დრო არ ითმენდა. ამიტომ ინტერვიუ ცოტა ხნით გადავდეთ. მამაკაცი თვალზე ცრემლმომდგარი უყვებოდა ირაკლის, როგორ დაუსახიჩრეს მუხროვანის სამხედრო ნაწილში სერჟანტებმა ჯარისკაცი შვილი. ყველაფერი კი თურმე იმით დაიწყო, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ჯარისკაცები დაუბანლები ჰყავდათ, რამაც არაერთი დაავადება გამოიწვია. სამოსი იმდენად გაჭუჭყიანდა, რომ მისი ტარება, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. სწორედ ახალი სამოსის შეძენის თხოვნით მიუმართავს მამისთვის ჩვენი ამბის გმირ ჯარისკაცს. მაგრამ ახალი სამხედრო ფორმის ტარება სერჟანტებს წვევამდელისთვის არ უპატიებიათ და სამი ერთს უმოწყალოდ გაუსწორდა. ამ ინციდენტის შედეგად ჯარისკაცმა ყბის სერიოზული დაზიანება მიიღო, მაგარმ მისმა მშობლებმა ეს მხოლოდ შვილთან მორიგი ვიზიტისას შენიშნეს. როგორც ჯარისკაცის მამა იუწყებოდა, მის შვილს ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა, თუმცა ტრავმა იმდენად მძიმე იყო, რომ ჯარისკაცი სრულფასოვან კვებას დღესაც ვერ ახერხებს. მაშინ ირაკლი სესიაშვილმა დაჩაგრული ჯარისკაცის მამას დახმარება აღუთქვა...

ირაკლი სესიაშვილი:

– მუხროვანში აღნიშნული პრობლემა გუშინ არ დაწყებულა, ეს პრობლემები სათავეს გაცილებით ადრე იღებს, ხოლო ცოტა ხნის წინ მომხდარი ფაქტი კი პროცესის კულმინაცია იყო. მუხროვანში არსებული პრობლემები ამ სახით რომ არ გამჟღავნებულიყო, შესაძლოა ყოველივე გაცილებით უფრო მძიმე შედეგებით დასრულებულიყო. სწორედ თქვენ ჟურნალს ვაძლევდი ინტერვიუს, როდესაც ჯარისკაცის მშობელი მოვიდა და ჯარისკაცების დაუბანლობის გამო ჩიოდა. აცხადებდა, რომ მშივრები იყვნენ, ეძინათ ლიანდაგებზე და თავადაც მოისმინეთ, როგორ სასტიკად გაუსწორდნენ ჯარისკაცს მხოლოდ იმის გამო, რომ მშობელმა მას ყურადღება მიაქცია. ჩემი ინფორმაციით, მუხროვანის სამხედრო ნაწილის ჯარისკაცებს მშობლები საკვებითა და სამოსით სისტემატურად ეხმარებოდნენ, თუმცა მოგვიანებით თავად ჯარისკაცებმა აუკრძალეს მშობლებს დახმარების გაგზავნა, რადგან ადრესატამდე არც ერთი ამანათი არ აღწევდა. ყაზარმაში, როგორც საზოგადოებამ ტელეეთერით იხილა ჯარისკაცები მხოლოდ რამდენიმე თვეა, გადავიდნენ, მანამდე კი მათ საველე კარვებში ეძინათ. აღსანიშნავია, რომ ცოტა უფრო ადრე მუხროვანიდან ორმოცი ჯარისკაცი გაიქცა. მათ გადაწყვიტეს მერვე პოლკში წასვლა, სადაც მივიდნენ კიდეც, თავისი პრობლემები გაუზიარეს იქაურ ხელმძღვანელობას და მოთხოვნების შესაბამისად, ისინი სხვადასხვა საჯარისო ნაწილებში გაანაწილეს. თუმცა, ეს ფაქტი საზოგადოებისთვის უცნობი დარჩა. ალბათ ამ 64-მა ჯარისკაცმაც იფიქრა, რომ ამ რევოლუციურ ქვეყანაში პრობლემები რევოლუციურად გვარდება. ამიტომ საღამოს რვა საათზე მწყობრით გამოემართნენ მუხროვანიდან სახელმწიფო კანცელარიისკენ. ჯარისკაცებმა მხოლოდ დილით მიაღწიეს ლილოს მიმდებარე ტერიტორიას. როგორ ფიქრობთ, რამდენად ადვილია $-15^0$-იან ყინვაში ტყე-ტყე, ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ იარო. თავდაპირველად ისინი 72 იყვნენ, თუმცა რამდენიმემ ვერ შეძლო ბარიერების გადალახვა და დანარჩენებს ჩამორჩა. როდესაც ჯარისკაცები ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ, დაუკავშირდნენ ერთ-ერთის ნათესავ ქალბატონს და საკვები სთხოვეს. ქალბატონმა ჩააკითხა ჯარისკაცებს ლილოში და ფული ჩაუტანა. ეს ფული კი ჯარისკაცებმა ტრანსპორტირებისთვის გამოიყენეს. მათ თავდაცვის მინისტრთან სურდათ გასაუბრება, იმედი ჰქონდათ, რომ ირაკლი ოქრუაშვილი მისთვის დამახასიათებელ პრინციპულობას გამოიჩენდა და დასჯიდა იმ ადამიანებს, ვინც ჯარისკაცებს გაუსაძლისი პირობები შეუქმნა.

**— რა იგულისხმება გაუსაძლის პირობებში?**

– ეს არის არასაკმარისი კვება, სიცივე, დაუბანლობა, უწყლობა. ჯარისკაცები ჩვენთან საუბარში აცხადებდნენ, რომ სამი დღის განმავლობაში წყალი არ ჰქონდათ დალეული. სხვათა შორის, როდესაც მუხროვანს დასათვალიერებლად მთელი გენერალიტეტი ეწვია, ონკანში წყალი მაშინაც არ მოდიოდა. ხელისუფლება ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჯარისკაცები ითხოვდნენ ისინი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გადაენაწილებინათ. ჯარისკაცებმა ჩათვალეს, რომ ეს შეიძლებოდა მათთვის ერთ-ერთი გამოსავალი ყოფილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო. ისინი გამოექცნენ გასაუძლის პირობებს და ითხოვდნენ ისეთ ადგილას ყოფნას, რომ თუ სახელმწიფო არ აიღებდა თავის თავზე ვალდებულებას, ახლობლების დახმარების იმედი მაინც ჰქონოდათ.

— **ირაკლი, საუბარი იყო გენერალური შტაბის მიერ აგორებულ პროვოკაციაზე...**

– მესამე ძალაზე საუბარი სასაცილო და სამარცხვინოა. თუ მესამე ძალა მოქმედებს, მაშინ მიპასუხონ, რას აკეთებს უშიშროება და დაზვერვა. ალბათ ცხინვალში შეცდომით განხორციელებულ დაბომბვასაც მესამე ძალას დააბრალებენ. ამ 64 ჯარისკაცს პირადად მე სახელმწიფო კანცელარიასთან სრულიად შემთხვევით შევხვდი. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანთან გახლდით, ვამზადებდით კანონპროექტს ამნისტიის შესახებ, რომელიც შეეხება დეზერტირებს. ფაქტია, რომ მუხროვანში ადგილი ჰქონდა არასაწესდებო ურთიერთობებს, ვინაიდან მხოლოდ სიცივისა და შიმშილის გამო ჯარისკაცები არ გარბიან. დავინახე, რომ ჯარისკაცები აბსოლუტურად დისციპლინირებულად მწყობრში იდგნენ და ელოდებოდნენ თავის კოლეგას, რომელიც წასული იყო უშიშროების საბჭოში. უშიშროების საბჭოში მოუსმინეს ჯარისკაცების წარმომადგენელს, შემდეგ კი დაემშვიდობნენ და გამოუშვეს. კანცელარიიდან გამოსული გავესაუბრე ჯარისკაცებს, ავუხსენი, რომ მათ არ ჰქონდათ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება. ვთხოვე, რომ თუკი სურვილი ჰქონდათ, დამეცვა მათი უფლებები, წამოსულიყვნენ ჩემთან და გავრკვეულიყავით პრობლემებში. სხვათა შორის, სახალხო დამცველის ოფისისკენ ჯარისკაცები მწყობრით წამომყვნენ. ამ დროს მათი თბილისში ჩამოსვლის შესახებ გაიგო შინაგანი ჯარის ხელმძღვანელობამ. ვიდრე ჩვენ სახალხო დამცველის შენობამდე მივაღწევდით, გამოჩნდნენ სამხედრო პირები და ცდილობდნენ ჯარისკაცებისთვის გეზი შეეცვლევინებინათ. ჯარისკაცებს შიშისგან სახეზე ფერი არ ედოთ და მევედრებოდნენ: არ დაგვტოვოთო. ჯარმა უარი განუცხადა ხელმძღვანელობას მანქანებში ჩასხდომასა და მუხროვანში დაბრუნებაზე, ამას სიკვდილი ერჩიათ. ამის შემდეგ ჯარისკაცები გადავიყვანეთ სახალხო დამცველის ოფისის ეზოში და მოვუწოდე პრესას და მასმედიას, რომ გაეშუქებინათ პრობლემა. სწორედ ამ დროს ის სამხედრო მეთაურები დაიკარგნენ. თუმცა მოხდა სამწუხარო ფაქტი, როდესაც მე ვაცნობე არსებული პრობლემების შესახებ სახალხო დამცველის მოადგილეს, ბაჩო ახალაიას, მივიღე აბსოლუტურად არაადეკვატური რეაქცია. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ბაჩო არაკომპეტენტურია სამხედრო საკითხებში. სწორედ ამის შედეგი იყო, როცა ცოტა ხანში ბაჩო ჩავიდა ეზოში ჯარისკაცებთან და ხმამაღლა უთხრა მათ, რომ ისინი არიან დეზერტირები, არცხვენენ ქვეყანას და სასწრაფოდ უნდა გაეთრიონ სახალხო დამცველის ეზოდან. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ სახალხო დამცველის აპარატი პროკურატურის როლს ასრულებდა, ირაკლი ოქრუაშვილი კი მთავარ დამნაშავედ ჯარისკაცებს ასახელებდა და მათ სამაგალითო დასჯას მოითხოვდა.

— **თუმცა მოგვიანებით ოქრუაშვილმა აზრი შეიცვალა...**

– რა თქმა უნდა, როდესაც საზოგადოებამ თვალნათლივ დაინახა, ვინ იყო მართალი და ვინ არა, ხელისუფლებამ კარგად გათვალა, ვის მხარეს იდგა საზოგადოება და არ ღირდა სიტუაციის გამწვავება. როგორც იცით, ტელეხელისუფლება გვყავს და უფრთხილდება თავის იმიჯს. მოდით, დავსვათ საკითხი ასე — ვინ იყო რეალურად დამნაშავე? მუხროვანის ამ სამხედრო ნაწილში არის ახალი გათბობის სისტემაც, თანამედროვე აბანოც, ონკანებიც და ყველა საშუალება არსებობს იმისთვის, რომ საუკეთესო პირობები იყოს შექმნილი. თუმცა ყოველივეს ასამუშავებლად საჭირო სახსრები მავანთა ჯიბეში მიდიოდა. ამ სახელმწიფოში მე ვერ დავინახე ადამიანების დაცვის სურვილი და რეაგირება ამა თუ იმ ფაქტზე. როგორც თავად ნახეთ, ჯარისკაცების გაქცევის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო, მაგრამ დაკითხეს არა ხელმძღვანელობა, არამედ ჯარისკაცები. თან კი არ დაკითხეს, „დამუშავების“ შედეგად ჩვენებები შეაცვლევინეს. იმ საღამოსვე შევხვდი სახალხო დამცველს და პირდაპირ ვუთხარი – იმის გამო, რომ მე და აპარატის ხელმძღვანელობას განსხვავებული პოზიციები გვაქვს, ჩემს ადგილს ამ სამსახურში ველარ ვხედავ-მეთქი. სოზარ სუბარს უდიდეს პატივს ვცემ და გარკვეულწილად მან ჩემი პოზიციაც დაიჭირა, თუმცა უხერხული იყო, რომ ერთი აპარატიდან ორი სხვადასხვა პოზიცია დაფიქსირდა, ამიტომ სოზარი დამთანხმდა, აღნიშნული თანამდებობა დამეტოვებინა.

— **როგორც ვიცი, მიუხედავად იმისა, რომ სრული უფლება გქონდათ, მეორე დღეს ჯარისკაცებთან გასაუბრების ნება არ მოგცეს...**

– მოვლენების მეორე დღეს მივედი მერვე პოლკში, შესასვლელად წარვადგინე სახალხო დამცველის რწმუნების საბუთი, სადაც წერია, რომ უფლება მაქვს შევიდე ნებისმიერ სამხედრო ნაწილში, მათ შორის ომიანობის დროს. მოვითხოვდი ჯარისკაცებთან შესვლას, თუმცა არაერთი მცდელობის მიუხედავად, ჯარისკაცებთან არ შემიშვეს. ამის შემდეგ ჩავთვალე, რომ ომბუდსმენის რწმუნება მხოლოდ ფარატინა ქაღალდია. დავხიე და დავუბრუნდი ჩემს არასამთავრობო ორგანიზაციას „სამართალი და თავისუფლება“, სადაც გავაგრძელებ სამხედრო მოსამსახურეთა დაცვას. მერწმუნეთ, რომ კბილებით დავიცავ ამ ჯარისკაცებს, რადგან ვხედავ, რომ ხელისუფლება ცდილობს ყოველთვის მართალი ჩანდეს.

*ემა ტუხიაშვილი*



***ხელისუფლების მიერ უდავოდ დიდი მოცულობის სამუშაოების ჩატარების მიუხედავად, საქართველოში ჯარისკაცებს მაინც უწევთ მსგავს პირობებში ყოფნა და ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შპიონაჟის
# უდიდესი მუზეუმი

**ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და კეთილმოწყობილ შპიონაჟის საერთაშორისო მუზეუმს თამამად შეიძლება ვუწოდოთ შეცდომების მუზეუმი, რადგან სწორედ შეცდომების გამო ხმაურდება სხვადასხვა აგენტის სახელი, მერე კი ისინი სამუზეუმო ექსპონატებად იქცევა და კოლექციას ავსებს.**




მუზეუმის დარბაზებში სწორედ ინფორმაციების გაცონვის, აგენტთა მხილებისა და ჩავარდნის შედეგად ხვდება ჯაშუშთა სიები, ინფორმაცია ჯაშუშურ მოწყობილობებზე, სენსაციური ისტორიები მათ საქმიანობაზე. მუზეუმის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი და, იმავდროულად, ერთ-ერთი მთავარი გმირია ოლდრიჩ ეიმსი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მაღალი რანგის ოფიცერი, რომელსაც ხელი განსაკუთრებით გასაიდუმლოებულ ინფორმაციებზე მიუწვდებოდა. მსოფლიომ მისი სახელი მხოლოდ მაშინ გაიგო, როცა 1994 წელს ჩავარდა და სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

რაც შეეხება ჯაშუშურ მოწყობილობას, ის მუზეუმში მრავლად არის წარმოდგენილი. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მეტად შთამბეჭდავი ექსპონატი – ხეში ნაკვეთი აშშ-ის გერბი – არწივი. ძიების ფედერალური ბიუროსა და მუზეუმის თანამშრომლებმა მას „ოინი“ დაარქვეს. „ოინი“ 1946 წელს მოსკოველმა პიონერებმა, საბჭოთა კავშირში აშშ-ის ელჩს მაშინ მიართვეს, როცა „ცივი ომი“ ის-ის იყო, იწყებოდა. „კგბ“-მ არწივში სასმენი მოწყობილობა დაამონტაჟა. იგი აშშ-ის საელჩოს მახლობლად გაჩერებული მიკროავტობუსიდან იმართებოდა. ელჩმა პიონერების ლამაზი საჩუქარი თავის კაბინეტში, საწერი მაგიდის თავზე დაკიდა. არწივი მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ, 1952 წელს „ამხილეს“, მისი შიგთავსი კი მსოფლიო საზოგადოებრიობას 1960 წელს წარუდგინეს. ამ ამბავმა, ბუნებრივია, დიდი სკანდალი გამოიწვია.

სპეცსამსახურები დღესაც ვერ შეთანხმებულან, ვის მარცხს ნიშნავდა ეს ფაქტი – საბჭოეთის თუ აშშ-ის?

შპიონაჟის საერთაშორისო მუზეუმი, როგორც ნამდვილი თანამედროვე ინტერაქ-



**კარდინალ რიშელიესადმი მიძღვნილ დარბაზში იმდროინდელი სეკრეტერი დგას, რომელსაც ათობით საიდუმლო უჯრა ჰქონდა...**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიური მუზეუმი, დამთვალიერებელს არა მარტო უზარმაზარ ინფორმაციას აწვდის, არამედ ასწავლის კიდეც. ასწავლის სიფრთხილეს და სახელოვანი მზვერავების შეცდომების გათვალისწინებას. ასწავლის იმას, რომ „ყველა და ყველაფერი ისე არ არის, როგორიც გეჩვენება“. ამ უბრალო აზრს უნერგავენ დამთვალიერებელს თითოეული ექსპონატის ჩვენებისას. ამ ფარული ფრონტის მებრძოლები კი, თუ სუპერჯაშუშ ოლდრიჩივით ან მაღალი რანგის ამერიკელ კონტრმზვერავ რობერტ ჰანსენივით (იგი საბჭოთა კავშირისა და რუსეთის სასარგებლოდ 20 წლის განმავლობაში ჯაშუშობდა) ციხეში „ნარებს“ არ ხეხავენ, ან ინგლისური „კემბრიჯის ხუთეულივით“ საფლავში არ ლპებიან, მაშინ ნამდვილად შპიონაჟის საერთაშორისო მუზეუმის დირექტორთა საბჭოში შედიან.

საბჭოს ერთ-ერთი საპატიო წევრია ლენინგრადელ დისიდენტებთან მგზნებარე მებრძოლი, ადრეული „პერესტროიკის“ აქტიური მოღვაწე, დღეს კი ალექსანდრიაში (ვირჯინიის შტატი) კონტრსადაზვერვო საქმიანობისა და უსაფრთხოების პრობლემათა შემსწავლელი ცენტრის პროფესორი – გენერალი ოლეგ დანილის ძე კალუგინი. მზვერავთა დიდების დარბაზში დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე ჩანს კალუგინი და მისი, ცოტა არ იყოს, გაუგებრად ნაამბობი, თუ როგორ გადმოიბირა ვიღაც ვაშინგტონში თუ პირიქით, ის გადაიბირეს, მუზეუმის თანამშრომლების ნათქვამის მართებულებას ადასტურებს – მართლაც, არ უნდა ენდო იმას, რაც ერთი შეხედვით გეჩვენება.

იმავეს დასტურია „კემბრიჯის ხუთეულის“ ყველაზე გავლენიანი წევრის, ენტონი ბლანტის ბედი. იგი სხვებთან შედარებით მოგვიანებით, 1979 წლის 15 ნოემბერს ამხილეს. ამ დღეს მარგარეტ ტეტჩერმა თემთა პალატას აცნობა, რომ მისი უდიდებულესობა დედოფლის ხელოვნების ნიმუშთა მთავარი მცველი სერ ენტონი ბლანტი მრავალი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ჯაშუში და მისთვის „ტალანტების მომპოვებელი“ იყო. როგორც გაირკვა, ენტონი ბლანტს ჯერ კიდევ 1964 წელს საკუთარი ნებით გაუმხელია ყველაფერი, მაგრამ გრანდიოზული სკანდალისა და ინფორმაციის დამატებითი გაჟონვის შიშით, მხოლოდ რაინდის ტიტული ჩამოართვეს და თავისუფლება შეუნარჩუნეს.

შპიონაჟზე, როგორც ისტორიულ-კულტურულ მოვლენაზე, სახელოვან გმირ მზვერავებზე, მათი მუშაობის მეთოდებსა და საშუალებებზე „სრულყოფილ ცოდნას“ მუზეუმის ატრაქციონებზე მიიღებთ. ამ ატრაქციონების წყალობაა იმ აზრის გაჩენაც, რომ ინტერნაციონალურ და აპოლიტიკურ მზვერავთა თანამეგობრობა, ლეგენდარული მასონური ლოჟების მსგავსად, მსოფლიოს მართავს. მუზეუმი დამთვალიერებელს მაშინვე საქმეში აბამს, აიძულებს უამრავ კითხვას გასცეს პასუხი, ამუშაოს კომპიუტერთან, ანუ საკუთარ თავზე გამოსცადოს სხვადასხვა ტექნოლოგიის ზეგავლენა. დამთვალიერებლებთან ასეთი თამაშების მოწყობას არქიტექტურული და დიზაინერული ფირმებისა და მუზეუმების კონსულტანტების ექვსწლიანი მუშაობა დასჭირდა. მათი შრომის წყალობით მუზეუმი გახსნისთანავე, 2002 წელს აშშ-ის დედაქალაქის ტურისტული მექა გახდა. მაისიდან გვიან შემოდგომამდე, ამ, არცთუ იაფ კერძო მუზეუმთან დამთვალიერებელთა რიგი დგას.

## შენობა და ისტორია

შპიონაჟის საერთაშორისო მუზეუმი ქალაქის ცენტრში მდებარეობს. აქედან ხელის ერთ გაწვდენაზეა ვაშინგტონის სხვა ღირსშესანიშნაობები და ძიების ფედერალური ბიუროს შტაბბინა.

მუზეუმს ხუთი ისტორიული შენობა უჭირავს. ისინი 1870-1890 წელსაა აშენებული (რაც ამერიკისთვის შორეული წარსულია). შენობები ერთ კომპლექსადაა ქცეული და მასში შედის საექსპოზიციო დარბაზები, საცავები, ოფისები, მაღაზიები, კაფე და რესტორანი. ყველაფერი ეს მეტად ეფექტურად გამოიყურება.

ზოგიერთ შენობას ძალზე არატრივიალური ისტორია აქვს. მუზეუმის ფასტფუდში, რომელიც ამაყად ატარებს სახელს „ქალაქის სადაზვერვო კაფე“, პირდაპირ მაგიდებზე წერია კითხვები და იქვეა პასუხებიც. მაგალითად, ამ თავისებურ ვიქტორინაში ასეთი კითხვები შედის: „ვინ იყო ჯაშუშებზე ყველაზე ცნობილი მონადირე?“ პასუხი: „ედგარ ჰუვერი, ძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი 1924-72 წლებში“. საინტერესოა, რომ ამ შენობის 306-ე ოთახში, 1941-48 წლებში აშშ-ის კომუნისტური პარტიის მეოთხე საოლქო განყოფილების შტაბბინა იყო განთავსებული. მას დაჟინებით მეთვალყურეობდა ძიების ფედერალური ბიურო. როცა შენობას რეკონსტრუქცია გაუკეთდა და მუზეუმად გადაკეთდა, ოფისის კარი მის ექსპონატად იქცა.

## საიმედოობის შემოწმება

მუზეუმში შესვლისას და ბილეთების რიგში დადგომისთანავე გაისმის კითხვა: „თქვენი ნამდვილი სახელი? ვინ მუშაობს თქვენთან? ვისზე მუშაობთ?“ და ა.შ. ეს დაკავებული ჯაშუშის დაკითხვის ფონოგრამაა. კითხვებზე პასუხს არავინ მოგთხოვთ – უბრალოდ, ბილეთების რიგში არ



ავბედითი, „სიკვდილის ამბორად“ ცნობილი მოწყობილობა — პომადის კოლოფში ჩამონტაჟებული პისტოლეტი.




მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც მოქმედებაში მოდიოდა პალტოს ღილში ჩამონტაჟებული ფოტოკამერა.

მოიწყენთ. მიუხედავად ამისა, ძალაუნებურად იძაბები და ყურადღებას იკრებ: იქნებ მართლაც მომიწიოს რომელიმე ადგილობრივი თუ უცხოეთის შესაბამისი უწყებებისთვის პასუხის გაცემა.

ლიფტის (რომლითაც მოქალაქეები ადიან და თავიანთ ნამდვილ სახელზე ფიქრობენ) კარის თავზე ჯაჭვზე დაკიდებული ფელიქს ედმუნდოვიჩ ძერჟინსკის, ცნობილი ლუბიანკელის ძეგლის ორეული ირწევა. ბევრმა არ იცის, ფელიქს ედმუნდოვიჩი ვინ არის, ამიტომაც იგი არა იმდენად ინფორმაციის მიმწოდებელია, რამდენადაც დამაფიქრებელი და შემაშინებელი – უცოდინარი კაცი იფიქრებს, ეს რომელიღაც ჯაშუშია, რომლისგანაც მისი ნამდვილი სახელის გაგებას ცდილობდნენო... რკინის ფელიქსი გენერალ კალუგინის „საექსპოზიციო შენატანი“ უნდა იყოს, მან ხომ ყველაზე კარგად იცის, რა მოხდა 1991 წლის აგვისტოში მოსკოვში. მეორე მხრივ, ძერჟინსკის ჭერში გამოკიდება შეიძლება მინიშნებაც იყოს, რომ ჯაშუშური ომები ახლა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ტოტალიტარიზმსა და დემოკრატიას შორის ომი კი აღარ არის, არამედ რაღაც უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფეხსაცმლის სწორედ ამ მოდელს ანიჭებდნენ უპირატესობას საბჭოთა ჯაშუშები. ქუსლში ჩამონტაჟებული მინი-გადამცემი მოწყობილობა



გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შტაზის თანამშრომლები ამ ჩემოდნის გარეშე აგარაკზეც კი არ მიდიოდნენ. აქ მოთავსებულია საიდუმლო დოკუმენტაციის კოპირებისათვის აუცილებელი აბსოლუტურად ყველა ხელსაწყო და რეაქტივი...

სხვა — მაგალითად, ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმთან. ასეთი ინფორმაცია ეგზავნება დამთვალიერებელს — ნუ დაიძაბებით, ბატონებო, მთავარი მტერი დამარცხებული გვყავს, ასე რომ, ეცადეთ, ჩვენი ექსპოზიციისგან სიამოვნება მიიღოთ.

## ლეგენდა და საფარველი

სიამოვნება კი ლიფტშივე იწყება და პირველსავე დარბაზში გრძელდება, რომელიც არა მარტო დერჟავების, არამედ აფრიკული, აღმოსავლურ-აზიური და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სპეცსამსახურების ემბლემებითაა მორთული: დინამიკიდან მომდინარე ხმა გაფრთხილებთ, რომ თქვენზე თვალთვალი უკვე დაწყებულია. აქვეა განლაგებული დოკუმენტების ნიმუშები, ვალუტები და სხვა ბევრი წვრილმანი, ურომლისოდაც ჯაშუში მტრის ბუნაგში ვერ შეაღწევს. აქ, ამ ოთახში, ყველას შეუძლია აირჩიოს ლეგენდა, საფარველი და მისი თითოეული დეტალი — ბიოგრაფია, გამგზავრების მიზანი და კონტაქტები — დაიმახსოვროს. კომპიუტერი ლეგენდას ძირითადი ექსპოზიციის გაცნობის წინ გადაამოწმებს. თუ რომელიმე დეტალი დაგავიწყდებათ, უსიამოვნებებიც დაიწყება. მუზეუმიდან, რა თქმა უნდა, არ გაგაგდებენ, მაგრამ კომპიუტერი მუზეუმის ტერიტორიაზე თქვენს ყოფნას ზედმეტად მიიჩნევს. თუმცა ექსპოზიციის ნახვა ინტერაქტიური ტესტების გაუვლელადაც შეიძლება.

„ლეგენდისა და საფარველის" დარბაზიდან დამთვალიერებლები ფილმის სანახავად მიჰყავთ, რომლითაც ვიგებთ, რომ მზვერავებით თუ კონტრმზვერავებით სავსეა მეგაპოლისები და დედაქალაქები, რომ ვაშინგტონში პრაქტიკულად ყოველი მეორე ჯაშუშია; რომ ერთნი ანგარების გამო ჯაშუშობენ, მეორენი — იდეური მოსაზრებით, მაგრამ ყველანი ფრთხილად უნდა იყვნენ. მათ უნდა ისწავლონ გარეგნობის შეცვლისა და გარდასახვის ხელოვნება, მოთვალთვალისგან თავის დაძვრენა და სხვა სასარგებლო ჩვევები, რადგან მხილებული ჯაშუშის ბედი ზოგჯერ საშინელია, მის სახელს ხშირად ვერავინ იგებს. რას იზამ, „ყველაფერი გარშემო ის არ არის, რადაც გეჩვენება".

## მზვერავთა სკოლა

მთავარ ექსპოზიციაზე გადასვლისას კომპიუტერი თქვენი ლეგენდის ცოდნას შეამოწმებს და მუზეუმის „მზვერავთა სკოლაში" სწავლაც იწყება. უამრავი მონიტორიდან ცენტრალური დაზვერვის სამმართველოსა და ძიების ფედერალური ბიუროს სპეციალისტები გასწავლიან გრიმის გაკეთებას, აეროფოტოგადაღებას, მიყურადებასა და მისაყურადებელი მოწყობილობის პოვნას, მალულ ფოტოგრაფირებასა და თვალთვალს — ყველაფერ იმას, რომლის გარეშე მზვერავი ვერ იმუშავებს. დამთვალიერებელ-„კურსანტს" აეროფოტოზე ირანის შენიღბული სამხედრო-საზღვაო ბაზის პოვნას ავალებენ. სხვები საფრთხის აღმოჩენაზე მუშაობენ — კომპიუტერის ეკრანზე გამოჩენილ სხვადასხვა პერსონაჟთაგან უნდა დაფიქსირდეს საფრთხის წყარო. დარბაზში გაყვანილია სავენტილაციო მილი, რომელშიც შეიძლება შეძრომა და იმ ადგილამდე მიხოხება, საიდანაც კუბელი მაღალი რანგის ოფიცრების, ფიდელ კასტროს თანამებრძოლების საიდუმლო ლაპარაკების მოსმენას შეძლებთ.

მუზეუმის ერთ-ერთი მთავარი გმირი „ხოჭოა" (მისაყურადებელი მოწყობილობა). დარბაზებში მისი ასეულობით ვარიანტია წარმოდგენილი. მაგალითად, ხოჭოები კუნძში, ყვავილის ქოთნებში, ჰალსტუხებსა და ფეხსაცმლის ქუსლებში, სიგარეტის კოლოფებსა და ქალის სამშვენისებში. „ხოჭოებითაა" „დატენილი" თვითონ მუზეუმიც. თუ ყურსაცვამს გაიკეთებთ, მეზობელ დარბაზებში მყოფი დამთვალიერებლების ლაპარაკსაც მოისმენთ.

მუზეუმში არის ლეგენდარული ექსპონატების ზუსტი ასლები. მაგალითად, მოწამლული ქოლგა, რომლის ჩხვლეტამ („კგბ"-ს წარმოება) ბულგარელი დისიდენტი გიორგი მარკოვი იმსხვერპლა. არის ექსპონატები, რომლებითაც მუზეუმი დიდად ამაყობს; მაგალითად, პომადის ფუტლარში მოთავსებული პისტოლეტი, სახელწოდებით „სიკვდილის კოცნა" („კგბ"-ს წარმოება, 1965 წ.) — ერთჯერადი 4,5 მმ-იანი კალიბრის სასროლი მოწყობილობა. ის პირველად მაშინ გამოავლინეს, როცა ერთი საბჭოთა აგენტი აღმოსავლეთ ბერლინიდან დასავლეთში გადადიოდა; მაჯის საათად შენიღბული მინიატიურული კამერა (დასავლეთი გერმანია, 1949 წელი): აგენტს 6 ფოტოს გადაღება შეეძლო, ვითომ დროის შესამოწმებლად, საათზე დახედვისას.

მუზეუმში ნახავთ პალტოს ფოტოკამერა-ღილებით („კგბ"-ს წარმოება, 1970 წ.). მუზეუმის კურატორების მტკიცებით, პალტო იმდენად ეფექტური გამოდგა, რომ დღემდე გამოიყენება და კიდევ ერთი შედევრი — მეორე მსოფლიო ომის დროს დიდი ბრიტანეთის MI6 სამსახურის შექმნილი ჩექმები. იგი ორი ნაწილისგან შედგება — ჩვეულებრივი სამოქალაქო ფეხსაცმლისა და საზაფხულო ჩექმის ყელისგან. ჩექმაში ჩამონტაჟებული პატარა დანის მეშვეობით ყელს გადაჭრით და ფეხსაცმელი შეგრჩებათ ხელთ. ყველაფერი ეს ინგლისელებისთვის დამახასიათებელი ელეგანტურობით არის გაკეთებული. MI6-ის სპეციალისტთა ჩანაფიქრით, მფრინავი, რომელიც მტრებისგან ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდებოდა (ჩექმა სწორედ სამხედრო მფრინავებისთვის შეიქმნა), სპეციფიკურ ფეხსამოსს რომ არ გაეცა, ყელს გადაჭრიდა და ჩვეულებრივი ფეხსაცმლით ხალხის მასას შეერეოდა.

„მზვერავთა სკოლაში" ასევე შეგასწავლიან კრიპტოგრაფიის საფუძვლებს, გაჩვენებენ, როგორ დამალოთ ავტომობილში 5 კაცი და ასე გადალახოთ საზღვარი. გაჩვენებენ ჯეიმს ბონდის მფრინავ-მსროლელ სუპერავტომობილ „ასტონ მარტინს".

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა მიზნებს ისახავს ეკონომიკური შპიონაჟი

**ეკონომიკური განვითარების ურთულესი საკითხების გადაწყვეტისათვის ქვეყნის სპეცსამსახურების შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება საუკუნეების მანძილზე აპრობირებული ხერხია. XXI-ე საუკუნეში ეკონომიკური შპიონაჟი და კონტრშპიონაჟი ისევე აუცილებელია, როგორც ჰაერი და წყალი. ეს საქმიანობა სამხედრო და პოლიტიკურ შპიონაჟთან ერთად სპეცსამსახურების უმთავრესი მოვალეობაა. დღეისათვის მკაფიო განსხვავება ეკონომიკურ დაზვერვასა (ეკონომიკური და საფინანსო სახის ღია და ფარული ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და საპასუხო მოქმედებათა დასახვა) და სამრეწველო შპიონაჟს (სამხედრო და სამოქალაქო დანიშნულების ტექნიკისა და ტექნოლოგიების უახლესი ნიმუშების ან დოკუმენტაციის მოპოვება ღია და ფარული მეთოდებით) შორის აღარ არსებობს.**

აშშ-ის ცენტრალური დაზვერვის ყოფილი დირექტორის, რობერტ გეიტსის განცხადებით, ამერიკის სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დაზვერვისათვის შეკვეთილი მასალების ნახევარზე მეტი ეკონომიკური ხასიათისაა. სპეცსამსახურები ეკონომიკური სახის ინფორმაციას, ძირითადად, ღია წყაროებიდან იღებენ, ხოლო საიდუმლო ინფორმაციის მოსაპოვებლად ეკონომიკური (სამრეწველო) ჯაშუშობის მეთოდებს იყენებენ. ამჟამად ეკონომიკურ შპიონაჟში გამოიყენება საიდუმლო ინფორმაციის მოპოვების სამი ძირითადი მეთოდი: ღია წყაროებიდან, აგენტურული გზით და ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებებით.

ეკონომიკური შპიონაჟი განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა XX-ე საუკუნის პირველი ნახევრიდან. ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისთვის, როგორიც იყო მაგალითად, იმ პერიოდში საბჭოთა კავშირი, ტექნოლოგიური ჩამორჩენის დაძლევის და გადარჩენის ერთადერთ გზად სხვა ქვეყნებში შექმნილი ტექნიკური სიახლეების მოპარვა იქცა.

საბჭოთა კავშირის და ამჟამად რუსეთის ხელისუფალნი განსაკუთრებით აქტიურად იყენებდნენ და იყენებენ სპეცსამსახურებს საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მისაღწევად. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ 1921 წლის აპრილში „ვჩკ"-ს სტრუქტურაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დანაყოფს „კომერციულ-სამრეწველო" დაზვერვის სამმართველო წარმოადგენდა. სტალინის პირადი მითითებით 1930-ის წლების დასაწყისიდან დიდი ყურადღება ექცეოდა სამეცნიერო-ტექნიკურ დაზვერვას, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა საბჭოთა დაზვერვის მცდელობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეების (პირველ რიგში – სამხედრო ტექნოლოგიების და საცდელი ნიმუშების) „მოსაპოვებლად" (ფაქტობრივად მოსაპარად). ამ მიზნით 1943 წელს სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატში შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის განყოფილება, რომელიც პირველი მთავარი სამმართველოს („საგარეო დაზვერვა") მე-10 განყოფილების საიდუმლო დასახელებას იყო ამოფარებული.

აღნიშნული განყოფილება შვიდი მიმართულებით მუშაობდა: ბირთვული; ავიაკოსმოსური; ელექტრონული; სამედიცინო; ქიმიური; ფართო დანიშნულების ტექნიკის და საინფორმაციო-ანალიტიკური.

1974 წელს ამ განყოფილების სტატუსი გაიზარდა, შეეცვალა დასახელებაც და ის სამმართველო „ტ"-დ იწოდებოდა. აღნიშნული სამმართველო ახორციელებდა საბჭოთა სპეცსამსახურების კოორდინირებას სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის კუთხით. მისი მთავარი შემკვეთი და „მომხმარებელი" საბჭოთა კავშირის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი იყო. მაგალითად, 1980 წელს „შეკვეთა" 3617 კონკრეტულ სამეცნიერო-ტექნიკურ საკითხს მოიცავდა, საიდანაც საბჭოთა სპეცსამსახურებმა 1085-ის „მოპოვება" შეძლეს, რითაც რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ეკონომია გააკეთეს.

უნდა აღინიშნოს, რომ 1930-იანი წლებიდან მოყოლებული, საბჭოთა კავშირში თითქმის არ შექმნილა სამხედრო ან მშვიდობიანი დანიშნულების რაიმე მნიშვნელოვანი პროდუქცია (ატომური იარაღით დაწყებული და ავტომობილებით დამთავრებული), რომლის წარმოებისათვის აუცილებელი ტექნოლოგიები, საპროექტო დოკუმენტაცია, ნედლეული და ა.შ. სრულად, ან მნიშვნელოვანწილად სხვა ქვეყნებიდან არ იყო არალეგალურად „მოპოვებული" ანუ მოპარული.

ეს შეფასება უფრო საბჭოთა დაზვერვის მაღალეფექტიანი მუშაობის ობიექტურ აღიარებას ისახავს მიზნად, ვიდრე საბჭოთა მეცნიერების მიღწევების დაკნინებას.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკური შპიონაჟის ისტორიიდან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაგალითია „კგბ"-ს აქტიური მონაწილეობა ე.წ. „საუკუნის პროექტის" – იტალიური კონცერნ „ფიატის" მიერ საბჭოთა კავშირში საავტომობილო ქარხნის მშენებლობის განხორციელებაში.

აღნიშნული ხელშეკრულება 1966 წლის 16 აგვისტოს გაფორმდა, „კგბ"-ს რომის რეზიდენტურის აქტიური მონაწილეობით. საავტომობილო ქარხნის მშენებლობის ფინანსური რესურსები იტალიურ მხარეს უნდა გამოეყო და მათვე უნდა ეწარმოებინათ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. იტალია კრედიტს გასცემდა მისთვის ხელსაყრელ 7 პროცენტად, საბჭოთა მხარე კი მხოლოდ 5%-ზე იყო თანახმა.

იტალიის პარლამენტსა და მთავრობაში მოქმედი „კგბ"-ს მრავალრიცხოვანი აგენტურის აქტიურობის წყალობით, საბჭოთა კავშირმა მიაღწია მისთვის სასურველ მიზანს – დაიცვა საკუთარი ეკონომიკური ინტერესები და 40 მლნ დოლარი დაზოგა.

საბჭოთა სპეცსამსახურები, სადაც (რო-

**ქალაქ ტოლიატში ცნობილი ავტოქარხნის გახსნა მთლიანად საბჭოთა მზვერავების დამსახურებაა...**



ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოქმედებდა სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის სპეციალური დანაყოფი), განსაკუთრებით შედეგიანად მოქმედებდნენ სხვა ქვეყნებიდან ახალი ტექნოლოგიების, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, სამხედრო გამოგონებებისა და ა.შ. არალეგალურად მოსაპოვებლად და საბჭოთა კავშირში გადასაგზავნად. დღეისათვის უკვე აღიარებულია, რომ XX-ე საუკუნის 30-80-იან წლებში მოსკოვი ეკონომიკური შპიონაჟის მსოფლიო ლიდერი იყო. ამჟამად უკვე რუსეთის სპეცსამსახურები აგრძელებენ „წარმატებით" ძველ ტრადიციებს და საკმაოდ ეფექტურად იყენებენ ეკონომიკური შპიონაჟის თანამედროვე მეთოდებს.

არანაკლები წარმატებებით გამოირჩევა აშშ-ის, ისრაელის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, ჩინეთის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების საქმიანობა ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დასაცავად.

ადრეც და ამჟამად აშშ-ის ადმინისტრაცია ყოველმხრივ ეხმარება ამერიკულ კომპანიებს საიდუმლო ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მოპოვებაში, კონკურენტების წინააღმდეგ ბრძოლაში და ა.შ.

1993 წლის სექტემბერში აშშ-ის პრეზიდენტმა ბილ ქლინთონმა საჯაროდ განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობა დაეხმარება ამერიკულ საავტომობილო კონცერნებს („ჯენერალ მოტორსს", „ფორდს" და „კრაისლერს") ახალი პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვაში. ამ განცხადებაში ქვეტექსტად იგულისხმებოდა, რომ „თეთრი სახლის" დავალებით, ამერიკის დაზვერვა (ცსს და ეროვნული უშიშროების სააგენტო) მხარში ამოუდგებოდა ზემოაღნიშნულ კომპანიებს იაპონიისა და ევროპის საავტომობილო კონცერნებთან კონკურენტულ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის დაშლამ და ცივი ომის დასრულებამ აშშ-ის სპეცსამსახურების მუშაობის პრიორიტეტები მნიშვნელოვნად შეცვალა. ეკონომიკური შპიონაჟის წინააღმდეგ ბრძოლა გახდა ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება, რომელსაც მთელი ქვეყნის მასშტაბით კოორდინაციას კონტრდაზვერვის ეროვნული ცენტრი (კეც) უწევს.

ეს უწყება კონგრესის დავალებით ყოველწლიურად ამზადებს მოხსენებას ეკონომიკური შპიონაჟის პრობლემებზე. კეც-ის ექსპერტების აზრით, 1990-იანი წლების დასაწყისიდან აშშ-ის წინააღმდეგ მიმართულმა ეკონომიკურმა შპიონაჟმა მართლაც კატასტროფული სახე მიიღო. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის აშშ-ის ეროვნულ უსაფრთხოებას და ასუსტებს ქვეყნის ეკონომიკურ პოზიციებს. გაანგარიშებულია, რომ ყოველწლიურად აშშ 100-150 მლრდ. დოლარს ზარალობს ეკონომიკური შპიონაჟის შედეგად. აშშ-ის წინააღმდეგ „მუშაობით" განსაკუთრებით გამოირჩევიან რუსეთის, ჩინეთის, საფრანგეთის, ისრაელის, იაპონიის, ტაივანის და სამხრეთ კორეის სპეცსამსახურები.

მათი ინტერესების სფერო მოიცავს, როგორც უახლეს სამხედრო გამოკვლევებს, ასევე ამერიკის ძირითადი კომპანიების სამრეწველო და მარკეტინგულ პოლიტიკას, სამხედრო შეკვეთებს და ა.შ.

ამერიკელმა კონტრმზვერავებმა დაადგინეს, რომ აშშ-ის წინააღმდეგ ეკონომიკური შპიონაჟის 58% მოდის უცხოურ კომპანიებზე, 22% – სხვა სახელმწიფოებზე და 20% – უცხოურ სამეცნიერო ცენტრებსა და ლაბორატორიებზე. თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს პროცესები მაინც ამ ქვეყნების სპეცსამსახურებიდან იმართება.

ეკონომიკურად საშუალოდ განვითარებული ქვეყნები ცდილობენ აშშ-დან ფარულად, საექსპორტო კონტროლის დარღვევით გაიტანონ მზა ტექნოლოგიები. მაშინ, როცა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების დაინტერესების მთავარი ობიექტი სამხედრო გამოკვლევებია.

აშშ-ში ეკონომიკური შპიონაჟის წინააღმდეგ ბრძოლა, შესაბამისი მიმართულებების მიხედვით ევალებათ: გფბ-ს, თავდაცვის სამინისტროს უშიშროების სამსახურს, ვაჭრობის სამინისტროს, საბაჟო სამსახურს, ენერგეტიკის სამინისტროს და ა.შ.

მათი მუშაობის კოორდინაციას გამოძიების ფედერალური ბიურო ახორციელებს, რომლის მუშაობის პრინციპები შეიძლება ბევრისთვის მოულოდნელიც კი იყოს და „ნეტარხსენებული" „კგბ" მოაგონოს. თავად განსაჯეთ, აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე განლაგებულ გფბ-ის 56 რეგიონალურ სამმართველოში, რომლებიც სხვა ფედერალურ დანაშაულთან ერთად ეკონომიკურ შპიონაჟსაც ებრძვიან, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება კერძო ფირმებისა და კომპანიების ხელმძღვანელებთან და პასუხისმგებელ პირებთან მჭიდრო თანამშრომლობას. ამჟამად, აშშ-ის 25 ათასზე მეტ ფირმასა და კომპანიას, რომლებიც ქმნიან სტრატეგიულ პროდუქციას და ფლობენ საიდუმლო ინფორმაციას, მჭიდრო და რაც მთავარია, ნებაყოფლობითი კავშირი აქვს ქვეყნის კონტრშპიონაჟის სტრუქტურებთან.

ეკონომიკურ შპიონაჟში დიდი მიღწევებით გამოირჩევა საფრანგეთი, რომელიც ერთნაირი წარმატებით „მუშაობს", როგორც ოპონენტი, ასევე მეგობარი ქვეყნების ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური საიდუმლოებების მოსაპოვებლად.

1971 წლის ნოემბერში საფრანგეთის რესპუბლიკის სპეცსამსახურების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ალექსანდრ დე მარენშუმ პრეზიდენტ ჟორჟ პომპიდუს მოახსენა, რომ დაზვერვის მონაცემებით, აშშ-ის ადმინისტრაციას დეკემბერში უნდა განეხორციელებინა დოლარის დევალვაცია. ამ საიდუმლო ინფორმაციაზე დაყრდნობით, საფრანგეთის ეროვნულმა ბანკმა ჩაატარა სპეციფიკური საფინანსო ოპერაცია – გაყიდა დოლარის მარაგები და შეიძინა ფრანკები, რითაც ათეულობით მილიონი დოლარის მოგება მოუტანა საფრანგეთს. საფრანგეთის სპეცსამსახურები იმდენად ეფექტურად მუშაობენ აშშ-ის ტექნოლოგიური სიახლეების ხელში ჩასაგდებად, რომ 1993 წელს ამერიკის ცსს იძულებული იყო თავისი ქვეყნის ავიაკოსმოსური ტექნიკის დამამზადებელი კომპანიებისთვის ლე ბურჟეს ტრადიციულ ავიასალონში მონაწილეობაზე უარი ეთქვა. შედეგად ამერიკულმა ფირმებმა („ლოქჰიდი", „მაქდონელ დუგლასს", „ბოინგი", „ჰიუზ ეირკრაფტი" და სხვ.), რომლებიც საფრანგეთის სპეცსამსახურების ოპერატიული დაინტერესების ობიექტები გახდნენ, გაითვალისწინეს ეს რჩევა და არ მიიღეს მონაწილეობა.

ეკონომიკური შპიონაჟის მომავალ ლიდერად, ექსპერტების აზრით, ჩინეთი უნდა ჩაითვალოს, სადაც ეს საქმიანობა „ხელოვნების დონეზეა" აყვანილი. ცსს-ს ინფორმაციით, ჩინეთში გახსნილია სპეციალური კოლეჯი, სადაც მომავალ მზვერავებს ამზადებენ. სტუდენტებს ასწავლიან სამრეწველო შპიონაჟის თეორიას და შემდეგ სტუდენტთა გაცვლის პროგრამით აშშ-ში, ინგლისში, იაპონიასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში აგზავნიან „პრაქტიკის გასავლელად". ისინიც თავს არ „ირცხვენენ". საყოველთაოდ ცნობილი გახდა ფაქტი, როცა ერთ-ერთ ფრანგულ ფოტოფირების მწარმოებელ ფირმაში ექსკურსიისას, ჩინელი სტუდენტები, ვითომდა შემთხვევით, ჰალსტუხის წვერს ქიმიურ რეაქტივებში ისველებდნენ, რათა შემდეგ მისი ქიმიური შემადგენლობა დაედგინათ. ეკონომიკური შპიონაჟის „ფერხულში" აქტიურად ჩაებნენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიც. მაგალითად, გასულ წელს ჩეხეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე, ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ სპეცსამსახურებს ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ეკონომიკური შპიონაჟის წინააღმდეგ ბრძოლა და უცხოეთის გასაღების ბაზრებში შესაღწევად ჩეხური ფირმების დახმარება დაუსახა. ჩეხეთის სპეცსამსახურებმა აქტიურად უნდა „იმუშაონ" იმ უცხოელ პოლიტიკოსებთან და ბიზნესმენებთან, რომლებიც ქვეყნისთვის სტრატეგიულ ექსპორტისა და იმპორტის საკითხებს წყვეტენ.

მსგავსი მაგალითების მოხმობა მრავლად შეიძლება, მაგრამ ძირითადი უკვე ნათელია – ყველა ქვეყანა ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს სპეცსამსახურების რესურსები და ბერკეტები ეკონომიკური ლიდერობის უზრუნველსაყოფად ან სულაც ეკონომიკური განვითარების საშუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო დონის მისაღწევად.

საინტერესოა, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში? ეკონომიკური შპიონაჟის პრობლემა საქართველოს სინამდვილეში ეკონომიკური დივერსიებისა და საბოტაჟის პრობლემებად იქცა. სტრატეგიული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის დაცვა სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისაგან, წინა ხელისუფლების მიერ „შეცდომით“ გაგებული იქნა, როგორც კერძო ბიზნესის „წილში ჩაჯდომის“ პროცესი და მათთვის ყველაზე „მსუყე ლუკმად“ იქცა. ქვეყანა თავზე გვენგრეოდა — სტრატეგიულ საწარმოებს ხელოვნურად აკოტრებდნენ და საეჭვო ფირმებს აძლევდნენ, კონტრაბანდული საწვავი „ეშელონებით“ შემოდიოდა, სახეზე იყო საბოტაჟისა და ეკონომიკური დივერსიის აშკარა ფაქტები და ამ დროს სპეცსამსახურები 100 ლიტრი ბენზინისა და „პამპერსების“ შემომტანებს დასდევდნენ. ამიტომაც ეკონომიკური უსაფრთხოების თემა უკვე იმდენად კომპრომეტირებულია, რომ არცაა გასაკვირი საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

სპეცსამსახურების მოსალოდნელი რეორგანიზაციის პროექტში ეკონომიკური შპიონაჟისა და კონტრშპიონაჟის მიმართულებები საქართველოს სპეცსამსახურების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად უნდა იქცეს. ამ ამოცანის შესასრულებლად კი ახლებურად უნდა მოხდეს „უშიშროების საკითხებში ოფიცრების“ როლისა და ფუნქციების გააზრება. ჩვენი აზრით, ამ ოპერატიული თანამშრომლების გაშიფვრამ დადებითი შედეგი არ მოგვცა, რადგანაც დაირღვა ყველა სპეცსამსახურის ეფექტური მოქმედების მთავარი პირობა — კონსპირაციულობა.

საქართველოს სპეცსამსახურები სისტემატურად უნდა მოიპოვებდნენ, აანალიზებდნენ და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას აწვდიდნენ რეკომენდაციებს ძირითადი სტრატეგიული რესურსების (ნავთობი, ხორბალი, ბუნებრივი აირი და ა.შ.) მოპოვებისა და გასაღების მსოფლიო ბაზრებზე არსებული მდგომარეობის, განვითარების პერსპექტივებისა და ცალკეული ქვეყნების საგარეოეკონომიკური პოლიტიკის შესახებ. ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის დასაცავად უნდა ჩამოყალიბდეს მჭიდრო ინფორმაციული კავშირი სპეცსამსახურებსა და ბიზნესმენებს შორის, უნდა გამკაცრდეს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის და საჯარო სამსახურში პიროვნების დანიშვნისას სპეცშემოწმების მოთხოვნები.

გასაგები მიზეზების გამო, საქართველოს სპეცსამსახურების რეორგანიზაციის კონკრეტული საკითხების საჯარო განხილვა მიზანშეუწონლად მიგვაჩნია.

# ალექსანდრე რუცკოი — თანამედროვე რუსეთის სახე



ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რა დარიგებას აძლევს სსრკ გმირი, რუცკოი რუს კურსანტებს...

რუსეთის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის გმირი, საშა რუცკოი ერთობ მხიარული და „საზრიანი“ კაცი იყო. განსაკუთრებით არყის დალევის შემდეგ „ეხსნებოდა“ გონება. რუსი ჟურნალისტების მტკიცებით, ამ ქვეყნის არმიის ისტორიაში რუცკოი ერთადერთი რუსი ოფიცერი იყო, რომელიც სამჯერ ჩავარდა ტყვედ. ავღანეთის ომის დროს მფრინავი რუცკოი სამჯერ ჩამოაგდეს და ტყვედ აიყვანეს. საბჭოთა კავშირმა სამჯერვე გადაუხადა ფული მოჯახედებს და გამოისყიდა. ალბათ ამ ფაქტმაც იმოქმედა რუცკოის „გონებაგახსნილობაზე“. ერთხელ გალეშილი მთვრალი რუსული ბომბდამშენების ესკადრილიის გამოგზავნას აპირებდა თბილისის დასაბომბად, მაგრამ მისი ბედისწერა მაინც ავღანეთი იყო. 1991 წლის ნოემბერში ის ოფიციალური ვიზიტით პაკისტანსა და ავღანეთში ჩავიდა. ჩასვლის მიზანი ძალზე კეთილშობილური იყო — რუცკოის მოჯახედების ტყვეობაში მყოფი რუსი მეომრები უნდა გამოეხსნა, დიდი ზარზეიმით მოსკოვში ჩაეყვანა და აცრემლებული მშობლებისათვის ჩაებარებინა. მის დელეგაციაში მრავლად იყვნენ რუსეთის სამხედრო („გრუ“) და საგარეო („სვრ“) დაზვერვების მაღალჩინოსნები, რომელთაც ტყვეების სიები ჰქონდათ. ჯერ პაკისტანში ჩაფრინდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რუს ტყვეებს უკვე ისლამიც მიეღოთ და ცოლების მოყვანაც მოესწროთ. რუცკოი ხელცარიელი ბრუნდებოდა, თვითმფრინავის ტრაპზე ასვლისას თვალწინ რუსეთის ალკოჰოლის მოყვარულთა უგვირგვინო მეფის, პრეზიდენტ ელცინის დამცინავი ღიმილი წარმოუდგა. ..... თუმცა აღმოჩნდა, რომ რუცკოის ალაჰი სწყალობდა. ბოლო წუთებში ერთი მომცრო ტანის ბიჭი მოუყვანეს, ეროვნებით თურქმენი სახელად ხაბიბულა. გახარებულმა ვიცე-პრეზიდენტმა ისლამაბადის აეროპორტშივე ჩაატარა პრესკონფერენცია უცხოელი ჟურნალისტებისათვის, ხაბიბულა გულში ჩაიკრა და სამჯერ გადაკოცნა. გაოგნებულ და ატირებულ „ტყვეს“ სიტყვის თქმაც არ აცალეს ისე „შეაგდეს“ თვითმფრინავში. აფრენისთანავე პირველ სალონში რუცკოიმ გრანდიოზული სმა გააჩაღა. ეს ისტორია აქვე დამთავრდებოდა, რომ არა ერთი „პატარა“ ნიუანსი. რუსმა მზვერავებმა მხოლოდ ქაბულში გაარკვიეს, რომ „საბჭოთა მეომარი“ ხაბიბულა ავღანელი თურქმენი ყოფილა, რომელიც ბავშვობიდან „კალაშნიკოვით“ ხელში საბჭოთა ჯარებსა და მათ ავღანელ „ძმას“ — ნაჯიბულას ებრძოდა, რომლის ტყვეობიდანაც სული ახლახან გაქცეულა. ასე რომ, ქაბულში მას უეჭველი სიკვდილი ელოდა. ამიტომაც საცოდავი ხაბიბულა თვითმფრინავიდან არ გადმოდიოდა, სანამ საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლები არ მივიდნენ. რუცკოიმ და მისმა თანამგზავრებმა რამდენიმე ათასი დოლარი გადაუხადეს წითელ ჯვარს, რათა ხაბიბულა როგორმე კვლავ პაკისტანში დაებრუნებინათ. ასე იხსენებს რუცკოის ამ „გმირულ“ ეპოპეას ამ ამბების უშუალო მონაწილე, ცნობილი რუსი ჟურნალისტი ანდრეი კარაულოვი.

რუბრიკა მოამზადა
პოლკოვნიკმა
ბესიკ ალადაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ ზრუნავს აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგული მეომრების ბედზე?

1992-93 წლის ქართულ-აფხაზური სამხედრო კონფლიქტის შემდეგ ორივე მხრიდან 1000-მდე სამხედრო და სამოქალაქო პირი ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად. დაღუპულთა მოძიება და გადმოსვენება ჯერჯერობით ერთადერთი საკითხია, რაშიც სოხუმი და თბილისი საერთო ენას პოულობს. თუმცა, მოძიების პროცესს საკმაოდ ბევრი ფაქტორი აფერხებს, რის გამოც ენგურის ორივე ნაპირზე ასობით მშობელი 11 წელია, ამაოდ ელოდება დაღუპული შვილის ცხედრის დაბრუნებას.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ცხედრების მოძიებისა და გადმოსვენების სამთავრობო კომისია, საქართველოსა და სეპარატისტული აფხაზეთის კონფლიქტის დასრულებისთანავე შეიქმნა. უკვე მაშინ, სხვადასხვა სამხედრო და სამოქალაქო უწყებაში გაბნეული მონაცემები ცხადყოფდა, რომ ასობით ადამიანის ცხედარი დარჩა აფხაზეთის ტერიტორიაზე. საქართველოს მხრიდან სამთავრობო კომისიის უცვლელი წევრია ვლადიმერ დობორჯგინიძე, რომელიც თავადაც ეძებს შვილის ცხედარს.

თბილისელ ბელა ზალდასტანიშვილს ორი შვილი და ტყუპი ძმა ქართულ-აფხაზური ომის დამთავრებამდე ოთხი დღით ადრე დაეღუპა. თვითმფრინავი, რომელშიც სხვა მებრძოლებთან ერთად ქალბატონ ბელას შვილები და ძმები იმყოფებოდნენ, სეპარატისტებმა ბაბუშერას აეროდრომზე დაშვების დროს ააფეთქეს.

„ოთხივე ერთად მუშაობდა, ოთხივე 22 სექტემბერს ერთად იჯდა და მერე არაფერი ვიცი. ცნობილია მხოლოდ, რომ ის თვითმფრინავი აფეთქდა და გადმოსვენებული არც ერთი არ არის". ბოლო დღეებში დაიღუპა სოხუმში ვლადიმერ დობორჯგინიძის ერთადერთი ვაჟი 25 წლის ზურაბ დობორჯგინიძე, რომელიც სპეცდანიშნულების ნაწილთან ერთად აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, სოხუმის აღების შემდეგ დახვრეტილ, ჟიული შარტავას იცავდა. ვლადიმერ დობორჯგინიძემ შვილის დაღუპვის ამბავი მხოლოდ ოქტომბრის ბოლოს შეიტყო. „სოხუმის დაკარგვის ერთი თვის თავზე ჩამოვიდა გენადი ფიცხელაური, რომელიც ჩვენს ბიჭებთან ერთად იყო. მან გვითხრა, რომ ეს ბიჭები სოხუმში 9 აპრილის მემორიალთან დახვრიტეს, და ცამეტ კაცში, ჩემი შვილიც დაასახელა", — იხსენებს ვლადიმერ დობორჯგინიძე.

კონფლიქტის დასრულების შემდეგ ხელისუფლებას დაღუპულთათვის არ ეცალა, ამიტომ სულ მალე, შვილმოკლულმა მშობლებმა დააარსეს უგზო-უკვლოდ დაკარგული მეომრების მოძიების არასამთავრობო ორგანიზაცია „მოლოდინი", რომელსაც სათავეში სწორედ ვლადიმერ დობორჯგინიძე ჩაუდგა.

ნიშანდობლივია, რომ აფხაზეთის მხრიდან ანალოგიურ არასამთავრობო ორგანიზაციას ასევე უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლის დედა, ცნობილი საზოგადო მოღვაწე გული კიჩბა თაოსნობს. ჩვენთან სატელეფონო საუბარში, რომელიც ორი თვის წინ შედგა, გული კიჩბამ განაცხადა, რომ ასეთი ორგანიზაციები იმიტომ შეიქმნა, რომ გაუბედურებულ მშობლებს ერთმანეთისთვის ხვედრი შეემსუბუქებინათ და ხელისუფლება ამ პრობლემაზე დაეფიქრებინათ.

„მეც დამეღუპა შვილი და ისიც უგზო-უკვლოდ არის დაკარგული. მხოლოდ იმისთვის, რომ დავხმარებოდით ერთმანეთს წმინდა ადამიანური თვალსაზრისით და შემდეგშიც არ განმეორდეს მსგავსი რამ, უშუალოდ დაღუპული მებრძოლების მშობლებმა გადავწყვიტეთ, შევხვედროდით ანალოგიურ ქართულ კომიტეტს და ეს შეხვედრა გაიმართა".



ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია „მოლოდინის" თავმჯდომარის ვლადიმერ დობორჯგინიძის ინფორმაციით, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება 860-ზე მეტი მებრძოლი. ხოლო ანალოგიურ აფხაზურ ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით, მათ რამდენიმე ათეული, როგორც ქართველი, ისე აფხაზი მეომრის მოძიება და გადმოსვენება შეძლეს.

„დღემდე გადმოვასვენეთ 164 მებრძოლი და მოქალაქე, მათ შორის პარტიზანიც. ასევე ცოცხლად გამოვიყვანეთ 231 ქართველი, აფხაზურ მხარეს გადავეცით 87 პირი და 49 მიცვალებული", — ჰყვება ვლადიმერ დობორჯგინიძე.

მიუხედავად ქართველ და აფხაზ მშობელთა ორგანიზაციების საერთო კეთილგანწყობისა, როგორც გული კიჩბა ამბობს, ქართულმა მხარემ ჯერჯერობით არ წარმოადგინა იმ 135 აფხაზი მეომრის სამარხის სქემა, რომლებიც დაღუპულად ითვლებიან. შესაბამისად, აფხაზურ არასამთავრობო ორგანიზაციას ხელ-ფეხი აქვს შებორკილი, განაგრძოს ქართველი მებრძოლების გვამების მოძიება და პატრონებისთვის დაბრუნება. კიჩბა არც იმას გამორიცხავს, რომ ზოგიერთი ქართველი მეომრის ცხედარი საერთოდაც არ აღმოჩნდეს არც ერთ იმ სამარხში, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობს.

„ბევრი ქართველი მეომრის გვამს, სამწუხაროდ, სამხედრო ხელმძღვანელობა ზღვაში ისროდა — ეს ცნობილი ფაქტია. ამიტომ მირჩევნია ვთქვა მწარე სიმართლე, ვიდრე ლამაზი ტყუილი — ბევრი ქართველი დედა, სამწუხაროდ, ვერ იპოვის თავისი შვილების ცხედარს", — გვითხრა სატელეფონო საუბარში გული კიჩბამ.

ომში დაღუპული მებრძოლების მშობლები ენგურის ორივე მხრიდან, საერთაშორისო წითელი ჯვრის მხარდაჭერით სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ოჩამჩირეში და შეთანხმდნენ, დახმარებოდნენ ერთმანეთს დაღუპული შვილების ცხედრების მოძიებაში. მაგრამ ბოლო დროს აფხაზეთში განვითარებული მოვლენების გამო უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა მოძიების სამთავრობო კომისიებს შორის ურთიერთობა შეწყდა. მშობელთა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც განაგრძობენ ტრადიციულ შეხვედრებს გალის ტერიტორიაზე, სამთავრობო სტრუქტურების დახმარების გარეშე უჭირთ დაღუპულთა ცხედრების სამარხების მოძიება და გადმოსვენება. არადა, ომის დროს დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ ქართველთა და აფხაზთა რაოდენობა 1000 კაცს აღემატება.

**კობა ლიკლიკაძე,**
**„რადიო თავისუფლება"**
**სპეციალურად „არსენალისთვის"**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუპერ-წინადადება!

## გამოიწერეთ
# პრესა საბითუმო ფასად

# -20%

ერთი „არსენალი“
1,50 ლარის ნაცვლად
1,20 ლარი
დაგიჯდებათ!




| | |
|---|---|
| 10% | — კვირის პალიტრა |
| 10% | — სიტყვა და საქმე |
| 10% | — მკურნალი |
| 10% | — კარიბჭე |
| 15% | — გზა |
| 15% | — რეიტინგი |
| 15% | — კარუსელი |
| 15% | — TVკარუსელი |
| 15% | — საბავშვო კარუსელი |
| 20% | — ბომონდი |
| 20% | — უძრავი ქონება |
| 20% | — ლიტერატურული პალიტრა |

ინდივიდუალური საფოსტო ყუთების მონტაჟი

ჟურნალ-გაზეთების ადგილზე მიტანა უფასოა

ფასდაკლება ვრცელდება ერთწლიანი ხელმოწერის შემთხვევაში
თბილისის მაცხოვრებლებისა და ორგანიზაციებისათვის
შპს „ელვასერვისი“. ტელ: 33-26-73; 42-43-40

23664

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველი, რომელმაც ამერიკელებს თვითმფრინავების აგება ასწავლა



## პირველი ამერიკული ტაქტიკური ბირთვული ბომბი ალექსანდრე ქართველის ბომბდამშენმა წაილო

ვიეტნამის სანაპიროსთან გაცხარებული ბრძოლა მიმდინარეობდა. ამერიკულმა გამანადგურებელ-ბომბდამშენმა ვიეტნამელების ამფიბია-თვითმფრინავის ჩამოგდება სცადა. ეს უკანასკნელი ბოლო წამს დაუსხლტა ზებგერითი „ქორის“ კლანჭებს და თავი ნავსაყუდელს შეაფარა.

მაშინ, 40-ოდე წლის წინ, შორეული ვიეტნამის ცაში ორი, ამერიკული და საბჭოთა წარმოების თვითმფრინავი „შეეჯახა“ ერთმანეთს. სინამდვილეში ვიეტნამელების შეიარაღებაში არსებული საბჭოთა Бе-6 ტიპის ამფიბია-თვითმფრინავი, ისევე როგორც ამერიკელების ზებგერითი F-105 „ტანდერჩეფი“, ქართველების ხელით იყო შექმნილი. Бе-6-ის კონსტრუქტორი გახლდათ გიორგი ბერიაშვილი (ბერიევი), ხოლო F-105-ისა – ალექსანდრე ქართველიშვილი (ქართველი).

ამჯერად მოგითხრობთ შორეულ ამერიკაში მოღვაწე ალექსანდრე ქართველზე, რომლის მიერ შექმნილმა სამხედრო თვითმფრინავებმა დიდი როლი ითამაშეს ამერიკული ავიაციის განვითარებაში.

ალექსანდრე ქართველიშვილი 1896 წელს დაბადებულა თბილისში, სოლოლაკში, მოსამართლის ოჯახში.

სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, პირველი მსოფლიო ომის დროს, იგი რუსეთის არმიაში არტილერისტად მსახურობდა. ფრონტზე ალექსანდრეს პირველად უნახავს თვითმფრინავები და სამუდამოდ მოხიბლულა ავიაციით. 1919 წელს პარიზში გაგზავნეს, სადაც უმაღლესი საავიაციო სკოლა დაამთავრა და ინჟინრის დიპლომი მიიღო. იგი აპირებდა დამოუკიდებელ საქართველოში შეექმნა სამხედრო ავიაცია, მაგრამ 1921 წელს ბოლშევიკების შემოჭრამ აიძულა, საფრანგეთში დარჩენილიყო.

თავიდან ალექსანდრე ქართველიშვილს არ უმართლებდა, ვერ შოულობდა მუდმივ სამუშაოს, ხან მათემატიკას ასწავლიდა, ხანაც ტანვარჯიშს. ბოლოს და ბოლოს, თვითმფრინავის მართვა ისწავლა და ცნობილი ავიაკონსტრუქტორის, ბლერიოს ფირმაში მფრინავ-გამომცდელად მოეწყო. საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ ერთ-ერთი ახალი თვითმფრინავის გამოცდისას ალექსანდრე ავარიაში მოყვა, ხერხემალი და კისერი დაიზიანა და მფრინავის პროფესიას დაემშვიდობა. ალექსანდრე ქართველიშვილს ამის გამო საავიაციო ინჟინრის პროფესია არ მიუტოვებია. ერთ-ერთ ფირმაში კონსტრუქტორად დაიწყო მუშაობა და მონაწილეობა მიიღო იმ დროისათვის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი თვითმფრინავის შექმნაში.

ახალგაზრდა ქართველ ინჟინერს თავის გამოჩენა სურდა და ორ ფრანგ კოლეგასთან ერთად შექმნა შვიდძრავიანი, 50-ტონიანი სამგზავრო თვითმფრინავის პროექტი, რომელსაც 60 მგზავრი უნდა გადაეყვანა პარიზიდან ნიუ-იორკში. ეს იმ დროისთვის, შეიძლება ითქვას, ფანტასტიკური ჩანაფიქრი გახლდათ და ეტყობა, იმიტომაც ვერ განხორციელდა. სამაგიეროდ, ერთ-ერთი ტრანსატლანტიკური გადაფრენის დასრულების შემდეგ ალექსანდრე ქართველმა გაიცნო ამერიკელი მილიონერი ლევინი. ლევინი დაინტერესდა ქართველის გიგანტური თვითმფრინავის პროექტით და ქართველი კონსტრუქტორი ამერიკაში მიიწვია.

ასე მოხვდა ალექსანდრე ქართველიშვილი, რომელიც უკვე ქართველად იწერებოდა, ჩრდილოეთ ამერიკაში. ებრაული წარმოშობის ამერიკელ მილიონერ ლევინთან პარტნიორული საქმიანობა ვერ გაგრძელდა, რადგან ამ უკანასკნელმა ფული დაზოგა და ქართველს ექსპერიმენტული თვითმფრინავის ასაგებად ნახმარი ავიაძრავა უყიდა, რომელმაც თვითმფრინავი ჰაერში ვერ ასწია.

1931 წელს ალექსანდრე ქართველი ამერიკაში შეხვდა ცნობილ რუს ავიაკონსტრუქტორს სევერსკის, რომელმაც ქართველი კოლეგა თავის ახალჩამოყალიბებულ ფირმაში მიიღო მთავარი ინჟინრის პოსტზე.

1939 წელს ამ საავიაციო ფირმაში დიდი ცვლილებები მოხდა. ალექსანდრე ქართველი დააწინაურეს – ფირმის ვიცე-პრეზიდენტად და ამავე დროს საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელად დანიშნეს.

სწორედ ამ დროიდან იწყება კონსტრუქტორ ალექსანდრე ქართველის ინჟინრული ნიჭის სრულფასოვანი გამომჟღავნება – 40-იანი წლების დასაწყისამდე იგი საავიაციო ფირმა „რიპაბლიკის“ მიერ გამოშვებული ყველა საბრძოლო თვითმფრინავის მთავარი კონსტრუქტორი გახლდათ.

მათ შორის გამორჩეულად უნდა აღინიშნოს გამანადგურებელი P-47 „ტანდერბოლტი“. ეს თვითმფრინავი აღიარებულია მეორე მსოფლიო ომში ერთ-ერთ უძლიერეს ერთძრავიან გამანადგურებლად, რომელიც წარმატებით ებრძოდა როგორც იაპონურ „ზეროებს“, ისე გერმანულ „მესერშმიდტებს“.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ავიაცია რეაქტიულ ძრავებზე გადავიდა. ამ მნიშვნელოვან პროცესს არც ქართველის „რიპაბლიკი“ ჩამორჩა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა და გამოვიდა მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი სერიული რეაქტიული გამანადგურებელი თვითმფრინავი F-84 „ტანდერჯეტი“. ის აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში 1947 წელს მიიღეს და მალევე კორეის ომში „გაამწესეს“. ქართველის „ტანდერჯეტი“ კორეის ცაში გაჩაღებულ საჰაერო ბრძოლებში აშკარად ჩაგრავდა კორეელთა მხარეზე მებრძოლ მიქოიანის МиГ-9-ებსა და იაკოვლევის Як-15-ებს. მაგრამ კორეის თავზე ახალი, თბილისის 31-ე საავიაციო ქარხნის მიერ გამოშვებული МиГ-15-ების გამოჩენის შემდეგ ქართველის „ტანდერჯეტებს“ ძალზე გაუჭირდათ. ალექსანდრე ქართველის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან რეკორდულად მცირე დროში, სულ 6 თვეში, გამოუშვა „ტანდერჯეტის“ მოდერნიზებული, ისრისებრფრთიანი მოდიფიკაცია F-84F „ტანდერსტრაიკი“, რომლის მაქსიმალური სიჩქარე 1150 კმ/სთ-მდე გაიზარდა. ამის შემდეგ კორეის ცაში უფრო ხშირად ჩნდებოდნენ ხოლმე ცეცხლმოდებული МиГ-ები, რამაც ძალიან განარისხა სტალინი. მალე ბერიას მზვერავებმა უმაღლეს მთავარსარდალს მოახსენეს, რომ მისი ნაქები МиГ-ების მრისხანე მტრები ბოლშევიკების მიერ საქართველოდან გაძევებული ქართველი კონსტრუქტორის მიერ შექმნილი თვითმფრინავები იყვნენ.

სულ გამოშვებული იქნა 4457 ერთეული F-84 „ტანდერჯეტი“ და 3461 ცალი F-84F „ტანდერსტრაიკი“, რამაც „რიპაბლიკის“ ფირმას უდიდესი ფინანსური მოგება მოუტანა.



F-105 „ტანდერჩიფი“

ალექსანდრე ქართველის კონსტრუქტორული ნიჭის გვირგვინად თვითმფრინავი F-105 „ტანდერჩიფი“ იქცა. ეს იყო პირველი ამერიკული ზებგერითი გამანადგურებელ-ბომბდამშენი, რომელსაც ტაქტიკური დანიშნულების ბირთვული ბომბის წაღება შეეძლო, თანაც ეს ბომბი სპეციალურ ბომბსათავსში ინახებოდა და გარედან არ ჩანდა, მიჰქონდა თუ არა თვითმფრინავს ბირთვული იარაღი.

ქართველის „ტანდერჩიფები“ წლების განმავლობაში გამზადებულნი იდგნენ NATO-ს სამხედრო აეროდრომებზე, რომ მესამე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ბირთვული დარტყმა მიეყენებინათ საბჭოთა არმიის შენაერთებისთვის.

სხვათა შორის, ქართველის „ტანდერჩიფები“ თურქეთში, ამერიკულ სამხედრო ბაზაშიც იყო თავმოყრილი. მათი მთავარი სამიზნე გახლდათ თბილისსა და მის ახლოს



P-47 „ტანდერბოლტი“

არსებული საბჭოთა სამხედრო დანაყოფების დისლოკაციის ადგილები და სატანკო შენაერთები.

საბედნიეროდ, „ცივი“ ომი ნამდვილში არ გადაიზარდა და ქართველის გამანადგურებელ-ბომბდამშენები მისი შემქმნელის ისტორიულ სამშობლოს სასიკვდილო „ნობათით“ არ სწვევიან. სამაგიეროდ, „ტანდერჩიფებმა“ თავი ვიეტნამის ომში გამოიჩინეს. ორიგინალური კონსტრუქციის (ქართველის „ტანდერჩიფი“ მსოფლიოს ყველა დანარჩენი საბრძოლო თვითმფრინავისგან მკვეთრად განსხვავდებოდა წაწვეტებული ჰაერმიმღებებით) თვითმფრინავები ვიეტნამის ომში უმთავრესად ბომბდამშენებად გამოიყენებოდა. მათ დიდი ზარალი მიაყენეს ვიეტნამელ პარტიზანებს. სულ გამოშვებული იქნა 800-ზე მეტი F-105.

1962 წელს 66 წლის ალექსანდრე ქართველი პენსიაზე გავიდა, მაგრამ მალე იგი მთავარ კონსულტანტად მიიწვიეს ფირმა „ფერჩაილდ ინდასტრიში“. 1965 წლიდან ქართველი მუშაობდა ორ საიდუმლო პროექტზე, რომლებიც დღეს მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი — მოიერიშე A-10A „ტანდერბოლტ-2“ და ლეგენდარული F-15 „იგლი“.

ქართული წარმოშობის ცნობილი ამერიკელი ავიაკონსტრუქტორის მოღვაწეობა ყოველთვის ძალიან აინტერესებდა საბჭოთა სადაზვერვო ორგანოებს. დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერაფერს გახდნენ და დამატებითი ცნობების მოპოვება ქართველის თბილისელი ნათესავებისგან განიზრახეს. ნათესავებმა, ცხადია, მასზე არაფერი იცოდნენ, მხოლოდ ის შეიტყვეს შემთხვევით, რომ „ვაშინგტონ პოსტის“ 1974 წლის 24 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ნეკროლოგი, რომელიც იუწყებოდა, რომ 77 წლის ასაკში ლონგ აილენდში გარდაიცვალა ცნობილი P-47-ისა და F-105-ის კონსტრუქტორი, მისტერ ალექსანდრე ქართველი...



F-84 „ტანდერჯეტი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დუსტი საგზლის მაგიერ



ზაფხულის ღამე იდგა. ახალი დაძინებულები ვიყავით, რომ ღამის პირველ საათზე განგაშით გაგვაღვიძეს. ჩვენდა გასაკვირად, №4 ფორმის ჩაცმა გვიბრძანეს, მაგრამ ეკიპირების გარეშე. რამდენიმე წამში სრულ მზადყოფნაში ვიყავით. ჩვენთვის არაფერი განუმარტავთ, სატვირთო მანქანებში ჩაგვსვეს და აეროპორტის გზას გაგვიყენეს. იქ უკვე სატრანსპორტო-სადესანტო თვითმფრინავი АН-22 გველოდა. გაოცებულები უფროსებს ვეკითხებოდით: „რაშია საქმე". კითხვაზე მხოლოდ ერთ პასუხს ვიღებდით: „შეწყვიტეთ ლაპარაკი!" შემდეგ თვითმფრინავში ჩასხდომა გვიბრძანეს. ეს სულაც არ იყო ჩვეულებრივი, კომფორტულსავარძლებიანი თვითმფრინავი. სალონის გასწვრივ ორ რიგად ჩამწკრივებულ რკინის უზურგო სკამებზე მოვთავსდით. ველოდით, როდის დაგვირიგებდნენ პარაშუტებს, თანაც გვიკვირდა, კიტელსა და „პილოტკაში" გამოწყობილებს რა ნახტომი უნდა გაგვეკეთებინა. თუმცა არც პარაშუტების დარიგებით შეწუხებულა ვინმე.

თვითმფრინავი აფრინდა და ჩვენთვის გაურკვეველი მიმართულებით აიღო გეზი. ახლა უკვე ერთმანეთს ვეკითხებოდით: „ნეტავ, სად მივფრინავთ, რა მოუვიდა თავში ჩვენს უფროსობას?" ეს კითხვა კარგა ხანს უპასუხოდ რჩებოდა, მაგრამ ჩვენ მიჩვეული ვიყავით მოულოდნელ ექსტრემალურ სიტუაციებს და იმასაც, რომ არ გვეფიქრა, მერე რა გველოდა. ამიტომ 15-20 წუთში ყველამ მონატრებულ ძილს მივეცით თავი. მხოლოდ მაშინ გავიღვიძეთ, როდესაც თვითმფრინავი ეშვებოდა. თვითმფრინავიდან გადმოვედით თუ არა, მოგვაწყვეს, შემდეგ მწყობრით მიგვიყვანეს აეროპორტის ტერიტორიაზე მდგარ სატვირთო მანქანასთან, საიდანაც ფორმების დარიგება დაიწყეს. გვიბრძანეს, იქვე გამოგვეცვალა ფორმა. ხოლო როდესაც მშრალი ულუფისა და იარაღის დარიგება დაიწყეს საბრძოლო მასალასთან ერთად, ეჭვი აღარავის შეჰპარვია, რომ ამ საქმეს დენთის სუნი უდიოდა. ისევ მოგვაწყვეს და გვარების მიხედვით გამოძახება დაიწყეს, შემდეგ ჯგუფებად დაგვყვეს. პრაპორშიკ „მარტორქას" ჯგუფში მოვხვდი. იგი ამ სახელით გაგვაცნეს, ნამდვილი გვარ-სახელით იგი ჩვენთვის არ წარუდგენიათ, თუმცა ეს ამბავი არც გაგვკვირვებია, ვიცოდით, რომ დივერსიულ-სადაზვერვო ჯგუფში ყველა მეტსახელით მოქმედებს. გულში კი ყველას გვეცინებოდა, ეს კაცი, განსაკუთრებით თავისი ცხვირით, მართლაც წააგავდა მარტორქას. სხვათა შორის, ჩვენი ჯგუფი ნამდვილი ზოოპარკი იყო. ერთი „ჯიქი" იყო, მეორე „სპილო", მესამე „ვეფხვი" და ასე შემდეგ; თავად მე „მარტოხელა მგელს" მეძახდნენ, ალბათ იმიტომ, რომ მაშინ, ისევე, როგორც ახლა, მარტოობა მიყვარდა. „მარტორქამ" ცალკე მოგვაწყო და მოგვახსენა, რომ ჩვენ ვიმყოფებოდით ქალაქ კუშკას ახლომდებარე საიდუმლო სამხედრო აეროდრომზე და გენერალური შტაბიდან მიღებული გვქონდა ბრძანება — ავღანეთის ერთ-ერთი აული დუშმანებისგან გაგვეწმინდა. ეს ოპერაცია საჭირო იყო იმისთვის, რომ ჩვენი ჯარების კოლონისთვის გზა გაგვეთავისუფლებინა. ეს აული ქალაქ ყანდაღართან ახლოს მდებარეობდა. „მარტორქამ" ჩვენ წინ ამ აულის გეგმა გაშალა და გვკითხა: „რა წინადადებები გექნებათ". რამდენიმე წუთში ყველამ სათითაოდ მოვახსენეთ მეთაურს ჩვენი წინადადებები. მან ყურადღებით მოგვისმინა, დაახლოებით ხუთი წუთი იფიქრა. შემდეგ კი ოპერაციის ჩატარების მის მიერ შემუშავებული გეგმა, სადაც ზოგიერთი ჩვენი მოსაზრებაც იყო გათვალისწინებული, ბრძანების სახით მოგვაწოდა. ახლა უკვე გავიკეთეთ პარაშუტები, ჩავსხედით თვითმფრინავში, სადაც გვითხრეს, რომ 200 მეტრის სიმაღლიდან უნდა გადმოვმხტარიყავით. ეს კი პარაშუტისთვის ძალზე დაბალი სიმაღლეა. როგორც მიღებულია, ამ შემთხვევაში სამამდე დათვლა არ ხდება, პარაშუტის გასახსნელ ჭილიბს პირველივე წამზე უნდა გამოეკრას ხელი. უკვე გათენებას აპირებდა, როდესაც ჩვენი თვითმფრინავი გადმოხტომის წერტილს მიუახლოვდა. ჩაირთო სირენა და სათითაოდ დავიწყეთ თვითმფრინავიდან გადმოხტომა. დავეშვით თუ არა, პარაშუტებს სახელდახელოდ მივაყარეთ მიწა. ეს სპეცპარაშუტები იყო, რომლის სუნს ძაღლიც ვერ გრძნობს. გეგმის მიხედვით, ორმა სნაიპერმა თავისი პოზიცია დაიკავა. ჯგუფის დანარჩენმა წევრებმა დუშმანების აყვანის ოპერაცია დავიწყეთ, მაგრამ... თიხისგან აშენებულ არც ერთ ქოხში, კაციშვილი არ იყო, მხოლოდ ძაღლები ყეფდნენ. ცოტა ხანში გავაცნობიერეთ, რომ მთელი აული ცარიელი იყო. მეთაურს მოვახსენე, რომ სავარაუდოდ, სამი-ოთხი საათის წინ აულის მოსახლეობა აიყარა. ამას ვგრძნობდი სუნით, რომელიც სახლში იდგა. „მართლაც მგლის ყნოსვა გქონია, მარტოხელა მგელო", — მითხრა მეთაურმა. ყნოსვა ყნოსვად, მაგრამ ვინ შეატყობინა დუშმანებს ჩვენ შესახებ? ეს კითხვა უპასუხოდ დარჩა. ჩვენ კი აული ისე დავტოვეთ, რომ დავალება ვერ შევასრულეთ. ახლომდებარე მედესანტეთა ბაზაზე მივედით, ბაზის მეთაურს ყველაფერი მოვახსენეთ, მან კი გაიკვირვა: „ჩემთვის არავის უცნობებია, რომ აქ საჯარისო კოლონას უნდა გაევლო". ჩვენ არანაკლებ გავიკვირვეთ, ნუთუ მას არ უნდა უზრუნველყო ეს კოლონა დაცვითა და ბლოკპოსტებით? ამ ბაზის ახლოს არსებული უღელტეხილი ხომ ყველაზე სახიფათო იყო კოლონისათვის. როდესაც ნორმალური პასუხი ვერავისგან გავიგეთ, ბევრი ფიქრით თავი აღარ შეგვიწუხებია, ღამენათევები პირდაპირ მიწაზე მივწექით და დავიძინეთ. თუმცა დიდხანს ძილი ვინ გვაცალა — ისევ განგაშმა გამოგვაფხიზლა. შორიახლო სროლის ხმა ისმოდა. სწორედ იმ აულიდან გახიზნული დუშმანები ესხმოდნენ თავს საბჭოთა ჯარის კოლონას. პარტიზანული ტაქტიკის მიხედვით, დუშმანებმა ესროლეს და დააზიანეს ჯერ კოლონის წინ მიმავალი, შემდეგ კი კოლონის ბოლოში მიმავალი ჯავშანტრანსპორტიორები. ორმხრივი სროლა გაჩაღდა. მედესანტეებმა ჯავშანტრანსპორტიორებითა და ქვეითთა საბრძოლო მანქანებით დროზე მიუსწრეს მახეში გაბმულ ალყაშემორტყმულ კოლონას. დუშმანებმა უკან დაიხიეს. ცხადია, ამ შეტაკებას უდანაკარგოდ არ ჩაუვლია, მსხვერპლი ორივე მხრიდან იყო.

შემდგომში კიდევ იყო დივერსიულ-სადაზვერვო გასვლები, მაგრამ ამგვარი რამ არასოდეს განმეორებულა.

მომდევნო სადაზვერვო გასვლაზე კი ასეთი რამ მოხდა: ახალი ოპერაციის ჩასატარებლად ისევ ავღანეთში მოვხვდით. საბჭოთა დაზვერვამ მოიპოვა ინფორმაცია, რომ „დუხებს" (ასე უწოდებენ რუსები დუშმანებს) პაკისტანიდან ვირების ქარავნით იარაღი უნდა გადმოეტანათ. ჩვენი ამოცანა იყო აღმოგვეჩინა ეს ქარავანი და გაგვენადგურებინა.

სამი დღის განმავლობაში არავის შევუწუხებივართ, უსაქმოდ დავყიალობდით ტრიალ მინდორში გაშლილ სამხედრო ნაწილში. „დაისვენეთ, აკლიმატიზაცია გაიარეთ", —

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვეხუმრებოდნენ უფროსები. გული მოგვდიოდა, რომელი საკურორტო ზონა იყო, რომ დაგვესვენა გაუსაძლის სიცხეში, ავღანეთის მცხუნვარე მზის ქვეშ. ამას არცთუ მოსაწონი საჭმელი და თბილი და უგემური წყალიც ემატებოდა, ოპერაციის დაწყებას ვნატრობდით.

მესამე დღეს სადილის შემდეგ მოგვაწყვეს და მოგვახსენეს, რომ ქარავანი ავღანეთის ტერიტორიაზე იყო გადმოსული, მას დიდი რაოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალა მიჰქონდა დუშმანების ერთ-ერთ საველე მეთაურთან, დუსთუმთან. ჩვენი ამოცანა შეგვახსენეს და მოსამზადებლად ნახევარი საათი მოგვცეს. დაზვერვამ ქარავნის სავარაუდო გეზი მიგვითითა, ჩვენ კი რუკაზე ჩასაფრებისთვის ყველაზე მოსახერხებელი ადგილები შევარჩიეთ. დაახლოებით გავთვალეთ, რომ ქარავანი ჩვენ მიერ შერჩეულ ადგილზე ორ დღეში იქნებოდა, ამიტომ მასალისა და აღჭურვილობის გამზადება დავიწყეთ. გადაწყდა, რომ დრაგუნოვის სნაიპერულ შაშხანას არ წავიღებდით, რადგან სროლა ახლო მანძილზე, 50-100 მეტრიდან მოგვიწევდა. ამისთვის კი სრულიად საკმარისი იქნებოდა კალაშნიკოვის – 5.45 მმ-იანი АКС-74 (დასაკეცი კონდახით) ავტომატები.

ეს ჩვენი მეორე სადაზვერვო გასვლა იყო და ჯერ კიდევ გამოუცდელები ვიყავით. ჩვენი მეთაური კი საკმაოდ გამოცდილი, უფროსი ლეიტენანტი გახლდათ, გვარად სკალოზუბი, მეტსახელად „КЛЫК“, ანუ „ეშვი“. როდესაც საკვების მარაგს ვამზადებდით, მეთაურმა მარაგის ნახევარიც კი არ ჩაგვაწყობინა. სანაცვლოდ ზურგჩანთა სავაზნე კოლოფებით გაგვავსებინა: „აბა, ორი დღე რა ვჭამოთ“, – გაკვირვებულები ვეკითხებოდით მას. პასუხი ისეთი შემაძრწუნებელი იყო, ხმა აღარ ამოგვიღია. „გააკეთეთ, რასაც გეუბნებით, „სალაგებო“. ტყვია-წამალი რომ გამოგელევათ და დუშმანები დაგატყვევებენ, ჯერ დაგკოდავენ, შემდეგ თავებს მოგაჭრიან. მერე დაღექით და ჭამეთ თქვენი მარაგი“, – მშრალად განგვიმარტა მეთაურმა. რამდენიმე წამში საშინელი მყრალი სუნი მეცა. მეთაურს თეთრი ფხვნილით სავსე ტომარა გაეხსნა და ჩვენკენ გამომცდელად იყურებოდა: „დუსტია, ეს ჩვენი საჭმელი იქნება“. მეთაურს დაუფიქრებლად მივუახლოვდი და შევიცხადე: „ეს უნდა ვჭამოთ?! ამას ხომ დუშმანის ტყვია ჯობია“. მეთაურმა დაუყოვნებლივ დამიბრუნა პასუხი – მუშტი „მზის წნულში“ (კუჭის მიდამოში). დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ რამდენიმე წამით სუნთქვა შემეკრა. როცა ამოვისუნთქე, მან მხარზე მეგობრულად დამკრა ხელი და მითხრა: „მარტოხელა მგელო, რატომ არ აიცილე დარტყმა. მზვერავად ჯერ არ ვარგიხარ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბევრს ლაპარაკობ. მეორეც, მუდმივად ხიფათს არ ელი. პროფესიონალი მზვერავი მაშინაც კი უნდა ელოდეს ხიფათს, როდესაც ქალთან ერთად საწოლში ნებივრობს“, – და ხელი გამომიწოდა. მარჯვენა ხელი გავუწოდე და მარცხენათი, ჩემი ჭკუით, მოულოდნელად მოკრივეების „ჰუკის“ დარტყმა „შევასრულე“. „კლიკმა“ დარტყმა დაუყოვნებლივ მოიგერია, ხელი დამიჭირა და ისე ამომიტრიალა, მეგონა, მხარი მომტყდა. მეორე ხელის უზარმაზარი მტევანი კი კიბორჩხალას მარწუხივით წამიჭირა ყელში. მერე ხელები გამიშვა და დამარიგა – ასე, შვილო, ისწავლე, სანამ ცოცხალი ვარო.

მოსამზადებელი დრო უკვე იწურებოდა, რამდენიმე წუთში იარაღი და აღჭურვილობა ავისხით და ნაწილის გარეთ გავედით, სადაც ვერტმფრენი Ми-8 უკვე გველოდა. ვერტმფრენში პარაშუტების გარეშე ჩავსხედით და თორმეტტონიანი მანქანა მიწას მოსწყდა. ვერტმფრენმა მიცემული კურსი აიღო. ილუმინატორიდან კარგად ჩანდა, როგორ ისროდა ვერტმფრენი პატარ-პატარა ნათებებს. ეს მოწინააღმდეგის რაკეტის ასაცილებლად ინფრაწითელი მახეები იყო. რამდენიმე წუთში ვერტმფრენი დანიშნულების წერტილს მიუახლოვდა, შემდეგ დაბლა დაეშვა და მიწიდან ორიოდე მეტრის სიმაღლეზე გაჩერდა. ჩვენ მიწაზე გადმოვხტით, შემდეგ შევიკრიბეთ და ჩვენი ადგილმდებარეობა რუკაზე აღვნიშნეთ. ავირჩიეთ მიმართულება და მეთაურის ბრძანებით, ხან სირბილით, ხან სიარულით გავუდექით გზას. როდესაც იმ ადგილამდე მივაღწიეთ, საიდანაც ქარავანზე თავდასხმა უნდა განგვეხორციელებინა, საკმაოდ დაღლილები ვიყავით. საჭმელი ვჭამეთ და ქარავნის მოლოდინში ვისვენებდით. მოსაღამოვდა, დაღამებიდან დილამდე ერთმანეთის მონაცვლეობით ვიძინებდით. მეორე დილას მეთაურმა მითხრა: „წამოდი, გაჩვენო, როგორ გვეხმარება დუსტი ჭამაში“. ბუჩქს ორი გრძელი ტოტი მოატეხა, ჯოხის ბოლოები დუსტში ამოსვარა და კლდის ნაპრალში შეყო, იქიდან შრიალის ხმა მოისმა. მეთაურმა დანა ამოიღო და მთხოვა, მეც ასე მოვქცეულიყავი. რამდენიმე წამში ნაპრალიდან გველი გამოსრიალდა. მეთაურმა მყისიერად წაავლო თავში ხელი და სწრაფად მოაჭრა იგი. პირველ გველს მეორე მოჰყვა და მეც იგივე გავიმეორე. შემდეგ მათ კიდევ ორი გველი მივაყოლეთ, შევწვით და გემრიელადაც გეახელით.

მეორე დღეს შორიახლო ხმები მოისმა – ქარავანი მოდიოდა. მეთაურმა ჩუმი სიგნალი მოგვცა, ყველამ ჩვენი პოზიციები დავიკავეთ და ქარავნის მოლოდინში გავყუჩდით. ცოტა ხანში ქარავნის პირველი ორი მოჯაჰედი გამოჩნდა. მივხვდით, რომ ისინი კოლონის მზვერავები იყვნენ. რა თქმა უნდა, ისინი გავატარეთ, რომ ქარავანი პანიკას არ მოეცვა. მალე ქარავნის პირველი სახედარიც გამოჩნდა, რომელიც 82 მმ-იანი ნაღმტყორცნის ორი ე.წ. „ბლინით“ იყო დატვირთული („ბლინი“ არის 70 კგ-იანი ფოლადის დისკი, რომელზეც ეყრდნობა ნაღმტყორცნის ლულა). პირველს მეორე მოჰყვა, შემდეგ მესამე და ა.შ. ზოგიერთ ვირს ხელყუმბარმტყორცნი РПГ-7 ჰქონდა აკიდებული, ზოგს ავტომატები, ზოგს კი ვაზნებით სავსე ყუთები. განსაკუთრებით ის ვირები იყო მნიშვნელოვანი, რომლებსაც საბჭოთა მფრინავების რისხვა, „სტინგერები“ ჰქონდა აკიდებული. სულ მალე ქარავანი ყველაზე სახიფათო, ვიწრო მონაკვეთში შევიდა, რომლის ერთ მხარეს კლდე იყო, მეორე მხარეს – ხრამი. ყველანი მზად ვიყავით, რამდენიმე წამი უსასრულოდ გაიწელა. საკუთარი გულისცემა ყველას მკვეთრად გვესმოდა. პირველმა მეთაურმა გაისროლა, მისმა ტყვიამ ქარავნის წინ მიმავალი პირველი მოჯაჰედი მოცელა. ქარავანი წამსვე შეჩერდა, ვირები დაფრთხნენ. წამიერი სიჩუმე ორმა გასროლამ დაარღვია. ეს იყო ხელყუმბარებიდან ჭილიბის ამოვარდნის შემდეგ წარმოქმნილი ხმა. ეს კლდის ქიმის უკან ჩასაფრებული ჩვენი ბიჭები იყვნენ, რომლებმაც თითო ხელყუმბარა РГД-5 ჩამოაგდეს ქარავნის თავსა და ბოლოში. ამან ქარავანში საშინელი პანიკა გამოიწვია. ხალხზე მეტად ვირები შეშინდნენ. ავღანელები ვირების დაშოშმინებას ცდილობდნენ, მაგრამ მათი მისამართით უკვე გამანადგურებელი ავტომატური ცეცხლი გავხსენით. ზევიდან ისევ ცვიოდა ყუმბარები. ქარავანი სრულმა ქაოსმა მოიცვა. სახედრები ტვირთიანად ხრამში ცვიოდნენ, ზოგიერთი ტყვიისგან ეცემოდა. საშინელი ყვირილი და ყროყინი ისმოდა. დაახლოებით ერთ წუთში ქარავანი განადგურებული იყო. საბედნიეროდ, ჩვენი ჯგუფის ყველა წევრი უვნებლად გადარჩა. იქვე შევიკრიბეთ. მეთაურის ბრძანებით, რადისტმა ღია ტექსტით აცნობა უფროსობას, რომ დავალება მთელი მოცულობით იქნა შესრულებული. იმავე ვერტმფრენით მშვიდობით დავბრუნდით უკან.

**ემზარ ნადირაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოში გავრცელებული სანადირო ცხოველები, მათზე ნადირობის წესები და საშუალებები







**გარეული ღორი.** გვხვდება როგორც მთის, ისე ჭალის ტყეებში. ძირითადად მუხის, წიფლისა და წაბლის ტყეებში ბინადრობს. იკვებება ნაყოფით, ბალახით, ფესვებითა და ცხოველური საკვებით. მაკეობს დეკემბერ-იანვარში, აპრილ-მაისში ყრის 5-10 გოჭს. გოჭები ქარვისფერზოლიანები არიან.

ღორზე ნადირობენ ძაღლით, მორეკვით, საკვებად გამოსასვლელ ადგილებში ღამით ჩასაფრებით. ესვრიან ტყვიას და მსხვილ კარტეჩს. აქვს უგემრიელესი რბილი ცხიმიანი ხორცი.

**შველი.** ბინადრობს მთის ტყეებში, ჭალის ტყეებში, კოლხეთის დაბლობის გარდა, ალარსად მოიპოვება. იკვებება მცენარეთა ფოთლებითა და ყლორტებით. უყვარს სამარილეები. მაკეობს აგვისტო-სექტემბერში. მაის-ივნისში შობს 4-მდე თეთრხალებიან ნუკრს. აქედან მხოლოდ ორ ნუკრს ზრდის. შველზე ნადირობენ მდევარი ძაღლებით, მორეკვით, ჯგუფურად, ერთეულად და სამარილეებთან ჩასაფრებით. ესვრიან კარტეჩს. აქვს ცილებით მდიდარი მჭლე და რბილი ხორცი.

**ირემი.** ირმის რიცხოვნობა საქართველოში უკიდურესად შემცირებულია. ერთეულები მოიპოვება ლაგოდეხის, ბორჯომისა და ლიახვის ნაკრძალებში. ჭალის ტყეებში შემორჩენილია მხოლოდ გარდაბნის სატყეო-სამონადირეო მეურნეობაში. ძირითადად ტყეში ბინადრობს, საძოვრად გამოდის ველობებზე, აქვს მარილის დიდი მოთხოვნილება, ლოკავს დამლაშებულ ნიადაგს. რქები აქვს მხოლოდ მამრს, რომელსაც ყოველ წელს მარტის დამდეგს იცვლის. სექტემბერ-ოქტომბერში მიმდინარეობს ირმის მყვირალობა. მაის-ივნისში შობს ერთ (იშვიათად ორ) თეთრხალებიან ნუკრს.

ირემზე ნადირობენ როგორც ერთეულად, ისე ჯგუფურად, მდევარი ძაღლით, მორეკვით და სამარილეებთან ჩასაფრებით. ესვრიან ტყვიასა და მსხვილ კარტეჩს, მისი ხორცი მჭლე და მაგარია, მაგრამ ცილებით მდიდარი. ამჟამად მასზე ნადირობა აკრძალულია. შეტანილია წითელ წიგნში.

**ჯიხვი.** კავკასიონის ქედის ენდემია. ბინადრობს სუბალპურსა და ალპურ ზონაში არვეებად. თავს აფარებს კლდიან ადგილებს. საძოვრად დილა-საღამოს გამოდის მდელოებზე. ზამთარში ტყის სარტყელში ჩამოდის.

ზაფხულში ჯიხვები და შუნები ცალ-ცალკე არვეებს ქმნიან. ისინი ნოემბერში ერთიანდებიან, როცა ქერშილობა იწყება. ივნისში შობს ერთ ან ორ თიკანს. ჯიხვი ძალიან ფრთხილი, ძნელად მოსანადირებელი ცხოველია, მასზე ყველა ვერ ნადირობს. თუმცა ხშირად, ვერტმფრენის გამოყენებით დაუზოგავად ჟლეტენ ამ ცხოველს და მალე გადაშენება მოელის, თუ მის დასაცავად საგანგებო ზომები არ იქნება მიღებული. მასზე ნადირობენ შორს მსროლელი შაშხანებით, ავტომატებით. აქვს ძვირფასი ხორცი, ტყავი. რქები 200-300 დოლარამდე ფასობს. შეტანილია წითელ წიგნში. მოკვლა აკრძალულია.

**ნიამორი.** უკიდურესად შემცირებულია, შეტანილია წითელ წიგნში. ჩვენთან ის მხოლოდ სამ უბანზე — თუშეთში, შატილსა და აჭარაში — ხიხანის მთაში ბინადრობს. მისი ტიპური ადგილსამყოფელია თიხაფიქლის კლდეებიანი ქსეროფილური ფიჭვნარებიანი, ძნელად მისადგომი ადგილებით. იკვებება ნეკერით, ბალახით, ხავსითა და მღიერებით. ბოტობა ნოემბერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარეობს, მაის-ივნისში შობს ორ თიკანს და კარგადაც ზრდის.

ნიამორს აქვს ძვირფასი ხორცი, ტყავი, განსაკუთრებით ძვირად ფასობს მისი რქები, რის გამოც ბრაკონიერები სპობენ. მასზე ნადირობენ შორს მსროლელი შაშხანებით. მოკვლა აკრძალულია.

**არჩვი.** მთის ტყეებში, კლდიან ადგილებში ბინადრობს. ადის ალპურ ზონაშიც. ქმნის პატარ-პატარ ჯგუფებს. იკვებება ბალახითა და ნეკერით. უყვარს ჩანჩქერების ახლოს ყოფნა და ლოდებზე დგომა, ზვავებზე წოლა. ის ნოემბერში მაკეობს, მაის-ივნისში შობს 1-2 თიკანს, რომლებიც სწრაფად იზრდებიან და მეორე წელს მშობლებს უტოლდებიან. დედალსა და მამალს აქვს ერთნაირად მოკაუჭებული რქები და სქესი ნადირობისას ძნელი გასარჩევია. განმარტოებული ვაცი „მარტოფსიტა“ ხშირად სათესლეების ავთვისებიანი სიმსივნითაა დაავადებული და იღუპება. მოკვლა აკრძალულია, მაგრამ ბრაკონიერები მაინც ნადირობენ, როგორც შორს მსროლელი შაშხანებით, ისე გლუვლულიანი თოფებით. მდევარი ძაღლების დახმარებით, მორეკვით. აქვს შავი, მაგარი, მაგრამ გემრიელი ხორცი, ქონი სწრაფად იყინება.

**ქურციკი.** უკიდურესად შემცირებულია, შეტანილია წითელ წიგნში. ერთეულების სახით გვხვდება შირაქში — ელდარსამუხის ველზე, სადაც ზაფხულობით აზერბაიჯანიდან შემოდის. მისი ადგილსამყოფელი ზამთარში შინაურ პირუტყვს უკავია. ბინადრობს ჯგუფებისა და ფარების სახით. იწერბება დეკემბერში, მაისში შობს 1-2 თიკანს. მასზე ნადირობენ გლუვლულიანი თოფებით (მანქანებიდან და ვერტმფრენებიდან), ესროდნენ კარტეჩს. ამჟამად ნადირობა აკრძალულია.

**დათვი.** ტყის ბინადარია, იკვებება მცენარეული ნაყოფითა და ცხოველური საკვებით. დეკემბერში შედის ბუნაგში და ეძლევა ძილქუშს. გამოდის მარტის ბოლოს. მაკეობს ივნისში, ბელებს ზამთარში შობს.

დათვზე ნადირობენ მორეკვით, შემოდგომით, როცა მსუქანია. მოიპოვებენ ბუნაგებში თოფით, ესვრიან ტყვიას და მსხვილ კარტეჩს, იჭერენ ხაფანგებითა და ყულფით, უსაფრდებიან ღამით ნაყოფმსხმოიარე ხეებთან. აქვს ძვირფასი ტყავი, ნაღველი და ქონი სამკურნალოდ გამოიყენება, ხორციც იჭმება, მაგრამ მისი გამოყენებისას სიფრთხილეა საჭირო, რადგან ხშირად ტრიქინელოზით ავადდება.

**მგელი.** ფართოდაა გავრცელებული, დიდ ზიანს აყენებს მეცხოველეობას, განსაკუთრებით სამონადირეო მეურნეობას. ნადირობს ოჯახურად, ხროვებად. მძუნაობას დეკემბერ-იანვარში იწყებს, ორი თვის შემდეგ ბუნაგში ყრის 6-8 ლეკვს.

მგელი ჭკვიანი და ფრთხილია, მასზე ნადირობენ ბუნაგებში, თოფით, მორეკვით, ხაფანგით, ყულფით, მოშხამვით, მძორსა და სავალ ბილიკებზე უგებენ თოფებს, რაც დაუშვებელია. მას ესვრიან მსხვილ (5-8, 8-10 მმ-იან) კარტეჩს ან ტყვიას.

**ტურა.** ძირითადად გავრცელებულია ჭალის ტყეებში. გვხვდება ტყის ქვედა საზღვრებშიც. ბინადრობს ბუჩქიან ადგილებში. იგი მტაცებელია, დიდ ზიანს აყენებს სანადირო ცხოველებს. მძუნაობას იწყებს თებერვალში, ორი თვის შემდეგ ყრის 4-7 ლეკვს,

ტურაზე ნადირობენ ძაღლის გამოყენებით, მორეკვით, თოფით, ესვრიან მსხვილ №№ 1; 2; 3 საფანტს. იჭერენ ყულფებით, 3 და 5 ნომერი ხაფანგებით. გამოიყენება მისი ტყავი.

**მელა.** ფართოდაა გავრცელებული, გვხვდება როგორც მთაში, ისე ბარში, როგორც ტყეში, ისე ველებზე. ძირითადად, იკვებება მღრღნელებით, რითაც უდიდესი სარგებლობა მოაქვს, მაგრამ დიდ ზიანს აყენებს მიწაზე მობუდარ ფრინველებსა და კურდღელს. მძუნაობს იანვარ-თებერვალში, 54 დღის შემდეგ, ღრმა სოროში ყრის 4-6 ლეკვს.

მელას ძვირფასი ტყავი აქვს. ამისთვის მასზე ნადირობენ მრეწველები. მოიპოვებენ თოფით, ხაფანგებით, ყულფებით, მძორზე ღამე ჩასაფრებით, ესვრიან №№ 1; 2 საფანტს.

**კვერნა.** ძირითადად, ტყეში ბინადრობს, არ ერიდება ადამი-









ეროვნული ბიბლიოთეკა

## მონადირის მცნებანი

- მთვარიან ღამეში ჯგუფურ ნადირობაზე თავი შეიკავეთ, სახიფათოა. ღამით ნადირობა შეიძლება მხოლოდ ჩასაფრებითა და სინათლის გამოყენებით. შენახვისას თოფი შეამოწმე, შიგ ნუ ჩატოვებ გატენილ ვაზნას.
- თოფი შეინახე დაშლილი, ხალთაში ჩადებული; ტყვია-წამალი დაკეტილში, მშრალ და ბნელ ადგილას.
- მგზავრობისას თოფი თოფხალთაში ჩადებული ატარე.
- მოხსნილი თოფი მიაყუდე ან ისე დადე, რომ ტუჩი შენკენ არ იყოს მომართული.
- დადებული ან მიყუდებული თოფის აღებისას ლულაში ჩაიხედე, ამით ხიფათს აიცდენ.
- ნადირობის დროს შესვენებისას თოფი გადახსენი და ისე მიდი მეგობრებთან.
- კარგი სპორტსმენი მონადირე დაწოლილ ნადირსა და დამჯდარ ფრინველს არ ესვრის.
- უცოდველი მონადირე არ არსებობს, ბუნების წინაშე იყავი გულმართალი, დროულად აღიარე შენი შეცდომები და გამოასწორე, ის მოგიტევებს.
- ჯერ მოამრავლე, მერე ინადირე.
- ტყვიასა და საფანტს ბავშვებს ნუ მისცემ სათამაშოდ, ის ტოქსიკურია და თვითონაც ერიდე.
- ნუ ინადირებ შხამით, შებოლებით, მანქანითა და პროჟექტორით, ნურც სტიქიაში (წყალში, ზვავში, თოვლში) მოყოლილ ნადირს ესვრი. ეს საცოდაობაა — საზარელია.

ანის სამოსახლოს. ხშირად შედის სხვენებსა და საბძლებში. იტაცებს შინაურ ფრინველებს. ზიანს აყენებს გარეულ ფრინველებს, ციყვსა და კურდღელს, მაგრამ ძვირფასი ბეწვი აქვს და სასარგებლოდ ითვლება. მასზე ნადირობენ მეკვერნე ძაღლის გამოყენებით, თოფით (ესვრიან 5 ნომერ საფანტს), მცირეკალიბრიანი შაშხანით, უგებენ ხაფანგებს, სარეგვავებს, ძუის მახეებს.

კატა. ტყეში ბინადრობს, მას შორ მანძილზე არ სცილდება, რადგან გაჭირვებისას თავს ხეზე ასვლით იცავს. ძირითადად ცხოველური საკვებით იკვებება. დიდ ზიანს აყენებს ფრინველებს, მაგრამ მღრღნელებისა და მავნე ხოჭოების განადგურებით სარგებლობაც მოაქვს. მძუნაობს თებერვალ-მარტში, ორი თვის შემდეგ ყრის 3-6 კნუტს. რიცხობრივი სიმცირის გამო მისგან გამოწვეული ზიანი შეუმჩნეველია. ბეწვი მდარე ხარისხისაა, ამიტომ მასზე ჩვენთან არ ნადირობენ.

ფოცხვერი. გავრცელებულია როგორც მთის, ისე ბარის ტყეებში, ეწევა ფარულ ცხოვრებას და ნაკლებად შესამჩნევია. დიდ ზიანს აყენებს სანადირო ცხოველებს. მძუნაობს მარტში, 70 დღის შემდეგ შობს 2-5 კნუტს.

ფოცხვერი ფრთხილია, იმალება ხეებზე — ყოველთვის ჩასაფრებულია, იქიდან ესხმის თავს მსხვერპლს, ადვილად იმორჩილებს შველს, არჩვს, ირმის ნუკრს. აქვს ლამაზი წინწკლებიანი ძვირფასი ბეწვი. მასზე ნადირობა არ ეწყობა, შემთხვევით კლავენ თოფით, ებმება მგლისთვის დაგებულ ხაფანგსა და ყულფში.

მაჩვი. ძირითადად კულტურული ლანდშაფტის მომიჯნავე ტყეებში ბინადრობს. აქ იკეთებს ღრმა სოროს და ღამით ნათესებში გამოდის საკვებად. დიდ ზიანს აყენებს სიმინდის ნათესებს. იკვებება ცხოველური საკვებითაც. ნაკლებად მოძრაობს, მალე სუქდება. აქვს ცხიმიანი რბილი ხორცი, საფენებად გამოიყენება ტყავიც. მასზე ნადირობენ ღამით, ყანებში ჩასაფრებით, ესვრიან მსხვილ 1; 2 ნომერ საფანტს. ადვილად იჭერენ სოროს კარზე 5 ნომერი ხაფანგის დაგებით.

კურდღელი. საქართველოს ბუნებაში ფართოდაა გავრცელებული, ძირითადად ბუჩქნარიან ადგილებში ბინადრობს. ხშირად გვხვდება კულტურულ ლანდშაფტში, სადაც ნარგაობას აზიანებს. საკვებად გამოდის ღამით, დღისით იმალება და სძინავს, რადგან ბევრი მტერი ჰყავს.

კურდღელი მაისიდან აგვისტომდე მაკეობს და წელიწადში ზოგჯერ სამ თაობას ასწრებს. თვე-ნახევარში შობს 2-4 ბაჭიას, მათ რამდენიმე დღეში ტოვებს. ისინი დამოუკიდებლად იზრდებიან.

კურდღელი საუკეთესო სპორტული სანადირო ობიექტია. აქვს გემრიელი ხორცი, გამოიყენება ტყავიც. მასზე მდევრებითა და თოფით ნადირობენ, ესვრიან 4; 5 ნომერ საფანტს.

***ჩაიწერა ანა ფალიანმა***

## ტყეში რომ არ დავიკარგოთ

გამოუცდელი მონადირისთვის ტყეში გზის გაკვლევა ძნელია. ხშირ შემთხვევაში, ნადირობით გატაცებული დამწყებები ტყეში იკარგებიან. ასე, უმეტესად რამდენიმე კაცისგან შემდგარ ჯგუფებს ემართებათ, რადგან ჯგუფის თითოეულ წევრს მეორის იმედი აქვს და გავლილ გზას აღარ იმახსოვრებს. ამიტომ ყოველთვის თავად უნდა დაიმახსოვროთ გადალახული ტერიტორიები და სხვის იმედზე არ უნდა იყოთ. ორიენტირებისთვის ბევრი საშუალება არსებობს. რამდენიმე მათგანის ცოდნა დაკარგვის უსიამოვნებას თავიდან აგაცილებთ. თუ კომპასი თან გაქვთ, ტყეში შესვლისას მოძრაობის მიმართულება უნდა დაიხსომოთ. გამომსვლელი, შესაბამისად, საწინააღმდეგო მიმართულება იქნება. კომპასი უქონლობის შემთხვევაში, შეგიძლიათ კუსტარულად, ნემსითა და ხის ნაფოტით დაამზადოთ. ნემსი დაამაგრეთ ნაფოტზე და ეს მოწყობილობა ჩადეთ გუბეში ან წყლით სავსე ჭურჭელში. ნემსით ჩრდილო-სამხრეთის ღერძზე ორიენტირდება. საუკეთესო ორიენტირია მზე. დილის 7 საათზე მზე აღმოსავლეთითაა, 13 საათისთვის — სამხრეთით, ხოლო 19 საათისთვის — დასავლეთით. პოლუსების გარკვევა ღამითაც შეიძლება. გზამკვლევად ვარსკვლავები გამოიყენეთ. დიდი დათვის თანავარსკვლავედის გასწვრივ მყოფი პოლარული ვარსკვლავი ყოველთვის ჩრდილოეთისკენ მიგვითითებს. გაზაფხულზე თოვლი ბორცვების ჩრდილოეთ მხარეზე შემორჩება ხოლმე. ყინული კი მდინარეების სამხრეთ ნაპირზე უფრო დიდხანს ძლებს. ხეებისა თუ სხვა მცენარეების სამხრეთი მხარე უფრო ადრე ყვავდება და ნაყოფს ისხამს. ხავსი კი ჩრდილოეთის მხრიდან ეკიდებათ. თუ ძნელად გასავლელ ტყეში დაიკარგეთ და უკვე ბინდდება, გზის ძებნა უმჯობესია დილისთვის გადადოთ. სანამ სულ დაბნელდება, მოემზადეთ ღამის თევისთვის. მოიმარაგეთ შეშა და დაზოგეთ საკვები. ცეცხლის პირას მჯდომარეს თუ მამლის ყივილი, ძაღლის ყეფა ან სხვა ხმა მოგესმათ, ნუ გაეშურებით მაშინვე, უმჯობესია დაიხსომოთ ხმების მიმართულება, რაც დილით გზის გაკვლევაში დაგეხმარებათ.

***ლევან ებრალიძე***



# ყველაზე მძიმე ძლიერი ძვირი

# „გენერალი აბრამსი"

## „აბრამსის" შექმნით ვაშინგტონმა ტანკებში მოსკოვს აჯობა

გინახავთ, რას წარმოადგენს სატანკო დუელი? ალბათ, ძირითადად, ტელევიზორში, მაგრამ სულ სხვა განცდაა, როდესაც იმ ტანკში ზიხარ, რომელიც ისვრის. ხოლო თუ იმ ტანკში მოგიხდათ ყოფნა რომელსაც ესვრიან... აი, მაშინ მატულობს, თუ მატულობს სისხლში ადრენალინი...

სწორედ ამგვარი სატანკო დუელები, პირველად 21-ე საუკუნეში, ერთი წლის წინ ერაყის ტერიტორიაზე გაიმართა, როდესაც ბაღდადისკენ დაძრული ამერიკული სატანკო დანაყოფები ქვიშაში ჩაფლულ ერაყელთა T-72-ებს შეუჩერებლად ანადგურებდნენ.

სიმართლე რომ ითქვას, ეს ბრძოლები ახლოსაც ვერ მივა 1991 წლის „უდაბნოს ქარიშხლის" ოპერაციასთან, რადგან მაშინ სადამ ჰუსეინის არმია უფრო ბრძოლისუნარიანი გახლდათ, ვიდრე 2003 წელს.

ამ ერთმანეთთან 12 წლით დაშორებულ სატანკო დუელებს კი ის აერთიანებს, რომ პენტაგონმა წინ „აბრამსის" ტიპის სატანკო შენაერთები გაუშვა, რომლებმაც პირისაგან მიწისა აღგავეს ყველა ის თავდაცვითი ზღუდე, რომელთა იმედზეც დიქტატორი ჰუსეინი გახლდათ.

პენტაგონის შეიარაღებაში „აბრამსების" გამოჩენის შემდეგ აშშ-ის არმია თავისი სატანკო დანაყოფების სიძლიერითა და ტანკების ხარისხით გაუსწორდა და, შეიძლება ითქვას, გაუსწრო თავის მთავარ კონკურენტს, საბჭოთა კავშირს, მოგვიანებით კი რუსეთს. მანამდე, ტრადიციულად მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდის ამერიკული ტანკები, თუგინდ M-48 „გენერალი პატონი" ან M60 არაფრით სჯობდნენ საბჭოთა T-55-სა თუ T-62-ს, ხოლო საბჭოთა არმიის შემადგენლობაში T-64-ებისა და T-72-ის გამოჩენის შემდეგ მოსკოვის უპირატესობა აშკარა გახდა.

1980 წელს ამერიკულმა არმიამ შეიარაღებაში M1 „აბრამსის" ტიპის ტანკების მიღება დაიწყო. ეს ის პერიოდია, როდესაც საბჭოთა სატანკო ნაწილებში T-80-ები გამოჩნდნენ. ერთი შეხედვით, ეს ტანკები ერთმანეთს იმით ჰგავდა, რომ ორივეს ტრადიციული დიზელის ნაცვლად აირტურბინიანი ძრავა ეყენა, სხვა მხრივ, მათი მონაცემები მკვეთრად განსხვავდებოდა, ამას მათი წონაც განაპირობებდა – 46-ტონიან T-80-ს 57 ტონიანი M1 „აბრამსი" უპირისპირდებოდა.

„აბრამსის" ასეთი მასა იმითაა გამოწვეული, რომ რუსი კოლეგებისგან განსხვავებით, ამერიკელმა კონსტრუქტორებმა იზრუნეს, როგორც ტანკის, ისე ეკიპაჟის უსაფრთხოებასა და მისი მუშაობის კომფორტულობაზე.

ვინც T-72-ში ან T-80-ში მჯდარა, აუცილებლად დაამახსოვრდებოდა ის საშინელი სივიწროვე, რომელშიც ამ ტანკების სამკაციანი ეკიპაჟი მუშაობს. ამერიკული „აბრამსის" კოშკურაში კი ტანკის ეკიპაჟის სამი წევრი გამართული დგას და არც ჩაციებული ლუდის

M1A2 „აბრამსი"



ეროვნული ბიბლიოთეკა



**ჩვენი დოსიე:** M1A2 ABRAMS-ის ეკიპაჟი 4 კაცისგან შედგება. ტანკის სიგრძე ქვემეხის ჩათვლით 9.8 მ-ია. სიგანე — 3.6 მ. ხოლო სიმაღლე კი — 2.4 მ. „აბრამსი“ შეიარაღებულია ერთი 120 მმ კალიბრიანი ქვემეხით, ორი 7,62 მმ-იანი და ერთი 12,7 მმ-იანი საზენიტო ტყვიამფრქვევით. ტანკის საბრძოლო მარაგი შეადგენს 40 ქვემეხის ჭურვს, 1000 ვაზნას 12.7 მმ ტყვიამფრქვევისთვის და 12.400 ვაზნას 7.62 მმ ტყვიამფრქვევებისთვის. 1500 ცხ.ძ.-იანი აირტურბინიანი ძრავა 62,5-ტონიან „აბრამსს“ საშუალებას აძლევს ასფალტირებულ გზაზე 67 კმ/სთ სიჩქარე განავითაროს.

ქილების ერთმანეთთან მიჯახუნება ავიწყდებათ ყოველი ზუსტი გასროლის შემდეგ. ერთი ეგაა, რომ ეკიპაჟის მეოთხე წევრი — მძღოლი-მექანიკოსი, ფაქტობრივად, ნახევრად მწოლიარე მდგომარეობაში მართავს მრავალტონიან მანქანას და არც ლუდზე საფიქრელად ცხელა. მისი ასეთი სამუშაო ადგილი კი იმითაა გამოწვეული, რომ ტანკის შუბლა ჯავშანი ძალიანაა დახრილი, რათა იქ მოხვედრილი ჯავშანგამტანი ჭურვები აისხლიტოს. სამაგიეროდ, T-72-ზე მჯდარი კოლეგისგან განსხვავებით, „აბრამსის“ მექანიკოსი უზარმაზარ ბერკეტებს როდი ეჭიდება ტანკის სამართავად. მას ხელთ მოტოციკლის საჭის მაგვარი მოწყობილობა უპყრია, რომლითაც ისე ატარებს ზემძიმე „აბრამსს“, თითქოს ჯოისტიკით თამაშობდეს კომპიუტერულ თამაშებს.

1980 წლიდან დღემდე „აბრამსების“ სამი ძირითადი სერიული მოდიფიკაციაა გამოშვებული. პირველი მოდიფიკაცია M1 „აბრამსი“ იმით გამოირჩეოდა, რომ აღჭურვილი იყო 105 მმ კალიბრიანი სატანკო ქვემეხით. მეორე მოდიფიკაციაზე — M1A1-ზე უფრო მსხვილკალიბრიანი — 120 მმ ქვემეხი დააყენეს, ხოლო „აბრამსების“ უმცროს, მესამე ძმას — M1A2-ს გაძლიერებული ჯავშანი აქვს.

M1A2 „აბრამსი“ იმით გამოირჩევა მსოფლიოს სხვა ქვეყნების მიერ წარმოებული თანამედროვე ტანკებისგან, რომ მის ჯავშანში გამოყენებულია გალარიბებული ურანის შემცველი ჯავშანპანელები. ამის გარდა, მისი ქვემეხის საბრძოლო მარაგშია ასევე გალარიბებული ურანისგან დამზადებული ჯავშანგამტანი ჭურვები. ამ ჭურვების მოქმედების ეფექტურობა არაერთხელ გამოჩნდა ერაყის უდაბნოში — ისინი მოხვედრისას გამჭოლად ხვრეტენ T-72-ის კოშკურის ჯავშანს. „აბრამსების“ კიდევ ერთი უპირატესობა



რუსულ ტანკებთან შედარებით, მისი ულტრათანამედროვე რადიოელექტრონული მოწყობილობაა — მათ თითქმის ოთხი კმ-ის სიშორიდან შეეძლოთ აღმოეჩინათ და შემდეგ დაეზიანებინათ ზუსტი სროლით ერაყელების T-72-ები, როდესაც ამ უკანასკნელებს დამიზნებითი სროლის წარმოება 2 კმ-ზე ნაკლები მანძილიდან ძალუძდათ.

1500 ცხ.ძ.-ის სიმძლავრის მქონე აირტურბინიანი ძრავა „აბრამსს“ საშუალებას აძლევს ადგილიდან დაძვრისას 6 წმ-ში 30 კმ/სთ სიჩქარე განავითაროს. ეს შეიძლება ავტომოყვარულებისთვის არც ისე შთამბეჭდავი იყოს, მაშინ, როდესაც თბილისის ქუჩებში ზოგიერთი თავაწყვეტილი მძღოლი თავის „სუპერმობილს“ 6 წმ-ში 100 კმ/სთ-მდე ავითარებინებს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „აბრამსის“ ბოლო მოდიფიკაცია M1A1-ი 62,5 ტონას იწონის და სატანკო დუელის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ასეთ ელვისებურ „ნახტომებს“, რათა მოწინააღმდეგის ტანკის დამმიზნებელმა ვერ მოასწროს ქვემეხის სამიზნის გასწორება.

არსებობს კიდეც ერთი დიდი უპირატესობა, რის გამოც ტანკისტებს „აბრამსი“ უფრო უყვართ, ვიდრე რუსული ტანკები. საქმე ისაა, რომ ჭურვები რუსულ T-72-ებში, T-80-ებსა თუ T-90-ებში თავად კოშკურაში ინახება. „აბრამსზე“ კი ჭურვები მოთავსებულია სპეციალურ შეჯავშნულ ნიშაში, რომელიც კოშკურას უკნიდან ეკვრის. როდესაც კუმულატიური ჭურვი ან რაკეტა ხვრეტს ტანკის ჯავშანს და ხდება ჭურვების მარაგის დეტონაცია, რუსულ ტანკებში აფეთქების ტალღა კოშკურას აცლის და ეკიპაჟის გადარჩენაზე ლაპარაკი აღარც ღირს (ბევრს ემახსოვრება, სამოქალაქო ომის დროს სამტრედიაში აფეთქებული სამთავრობო ჯარების რუსული T-72-ი —

ივერიელი
ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭურვების დეტონაციამ ტანკის კოშკურა რამდენიმე ათეულ მეტრზე გადაისროლა). „აბრამსის“ ჭურვების მარაგის დეტონაციის შემთხვევაში, აფეთქების ტალღა მთლიანად კოშკურას კი არ ხდის, არამედ ანგრევს ორ სპეციალურ პანელს, საიდანაც გამოდის აფეთქების ტალღის ენერგია და ეკიპაჟის წევრებს გადარჩენის დიდი შანსი აქვთ, თუნდაც კონტუზიის ფასად.

ამდენი შთამბეჭდავი შესაძლებლობის შემდეგ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ „აბრამსის“ მთავარი პრობლემები – სიმძიმე, სიძვირე და უდაბნოს ქვიშებში მოქმედების სირთულე. ტანკის აირტურბინიანი ძრავა ძალიან ბევრ ჟანგბადს მოიხმარს, რომელსაც იმ ჰაერიდან „იღებს“, რომელიც უდაბნოს პირობებში ქვიშის უწვრილესი ნაწილაკებითაა გაჯერებული.

ძრავის ტურბინის შესასვლელზე დაყენებული სპეციალური ფილტრები ვერ აუდიან ჰაერის გაწმენდას ქვიშის ნაწილაკებისგან და „აბრამსების“ ძრავები ხშირად გამოდის მწყობრიდან.

62,5-ტონიან „აბრამსს“ ყველა ხიდი ვერ უძლებს, რაც ართულებს ამ ტანკებით დაკომპლექტებული დანაყოფის ოპერატიულად გადასროლას ბრძოლის ამა თუ იმ უბანზე.

ერაყის ქალაქებში მიმდინარე პარტიზანულმა ბრძოლებმა „აბრამსებს“ კიდეც ერთი ნაკლი გამოუვლინა – ერაყელები ყუმბარსატყორცნის ასდოლარიანი კუმულაციური რაკეტებით ახლო მანძილიდან წარმატებით აფეთქებენ 4-5 მილიონის ღირებულების „აბრამსებს“, რადგან მათ კორპუსის შედარებით ნაკლებად დაცულ ადგილებში – უკან ან კოშკურის თავზე ესვრიან. თუმცა ეს მარტო „აბრამსების“ ავადმყოფობა როდია, გაიხსენეთ დამწვარი რუსული ტანკები გროზნოს ქუჩებში – უბრალოდ, დაუწერელი კანონია, ტანკებს ქვეითების გარეშე არაფერი ესაქმებათ ქალაქის ვიწრო ქუჩებში.



M1A2 „აბრამსი“ ერაყის უდაბნოში ჰუსეინის T-72-ებისა და T-55-ების რისხვად იქცა

დღემდე გამოშვებულია 3268 ცალი M1 და 3546 ერთეული M1A1 მოდიფიკაციის „აბრამსი“. 1994 წლიდან მხოლოდ M1A2 მოდიფიკაცია იწარმოება. ეგვიპტემ ამერიკული ლიცენზიით თავადაც დაიწყო M1A1-ების წარმოება, კაიროს ქარხანაში. 2008 წლამდე 555 „აბრამსი“ უნდა აეწყოს. საუდის არაბეთი ამერიკელებისგან 315 ცალ M1A2-ს ყიდულობს, რითაც მოძველებულ ფრანგულ ტანკებს შეცვლის.

ქართული არმიის შეიარაღებაში ამერიკული „აბრამსების“ თუნდაც სულ პირველი მოდიფიკაციების გამოჩენა ფანტასტიკის სფეროში გადადის და სიმართლე ითქვას, არც გვჭირდება, რადგან ჯერ ერთი, საქართველოს ხიდები ამერიკულ „მონსტრებს“ ვერ გაუძლებენ და არც ქართველ ტანკისტებს ეყოფათ ცოდნა ამ ტანკების რთული რადიოელექტრონული აპარატურის მოსამსახურებლად, ისევე, როგორც ქართულ სამხედრო ბიუჯეტს არ ეყოფა თანხები „აბრამსების“ მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში სამყოფად.

*ირაკლი ალადაშვილი*




| | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | ორშ. |
| სამშ. | 4 11 18 25 | 1 8 15 22 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | სამშ. |
| ოთხშ. | 5 12 19 26 | 2 9 16 23 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | ოთხშ. |
| ხუთშ. | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | ხუთშ. |
| პარ. | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | პარ. |
| შაბ. | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | შაბ. |
| კვ. | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | კვ. |



# CORRIDA

***კორიდა ადამიანისა და საგანგებოდ გაწვრთნილი ხარის (ტორო ბრავო) ორთაბრძოლაა. მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლის ბედი ყველასათვის წინასწარ არის ცნობილი, მატადორისთვის საფრთხე მაინც არსებობს. ეს შთამბეჭდავი სანახაობა თავისი სპეციფიკისა და პოპულარობის გამო მრგვალ ამფითეატრებში ღია ცის ქვეშ იმართება. კორიდას ხშირად ტრაგედიას ადარებენ, რომელსაც დრამისთვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი გააჩნია — პროლოგი, როდესაც საგანგებო საზეიმო სამოსში ჩაცმული მონაწილეები ალლუმით გამოდიან არენაზე. აქ არიან: მატადორი (ანუ ტორერო), რომელიც წითელი ნაჭრით აღიზიანებს ხარს; ბანდერილიერო — იგი ჭრელ წამახულ ჯოხებს არჭობს პირუტყვს და პიკადორი — მხედარი, რომელიც შუბით აღიზიანებს ცხოველს.***

კორიდა, ფაქტობრივად, თეატრალური წარმოდგენაა. პირველ აქტში პიკადორი ჩხვლეტს ხარს, ტორერო კი თვალწინ უფრიალებს ნაჭერს და გრაციოზულად იგერიებს თავდასხმას. მეორე აქტში ბანდერილიერომ მოხერხებულად უნდა ჩაარჭოს ხარს ქედში ორი ბანდერილი. მესამე და უკანასკნელი აქტი არის მატადორისა და ხარის შერკინება. ეპილოგში კი, თუ მაყურებელი სანახაობით კმაყოფილია, ტორეროს ხარის კუდით ან ყურით აჯილდოებს.

სავარაუდოდ, კორიდა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ჩაისახა და პირინეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ჩვენს მონათესავე იბერებს უკავშირდება. ხარი მათთვის წმინდა ცხოველად ითვლებოდა. როგორც ჩანს, თავდაპირველად ხარის მოკვდინება გარკვეული რიტუალი იყო, რომელსაც ქურუმები ასრულებდნენ.

მერვე საუკუნისთვის, არაბების შემოსევამდე, ხართან ბრძოლა წარჩინებულთა თავშესაქცევი პოპულარული სანახაობა იყო. XV საუკუნის ბოლოს კი კორიდა მხოლოდ მაღალი ფენისთვის ხელმისაწვდომი გასართობი გახდა. იმდროინდელი კორიდა თანამედროვისგან საკმაოდ განსხვავდებოდა. როგორც ისტორიულ ქრონიკებში გვაუწყებენ, ალფონს VII-ს მეფედ კურთხევიდან მოყოლებული, ფილიპე V-მდე, არც ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა კორიდის გარეშე არ აღინიშნებოდა. ამ პერიოდში მას „კანიას დე ტოროს“ უწოდებდნენ. ხარების ბრძოლა 600 წლის მანძილზე ესპანეთის არისტოკრატიის ცხოვრების შემადგენელი ნაწილი იყო. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ XVIII ს-ში ფილიპე V ანჟუელმა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება არ გამოხატა კორიდის მიმართ. ამის შემდეგ კორიდა საზოგადოებრივ სანახაობად იქცა და საგანგებოდ მოწყობილ სცენებზე იმართებოდა. დღესდღეობით ყველაზე ცნობილი არენა მადრიდში მდებარეობს და „პლასა მონუმენტალ დე ლას ვენტასი“ ეწოდება.

XVI ს-ში უმნიშვნელო დღესასწაულიც კი ვერ ჩაივლიდა კორიდის გარეშე.




**ესპანეთის მთავარი არენა მადრიდში**

მადრიდში ბრძოლები „პლასა მაიორზე“ იმართებოდა, იმ მთავარ მოედანზე, სადაც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენები ხდებოდა. მეფედ კურთხევის დროს მონარქები სწორედ აქ გამოდიოდნენ ხალხთან შესახვედრად. ეს ფაქტი კარგად მიგვანიშნებს იმაზე, რომ კორიდას ესპანელთა ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა, სწორედ ამ დროიდან ხდება იგი კულტურის შემადგენელი ნაწილი.

XVI-XVII ს-ის დრამატურგიაში, ლოპე დე ვეგას, ტირსო დე მოლინას და კალდერონის შემოქმედებებში ხშირად ფიგურირებს კორიდის თემა. XVI ს-ის მეორე ნახევარში პაპმა პიუს V-მ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც კორიდის მონაწილეები ეკლესიიდან განიდევნებოდნენ. თუმცა ფილიპე II-მ პაპის ბრძანება გააუქმებინა. იგი მიიჩნევდა, რომ ეს ბრძოლები წრთვნიდნენ სიმამაცეს, რაც ნამდვილი ესპანელის ერთ-ერთი მთავარი თვისებაა.

პირველი პროფესიონალი ტორეროები, როგორც ქვეითი, ისე მხედარი, XVII ს-ში გაჩნდნენ. ეს მნიშვნელოვანი პერიოდია ესპანეთის ისტორიაში, რადგანაც მომდევნო ასწლეული კორიდისათვის მკვდარი იყო. პროფესიონალი ტორეროები უმთავრესად დაბალი ფენებიდან იყვნენ.



ესპანეთის ერთ-ერთი უძველესი არენა მალაგაში

1700 წელს ესპანეთის სამეფო ტახტზე პირველი ბურბონი, ლუი XIV-ს შვილიშვილი, ფილიპე V ავიდა. ფრანგულ კულტურაზე აღზრდილს კორიდა ველურობად მიაჩნდა და აკრძალა კიდეც. ბრძანება მის სიკვდილამდე არ დარღვეულა. მე-18 ს-ის 40-იან წლებში ტრადიცია კვლავ აღდგა, მაგრამ იგი საგრძნობლად განსხვავდებოდა უწინდელი კორიდისგან. ჩამოყალიბდა მკაცრი კანონები. სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლა ტრაგიკულ ბალეტს დაემსგავსა თავისი „ღვთაებრივი“, როგორც შემდგომში ლორკამ განსაზღვრა, გეომეტრიითა და აუცილებელი ფიგურებით. ამ საქმის მცოდნენი ტორეროს ოსტატობას დახვეწილობისა და რისკის მიხედვით აფასებდნენ. თუ მატადორი დანიშნულზე შორს გაატარებდა ხარს ე.ი. მხდალი იყო, თუკი ოდნავ ახლოს – სასიკვდილოდ განწირული.

კორიდა ყოველწლიურად გაზაფხულის

მატადორების აღლუმი



პიკადორს ხშირად უწევს უხერხულ პოზიციაში ყოფნა





**კორიდის სეზონი ქალაქის ქუჩებში იხსნება**



**ხარს ხშირად 3-4 ადამიანიც ვერ უმკლავდება**

შუა პერიოდიდან შემოდგომის შუა პერიოდამდე იმართება. თითო წარმოდგენა 20 წუთს გრძელდება, ოთხი გამოსვლა, თავისი შესავლებითა და ეპილოგებით – 2 საათი.

როგორც წესი, წარმოდგენაში სამი მატადორი მონაწილეობს. თითოული ორ ხართან იბრძვის. კორიდა „ალლუმით" იხსნება. წარმოდგენის მონაწილენი ძველი პასადობლის ჰანგების თანხლებით გამოდიან. თითოეულ მატადორს სამი ბანდერილიერო და ორი პიკადორი ჰყავს. როცა კორიდის პრეზიდენტი თეთრ ნაჭერს აafრიალებს, ნიშნავს, რომ ბრძოლა იწყება. თავიდან არენაზე ხარი გამოჰყავთ. ამ დროს ბანდერილიეროები, რომელთა მოვალეობაა, გაიგონ ხარის ხასიათი, ძალა და თვისებები, რამდენიმე ელემენტს ასრულებენ, რითაც ცხოველს „თამაშის წესებს ასწავლიან". შემდეგ არენაზე გამოდის პიკადორი. ის ცდილობს, ხარის მოქმედებას კორექტირება გაუკეთოს, რათა ეს უკანასკნელი მუდმივად ლაბადაზე იყოს კონცენტრირებული და მკვეთრი მოძრაობები არ გააკეთოს.

შემდეგ აქტში კვლავ ბანდერილიერო მოქმედებს. ახლა ხარი უფრო საშიშია, რადგან უკვე იცნობს არენას, „თამაშის წესებს" და შეუძლია თავიც დაიცვას. ბანდერილიერო ცხოველის ქედზე სამ ბანდერილს არჭობს, ამის შემდეგ კი მატადორის მოქმედების დროც დგება. იგი წითელი მულეტით (მოკლე მოსასხამი) და ხანჯლით არის შეიარაღებული.

მატადორის მულეტა ბანდერილიეროს ლაბადასთან შედარებით საგრძნობლად პატარაა, რაც ბრძოლას კიდევ უფრო დაძაბულსა და სახიფათოს ქმნის. ბრძოლისას მატადორი მრავალ ეფექტურ ელემენტს იყენებს. თანდათანობით ახლოვდება დრო, როდესაც ცხოველს სასიკვდილო ჭრილობა უნდა მიაყენონ. ამისთვის ტორეროს კონცენტრირება სჭირდება, რომ ხმალი ხარს ბეჭებს შორის, პირდაპირ გულში ჩასცეს. უზუსტო დარტყმისას მაყურებელი უკმაყოფილებას გამოხატავს და მატადორი იძულებულია, მოკლე ხანჯალი მოიშველიოს.

წარმოდგენის დასრულებისას მაყურებლები თავიანთ კმაყოფილებას ან უკმაყოფილებას გამოხატავენ. კმაყოფილების შემთხვევაში თეთრ ნაჭრებს აფრიალებენ, რაც მიანიშნებს, რომ მატადორი მამაცობისთვის ხარის ყურით უნდა დაჯილდოვდეს. ყური და კუდი მატადორის ოსტატობის დამადასტურებელი სიმბოლოებია.

კორიდის სეზონი 19 მარტს, წმ. იოსების დღეს იწყება და 12 ოქტომბერს, ესპანეთის სახელმწიფო დღესასწაულზე მთავრდება. 14 მაისს მადრიდში იწყება წმ. ისიდორეს დიდი ფესტივალი, რომელიც სამი კვირის მანძილზე გრძელდება. ამ დროს საუკეთესო მატადორებისა და ხარების შერკინებები იმართება. ამ დღეებში ხარის რქებს ყვავილებით რთავენ, მატადორები კი თავიანთ პომპეზურ სამოსს უბრალო, გლეხურ სამოსზე ცვლიან. ანალოგიური დღესასწაულები სხვადასხვა დროს ესპანეთის სხვადასხვა ქალაქში იმართება.

**გამოცდილი ტორეროები, საბრალო ცხოველებს ცხვირით მიწას ათხრევინებენ...**



**მიუხედავად იმისა, მოიწონეს თუ არა ტორეადორი, კორიდა ყოველთვის ასე მთავრდება...**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვალიფიციური რჩევები

„არსენალი" აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე. ვეცდებით, შემოგთავაზოთ ერთი თემატიკით გაერთიანებული შეკითხვები.

კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება", რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80

**— რომელი ქმედება ჩაითვლება ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვებად?**

— სამხედრო სამსახურის ადგილის თვითნებურად დატოვებად ითვლება გაწვეული სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის ზემდგომი მეთაურის დაუკითხავად დატოვება, აგრეთვე ნაწილში დანიშვნის, ნაწილიდან დათხოვნის ან გადაყვანის დროს, მივლინებიდან, შვებულებიდან ან სამკურნალო დაწესებულებიდან სამსახურში საპატიო მიზეზის გარეშე დროულად გამოუცხადებლობა ორ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლივობით, მაგრამ არა უმეტესად ათი დღე-ღამისა. აგრეთვე გაწვეული სამხედრო მოსამსახურის ან კონტრაქტით სამხედრო სამსახურში მყოფის მიერ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება ანდა სამსახურში საპატიო მიზეზის გარეშე დროულად გამოუცხადებლობა ათ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლივობით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა.

*შენიშვნა: სამხედრო მოსამსახურე, რომელიც პირველად ჩაიდენს ამ ქმედებას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება გამოწვეული იყო მძიმე ვითარებით.*

**— რომელი ქმედება ჩაითვლება დეზერტირობად?**

სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება, სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდების მიზნით, ანდა ამავე მიზნით სამსახურში გამოუცხადებლობა წარმოადგენს დეზერტირობას.

*შენიშვნა: სამხედრო მოსამსახურე, რომელიც პირველად ჩაიდენს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ დეზერტირობა გამოწვეული იყო მძიმე ვითარებით.*

**— აქვს თუ არა სამხედრო მოსამსახურეს დაცვის უფლება?**

— სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც ადმინისტრაციულ ანდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, უფლება აქვს საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე ისარგებლოს იურიდიული წარმომადგენლის ანდა ადვოკატის მომსახურებით.

**— შეუძლია თუ არა სამხედრო მოსამსახურე მიმართოს სახალხო დამცველს?**

— საქართველოს სახალხო დამცველი ვალდებულია, განიხილავდეს საქართველოს მოქალაქეთა, საქართველოში მყოფ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, სამხედრო მოსამსახურეთა, არასამთავრობო ორგანიზაციათა როგორც ზეპირ, ისე წერილობით განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, საწარმოთა, თანამდებობისა და იურიდიულ პირთა დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა, აგრეთვე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებებით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევებს, რომელთა მონაწილეც არის საქართველო.

**— რა საცხოვრებელ პირობებში უნდა მიმდინარეობდეს სამხედრო სავალდებულო სამსახური?**

— ზამთარში საცხოვრებელ ოთახებში ტემპერატურა უნდა იყოს არანაკლებ +18 გრადუსი ცელსიუსისა, ხოლო სამედიცინო დაწესეულებაში არანაკლებ +20 გრადუსი ცელსიუსისა.

**კვების ულუფის ნორმები ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისთვის:**

| სურსათის დასახელება | რაოდენობა 1 კაცზე დღე-ღამეში (გრამებში) |
|---|---|
| 1. პური | 910 |
| 2. ბრინჯი | 40 |
| 3. მაკარონი | 40 |
| 4. ხორცი | 200 |
| 5. თევზი | 100 |
| 6. მარგარინი | 10 |
| 7. ზეთი | 20 |
| 8. კარაქი | 40 |
| 9. რძე | 200 |
| 10. არაჟანი | 20 |
| 11. ხაჭო | 20 |
| 12. კვერცხი (ცალი კვირაში) | 4 |
| 13. შაქარი | 70 |
| 14. მარილი | 15 |
| 15. ჩაი | 2 |
| 16. დაფნა, წიწაკა, მდგოვი, ძმარი | 3,8 |
| 17. ტომატ-პასტა | 10 |
| 18. კარტოფილი | 600 |
| 19. კომბოსტო, ბურღული | 150 |
| 20. ჭარხალი ან ლობიო | 30 |
| 21. სტაფილო | 60 |
| 22. ხახვი | 60 |
| 23. კიტრი, პომიდორი, მწნილი | 100 |
| 24. ხილი, წვენი, კისელი | 80 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანული დოგი

## აპოლონი ძაღლების სამყაროში



*გერმანული დოგი — ეს საკუთრება! ასე მოიხსენიებენ ამ ჯიშის ძაღლს. გერმანული დოგი ძველი მოლოზური ძაღლების ჯიშის შთამომავალია. დოგის მსგავსი ძაღლები გვხვდებოდნენ ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში, რომის იმპერიის დროს სამხრეთ ევროპაში. ესენი იყვნენ მაგარი, მძიმე ძაღლები, უშიშარნი, საკუთარ სიძლიერეში დარწმუნებულნი. სხვადასხვა ქვეყანაში ამ ჯიშის ძაღლების სხვა ჯიშთან შეჯვარების შედეგად წარმოიშვა ბევრი ახალი ჯიში. როგორც ცალკეული ჯიში, გერმანული დოგი, საბოლოოდ მე-19 საუკუნის შუახანებში, გერმანიაში ჩამოყალიბდა.*

გერმანული დოგის ახლო ნათესავად ითვლება ინგლისური მწევარი, რომელმაც გავლენა მოახდინა მისი სხეულის აღნაგობასა და გარეგნობაზე. დიდ ბრიტანეთში ძველად ეს დოგები მოიხსენიებოდნენ, როგორც „გერმანული ტახის ძაღლები“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ წარსულში ეს ძაღლები ტახზე სანადიროდ გამოიყენებოდა. გარდა ამისა, არსებობს მოსაზრება, რომ გერმანული დოგის ჩამოყალიბებაში გრეიჰაუნდსაც მიუძღვის წვლილი.



გერმანიაში ძაღლების გამოფენაზე, რომელიც ჰამბურგში 1863 წელს ჩატარდა, წარმოდგენილი იყო დანიური (ამ ქვეყანასთან არანაირი შეხება არ ჰქონდა) და ულმის დოგები. არსებობდა ასევე ძველგერმანული დოგი და ბულენბეიზერი. 1876 წელს მსაჯთა ჯგუფმა წამოაყენა წინადადება ამ სახეობების გაერთიანების შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ 1880 წელს მიიღეს – ძველი სახელწოდება გერმანული დოგით შეიცვალა.

გერმანული დოგი გამოირჩევა თავისი სპორტული აღნაგობის მქონე ამაყი სხეულითა და გრაციით. აქვს მზარდი ინტელექტი, ელვისებური რეაქცია და სიმტკიცე. უსაზღვროდ ერთგულია პატრონის. ფრთხილი და ნაზია ბავშვებთან ურთიერთობისას. უცხოებს არ ენდობა და საერთოდაც, უკეთესია, თუკი უცნობი ადამიანი დოგის მიმართ დიდ ყურადღებას არ გამოიჩენს. თუკი, რა თქმა


არსენალი
გერმანული დოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა, არ სურს უსიამოვნებებს გადაეყაროს. არაა გამორიცხული, რომ უცხო ადამიანის ყურადღებით გაღიზიანებულმა დოგმა, მოულოდნელი თავდასხმაც კი განახორციელოს.

გერმანულ დოგს ძაღლების სამყაროში აპოლონს უწოდებენ. ოჯახში დოგი საიმედო, ერთგული მეგობარია. ხმები იმის შესახებ, რომ სიბერეში დოგები აგრესიულები ხდებიან – არასწორია. თუ ავი დოგები სადმე არსებობენ, ეს ცუდი აღზრდისა და მოპყრობის ბრალია. დოგი ბრწყინვალე მცველია, ამასთან, შესაძლებელია მისი გაწვრთნა სამომსახურებო მიზნითაც.

თავის გარეგნობაში გერმანული დოგი აერთიანებს სიამაყეს, ძალასა და ელეგანტურობას. ხვადი დოგის მინიმალური სიმაღლეა 80 სმ, ძუსი – 72 სმ. გერმანული დოგის თავი გრძელი, წვრილი, მასიურია. თავის ქალისა და ცხვირის სიგრძე – ერთნაირი. ზედა და ქვედა ტუჩები სწორ კუთხეს ქმნიან. აქვს ორმოცდაორი კბილი, კბენაც შესაბამისად – ბასრი. წაჭრილყურებიან დოგს, ყურები ზემოთ აქვს აცქვეტილი. მას გრძელი, კუნთოვანი და მაღლა მდგომი კისერი აქვს. უნდა ჰქონდეს რაც შეიძლება კვადრატული, კარგად გამოხატული კეფა, მოკლე, ძლიერი და პირდაპირი ზურგი, თეძოებში მსუბუქად გამოწეული, კარგად განვითარებული კუნთებით. თეძოები ფართე, კუთხოვანი. მრგვალი, მჭიდროდ ჩადგმული თათები და მოკლე ბრჭყალებიც მისი დამახასიათებელი ნიშნებია. გამოირჩევა ჰარმონიული, ზამბარისებური, მედიდური, მსუბუქი მოძრაობებით. აქვს სქელი, ერთმანეთთან მჭიდროდ მიკრული, ძალიან მოკლე ბალანი. გერმანული დოგი მეგობრული, სიცოცხლის მოყვარულია. ამასთან, ძლიერ არის მიჯაჭვული პატრონთან, განსაკუთრებით ბავშვებთან. დოგი საკუთარ თავში დარწმუნებული ძაღლია. გერმანული დოგები სამგვარი ფერისაა: ვეფხვისებრი, შავი, მარმარილოს ფერი. ■

# „დოგი ძნელად აღსაზრდელი ბავშვივითაა“

*როდის გამოჩნდნენ საქართველოში გერმანული დოგები, რა დანიშნულება აქვთ დღეს მათ, რატომ არიან ბოღმიანები და როგორ აღვზარდოთ ისინი, ამის შესახებ გვესაუბრება კინოლოგთა სახლის ვეტერინარი ირაკლი ოყრომშიძე.*

– საქართველოში გერმანული დოგები 75-დან 88 წლამდე შემოჰყავდათ რუსეთიდან და ძალიან პოპულარულები იყვნენ. ზომით ძალიან დიდები არიან. თბილისში ჰყავდათ გერმანული დოგი, რომლის სიმაღლე მეტრი და ათი სანტიმეტრი იყო. დიდი ძაღლები ყველა ჩამოყვანილი იყო, აქ გამრავლებულები ამდენად დიდები არ გამოდიოდნენ, რადგან, მათში გენეტიკური ცვლილებები ხდებოდა. მისი ზომები იმაზეც არის დამოკიდებული როგორ უვლით, როგორი კვება აქვს, რა პირობებში იზრდება, იღებს თუ არა ვიტამინებს.

**— რა დანიშნულებით გამოიყენება დოგები?**

– კომუნისტების დროს ამ ძაღლებს სამომსახურებო-სპორტული ერქვა, თუმცა ისინი უფრო სპორტულები არიან. დაცვაში, მართალია გამოდგება, მაგრამ პრაქტიკული არ არის, რადგან ძალიან მცივანა ძაღლია. ფაქტობრივად, მთელი ზამთარი სახლში უნდა გყავდეს, რადგან ძალიან მოკლე ბალანი აქვს.



**— დოგებს, ტახზე მონადირე ძაღლებადაც მოიხსენიებენ.**

– ისტორიული მონაცემებით ასეა. წიგნებში ეს ფაქტი დასტურდება, მაგრამ მე ბევრჯერ მქონია ამ ძაღლებთან მუშაობის საშუალება და ვიცი, რომ ამ ძაღლებს ასეთი რამეებისკენ მიდრეკილება არა აქვთ. თუკი ოდესღაც ჰქონდათ და ახლა გაუქრათ, ვერ გეტყვით. სამწუხაროდ, დღეისთვის ეს ძაღლები დეკორატიულები გახდნენ, გარკვეულწილად თავიანთი ფუნქცია დაკარგეს.

**— რას გულისხმობთ ფუნქციების დაკარგვაში?**

– ეს ძაღლები, დღესდღეობით, თითქოს მოდიდან გადავიდნენ. იმის გამო, რომ დეკორატიულებად იქცნენ, წვრთნასაც ძნელად ემორჩილებიან. როცა პატრონს არ აინტერესებს, რომ ძაღლი გაიწვრთნას, ის თანდათან კარგავს თავის ფუნქციას, ეს შემდეგ შთამომავლობითაც გადაეცემა. როცა რამდენიმე თაობა უსწავლელია, შემდეგ მათი შთამომავალი ძნელად ითვისებს ელემენტალურ ბრძანებებსაც კი. გაუწვრთნელობის გამო დოგები აგრესიულებიც ხდებიან. ვიცი, რამდენიმე პიროვნება, რომლებსაც ეს ძაღლები გალიაში გამომწყვდეული ჰყავთ და გარეთ არ უშვებენ.

**— როგორი ხასიათი აქვს გერმანულ დოგებს?**

– დაუმორჩილებლობა მოსწონთ. როგორც ძნელად აღსაზრდელ ბავშვს, ისეთი მიდგომა სჭირდებათ. განსაკუთრებული მეხსიერება აქვთ, წყენის გულში ჩადება იციან. თუ რამეს დაუშავებ, ძალიან დიდი ხნის მანძილზე არ დაგივიწყებენ. ბოღმიანი, ძალიან რთული და ჭირვეული ძაღლები არიან. დოგი იმდენად მკაცრია, რომ უცხო ადამიანს არ ვურჩევ პატრონის დაუსწრებლად გაეთამაშოს, რადგან მოულოდნელად შეუძლია შეუტიოს და დაკბინოს.

**— როგორ უნდა გავწვრთნათ დოგი, რომ აგრესიული არ გამოვიდეს?**

– ისინი სწავლების დროსაც კი თვითნებობით გამოირჩევიან. სხვა ჯიშის ძაღლებს, თუ სწავლის კურსის დამთავრებისთვის სამი თვე სჭირდებათ, დოგებს, იმავე კურსის გასავლელად 5-6 თვე სჭირდებათ. ეს პატრონების ბრალია, რადგან უნდათ, რომ სილამაზის მიხედვით ამრავლონ და ხშირად უსწავლელ ძაღლებთან აჯვარებენ. ეს გენეტიკურად იწვევს დაქვეითებულ გონებას და ლეკვიც ძნელად ითვისებს ბრძანებებს. რაც შეეხება აგრესიას, ეს გაზრდაზეა დამოკიდებული. ძალიან ბევრი მათ სხვა ძაღლებთან აჩხუბებს, რაც ძაღლის ფსიქოლოგიაზე უარყოფითად მოქმედებს. შესაბამისად, ძაღლიც აგრესიული ხდება.

**— როგორ უნდა ვკვებოთ დოგები?**

– საკმაოდ კარგი მჭამელი ძაღლია. უნდა ვკვებოთ სპეციალურად მათთვის განკუთვნილი საჭმელით ან ხორცით, სასურველია უმი ხორცი, რადგან ალერგიულები არიან. ლეკვმა დღეში ოთხჯერ უნდა ჭამოს, დიდმა კი – ორჯერ.

**— ბატონო ირაკლი, როგორია სტანდარტული გერმანული დოგი?**

– არის მთლიანად შავი და ვეფხვისებრი შეფერილობისაც. მარმარილოს დოგები ქათქათა თეთრი ფერითა და შავი ხალებით გამოირჩევიან. მონაცრისფრო ფერის ხალის მქონე უკვე ნამდვილი გერმანული

დოგი არ არის. სხვათა შორის, დღესდღეობით ასეთები საკმაოდ მომრავლდნენ. დოგები ძალიან მოქნილი და ელასტიკური ძაღლებია. კუდი გრძელი აქვთ, როგორც კარგი მათრახი. როცა რამე უხარიათ, კუდის აქეთ-იქით ქიცინს იწყებენ და მტრისას, თუ მოგხვდა. ყურებსაც აჭრიან, მაგრამ ახლა გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებსაც გრძელი, ჩამოყრილი ყურები აქვთ. ეს უკვე პატრონის გემოვნებაზეა დამოკიდებული.

— **იქნებ გვირჩიოთ, როგორ უნდა შევარჩიოთ ლეკვი?**

– ლეკვი უნდა შევარჩიოთ აღნაგობით, რაც სპეციალისტისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ახალდაბადებული დოგის ლეკვი სულ მცირე, 5 კილო მაინც არის. იგი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ძაღლია. საერთოდ, ძაღლი პატრონის სარკეა. ასე რომ, როცა ლეკვის შერჩევა მოგინდებათ, ჯერ პატრონი გაიცანით და რაც პატრონია, ის იქნება მისი ძაღლის ლეკვიც.

*სალომე გოგოხია*
*მაკა ქობალია*

# სამი დღე კეთილი დოგის ტყვეობაში

მოგეხსენებათ, ამქვეყნად მრავალნაირი ხასიათის ადამიანი არსებობს. თურმე ნუ იტყვით და ძაღლებსაც აქვთ უჩვეულო თვისებები, ზოგი სტუმართმოყვარეა, ზოგი უცხოს ვერ იტანს, ზოგიც... სწორედ ასეთ უცნაურ თვისებასა და მისით გამოწვეულ კურიოზზე ვთხოვეთ ორიოდ სიტყვა ეთქვა მწერალ მიხო მოსულიშვილს, რომელსაც ულამაზესი, შავი გერმანული დოგი ჰყავს.

— ამ ჩემს „ფინეგანს“ და, ალბათ, ყველანაირ დოგს ასეთი ჩვევა აქვს: იმ სახლში, სადაც თვავად ცხოვრობენ და თავისად თვლიან, ნებისმიერ მომსვლელს სიამოვნებით უშვებენ შიგნით, თუნდაც პატრონი შინ არ იყოს, მაგრამ გარეთ გასვლისა კი რა მოგახსენოთ — ნურას უკაცრავად! — სანამ პატრონი არ დაბრუნდება, არაფრის დიდებით არ გაუშვებენ გარეთ. თუ შესული გაინძრევა, გაფრთხილების ნიშნად დაუღრენენ. თუ კიდევ მოინდომებს წასვლას, ორ თათზე დადგებიან, წინა ორ თათს კედელს მიაყრდნობენ და თათებს შუა კი მსხვერპლად შეგულებული ჰყავთ მომწყვდეული. ყველაზე უარესი გაქცევაა — წამოეწევა დოგი, წამოიყალყება და მთელი ძალით გირტყამს წინა ორ თათს და რომ წაგაქცევს, ზემოდან დაგადგება მერე. თუ კიდევ არ დაშოშმინდი, უკვე კბენაზეც გადადის.



მიხო მოსულიშვილი ფინეგანთან ერთად

ჰოდა, ერთხელაც რაკი მთელი ოჯახი შაბათ-კვირას ქალაქგარეთ გავდიოდით, მაგრამ ფინეგანი თან ვერ მიგვყავდა, გასაღები მეზობელს დავუტოვე და ვთხოვე, მაცივარში ძაღლის საჭმელია, შედი, გაუთბე და აჭამე-მეთქი.

ჩვენ პარასკევს წავედით და კვირას შუადღე გადასულია უკვე და გაჭირვებული ხმით მირეკავს ჩემი მეზობელი — ჩქარა! მოდი! ჩქარა! მიშველე! გამიყვანე აქედანო!

თურმე, გაუღია ჩემი სახლის კარი, შესულა და დიდებულად დახვედრია ფინეგანი — კუდიც უქიცინებია და რამდენჯერმეც შემოურბენია გარშემო.

გამოუღია მაცივარი, აუნთია გაზი, გაუთბია საჭმელი, დაუდგია ფინეგანისთვის და იმასაც მადლიერი თვალებით და კუდის ქიცინით დაუწყია ჭამა. შესულს თავზეც კი გადაუსვია ხელი — რა კარგი და ჭკვიანი ძაღლი ხარო. კიდევ უყურებია ცოტა ხანს და გამოსვლა რომ დაუპირებია, ფინეგანს ჭამისთვის დაუნებებია თავი და რაღაც სულ სხვანაირად შეუთვალიერებია ეს ჩემი მეზობელი.

საერთოდ, გერმანულ დოგებს ტყუილად კი არ ეძახიან „აპოლონს ძაღლებს შორის“. თავიანთი კეთილშობილი იერით და ძლიერი, მაგრამ ამასთან პროპორციული და ელეგანტური სხეულით თითქოს სიამაყეს, ძალასა და სილამაზეს გამოხატავენ. განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევენ თავისი იმპოზანტური თავით — ყველაზე ძლიერი გაღიზიანების დროსაც კი ფინეგანი ნერვიულობის არანაირ ნიშანს არ ამჟღავნებს — შეიმართება, მაღლა ასწევს თავს, წაგრძელებულ ყურებს შეწკიპავს და დგას ასე ერთხანს, ქანდაკება გეგონება. ამ დროს კუდი ამოხრილი კი არა, გასწორებული აქვს.

აი, ასე უყურებდა თურმე იმ ჩემს მეზობელს ფინეგანი:

კარგი რა, ჩემო კარგო ფინეგან, რა მოგივიდაო, — დაუყვავებია მას.

ამ სიტყვებზე უკვე მოკლედ დაუღრენია ძაღლს. გერმანელ მეცნიერებს ჩაუტარებიათ კვლევები ამ ბოლო ხანს და აღმოუჩენიათ, რომ ათასამდე სიტყვას სწავლობს და იგებს ძაღლი — ეტყვი სიტყვას „ბურთი“, მეორე ოთახშიც რომ იყოს, წავა და სწორედ ბურთს მოგიტანს თურმე. ათასი სიტყვა მაინც მეტისმეტი მგონია. ვფიქრობ, ძაღლები უფრო ჩვენი ლაპარაკის ტონს უგდებენ ყურს და შესაბამისად იქცევიან. მოკლედ, მიხვდა ალბათ ფინეგანი, რომ ამ ჩემს მეზობელს გასვლა უნდოდა...

ცოტა ხნის შემდეგ კიდევ რომ დაუპირებია წასვლა, მიხტომია ჩემი დოგი, წამოყელყელავებულა და იმ მეთოდით აუკრავს ის საწყალი კაცი კედელზე, ზემოთ რომ მოგახსენეთ.

რაღა ბევრი გავაგრძელო, პარასკევის შუადღიდან კვირის შუადღემდე — მთელი ორი დღე და ღამე ტელეფონამდე მიდიოდა ის ჩემი მეზობელი — უნდა გაევლო ფინეგანის ოთახი, სასტუმროში შესულიყო და საძინებლამდე გაეღწია, სადაც მისდა ჭირად გაგვიტანია თურმე ტელეფონი. ამ მანძილის გავლას ჩვეულებრივ პირობებში ხუთ წუთზე მეტი არ სჭირდება, მაგრამ ჩემი მეზობელი ნახევარ-ნახევარი ნაბიჯით მიდიოდა, თან ხომ უნდა გაჩერებულიყო კიდეც, რომ ფინეგანს ვერ შეემჩნია. მაგრამ ძაღლს რას გამოაპარებდა. როგორც კი გამოელაპარაკებოდა, დაუყვავებდა, ანდა თავისი კაი მეზობლობის შეხსენებას შეეცდებოდა, ფინეგანი მაშინვე ქანდაკებასავით ქვავდებოდა თავდასხმის წინა პოზაში და რაზეც ყველაზე ძალიან დასწყდა გული ჩემს მეზობელს, მოკლე-მოკლედ უღრენდა კიდეც.

ჰოდა, სწორედ იმ მოკლე-მოკლე დაღრენების აკომპანემენტითურ ორ დღე-ღამეში მიაღწია ტელეფონამდე და როგორც იქნა, დამირეკა კიდეც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან

დასაწყისი იხ. „არსენალი“ № 3,4,5

საომარი მოქმედებები შავ ზღვაში 1941 წლის 22 ივნისს, გამთენიისას, 3 საათსა და 15 წუთზე საავიაციო დაბომბვებით დაიწყო. გერმანული ბომბდამშენების დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა ფლოტის მთავარი ბაზა — სევასტოპოლი, აგრეთვე, ოდესა და იზმაილი. გერმანიის მოკავშირე რუმინეთმა საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა იზმაილსა და იქ მდგომ დუნაის სამხედრო ფლოტილიის ხომალდებს. პორტების მისადგომებსა და ფარვატერებთან საავიაციო ბომბებთან ერთად საზღვაო ნაღმებიც ცვიოდა. შავი ზღვის ფლოტის საჰაერო დაკვირვების პოსტებმა გერმანული ბომბდამშენები დროულად შენიშნეს — სამხედრო-საჰაერო ბაზების საჰაერო თავდაცვა, ხომალდების საზენიტო საშუალებები შემოტევას ორგანიზებულად დახვდა, შესაბამისად, დანაკარგებიც უმნიშვნელო იყო.

## მეორე მსოფლიო ომი

### საქართველოს პორტები ომის პერიოდში

ომის დასაწყისში, საბჭოთა კავშირმა ყველა ფრონტზე დიდი მარცხი იგემა. 1941 წლის აგვისტოში გერმანია-რუმინეთის ჯარებმა ოდესისაკენ გასვლა შეძლეს. გემთმშენებლობის უმსხვილესი ცენტრი „ნიკოლაევი“ საბრძოლო მოქმედებათა ზონის სიახლოვეს აღმოჩნდა. ნიკოლაევის ქარხნებში ფლოტისათვის სამ ათეულამდე საბრძოლო ხომალდი შენდებოდა. სავსებით რეალური შეიქნა მათი დაკარგვის საშიშროება, ამიტომ მშენებარე ხომალდები მზადყოფნის მაღალი ხარისხით სევასტოპოლში, აზოვის ზღვისა და კავკასიის პორტებში გადაიყვანეს, ხოლო დანარჩენები ადგილზევე განადგურდა. მაშინ ჯერ კიდევ ეგონათ, რომ გერმანელთა აგრესიას უმოკლეს დროში შეაჩერებდნენ, ხოლო ყირიმისა და აზოვის პორტები ფრონტის ხაზიდან საკმაოდ დაშორებული და უსაფრთხო იყო.

ცოტა ხანში, რაკი საომარი სიტუაცია გართულდა, მშენებარე ხომალდების საქართველოს პორტებში გადმოყვანა გადაწყდა. საგამოცდო ციკლში მყოფი წყალქვეშა ნავები M-117, M-118, M-119 სექტემბერში ნიკოლაევიდან ოჩამჩირეში შემოვიდნენ და ოქტომბრის ბოლოსათვის მათი მწყობრში შეყვანა მოხერხდა. 1942 წლის იანვრის დასაწყისში ბათუმში შემოიყვანეს ასევე მშენებარე ლიდერები „კიევი“ და „ერევანი“, საესკადრო ნაღმოსნები „ოზორნოი“ და „ოგნევოი“. 1941 წლის დამლევამდე სევასტოპოლის საზღვაო ქარხნიდან ფოთში გადმოვიდა დაუმთავრებელი საბაზო მტრალავი T-414 და საესკადრო მტრალავი T-453 „სემენ ხოშალი“. ბევრი დაუმთავრებელი ხომალდი კი მდინარე ხობისწყლის აკვატორიაში დადგა და ღელვისას ზღვიდან წამოსულ ტალღებს საფრთხე რომ არ შეექმნა, საგანგებოდ ტალღების დასამსხვრევად მდინარის შესართავთან კრეისერი „კომინტერნი“ დაიძირა.

გემთმშენებელი მრეწველობის სახალხო კომისრის 1942 წლის 10 თებერვლის ბრძანებით, ფლოტის მთავარი სარემონტო ბაზები ტუაფსესა და ფოთში განლაგდა, მაგრამ საამისოდ სხვა პუნქტებიც იყო გათვალისწინებული. ასე, მაგალითად, მტრალავ კატარღებს სოხუმში, საზღვაო ფლოტის ნარკომატის სახელოსნოებში არემონტებდნენ.

უკრაინისა და ყირიმის პორტების დაკარგვის შედეგად ფლოტის ხომალდები ბაზირებისათვის კავკასიის პორტებში გადმოვიდნენ. 1941 წლის დეკემბერში სევასტოპოლის 201-ე საზღვაო ქარხნის ნაწილი ფოთში იქნა ევაკუირებული. ქარხანას გადაეცა საექსკავატორო სადგურის სახელოსნოები, პორტის რამდენიმე საწყობი, საქვაბე. ფოთის სარემონტო წარმოებამ ომის ბოლომდე 200 ხომალდი და კატარღა შეაკეთა. მათ შორის იყო კრეისერები, საესკადრო ნაღმოსნები, წყალქვეშა ნავები, მტრალავები და ნაალაფარი გემებიც კი.

1944 წელს საესკადრო ნაღმოსან „ოგნევოის“ მშენებლობა დასრულდა, რაც ფოთელი გემთმშენებლების დიდი დამსახურება იყო.

მეორე სარემონტო ბაზა ბათუმში, ბერიას სახელობის მანქანათსაშენი ქარხნის ტერიტორიაზე შეიქმნა. ბათუმში გარემონტდა მცურავი ბაზა „ნევა“ და რამდენიმე წყალქვეშა ნავი.

ფოთის პორტის დაბომბვა, 1942 წლის აგვისტო





კავკასიისათვის მიმდინარე ბრძოლებისას ფრონტის ცოცხალი ძალით, იარაღით, სამხედრო ტექნიკითა და საბრძოლო მასალებით უზრუნველყოფის მთელი სიმძიმე საქართველოს პორტებს დააწვა. ასეთ ვითარებაში სოხუმი, ფოთი და ბათუმი გერმანიის ავიაციის სამიზნედ გადაიქცა და გერმანულ ბომბდამშენთა რეიდები 1942 წლის აგვისტოდან წლის ბოლომდე მანამდე გაგრძელდა, სანამ წითელი არმია შეტევაზე არ გადავიდა.

## იტალიელები შავ ზღვაში შემოდიან

ომის წინ შავი ზღვის ფლოტში შედიოდა სახაზო ხომალდი „პარიჟსკაია კომუნა“, კრეისერები: „კომინტერნი“, „ჩერვონა უკრაინა“, „კრასნი კავკაზ“, „კრასნი კრიმ“, „ვოროშილოვი“ და „მოლოტოვი“, 3 ლიდერი, 14 საესკადრო ნაღმოსანი; 47 წყალქვეშა ნავი, 15 მტრალავი, 4 საკანონირო ნავი, 2 სადარაჯო ხომალდი, 84 სატორპედო კატარღა და სხვ. ამ ძალებს ჰაერიდან 625 თვითმფრინავი ეხმარებოდა. სანაპირო ზოლს ამაგრებდა 26 საარტილერიო ბატარეა, ხოლო საჰაერო თავდაცვას უზრუნველყოფდა 50 საზენიტო ბატარეა, 119 საზენიტო ავტომატით..

გერმანიის მოკავშირე რუმინეთის ფლოტი ამ დროისათვის ბევრად მოკრძალებული იყო და მასში ირიცხებოდა: 4 საესკადრო ნაღმოსანი, 3 ნაღმოსანი, წყალქვეშა ნავი, 3 საკანონირო ნავი, 3 სატორპედო კატარღა, 2 ნაღმგადამლობი და სხვ.. რუმინეთის აეროდრომებზე 1195 თვითმფრინავი, მათ შორის, 420 ბომბდამშენი იყო თავმოყრილი.

1942 წელს გერმანიისათვის ცხადი შეიქნა, რომ საბჭოთა საზღვაო კომუნიკაციების მოსაშლელად მხოლოდ ავიაცია და სუსტი რუმინული ფლოტი საკმარისი არ იქნებოდა და, რაც მთავარია, გერმანულ თვითმფრინავებს კავკასიის სანაპირომდე მიღწევა უჭირდათ. 1942 წლის 14-15 მარტს ალპურ კურორტ გარმიშ-პარტენკირხენში კრიესმარინეს გროსადმირალი რედერი იტალიელ კოლეგას ადმირალ რიკარდის შეხვდა. შეხვედრაზე განხილულ საკითხთაგან ერთ-ერთი სევასტოპოლის ზღვიდან ბლოკადაში მყოფი გერმანელებისათვის დახმარების გაწევას შეეხებოდა.

გერმანელთა თხოვნას იტალიელები გაგებით მოეკიდნენ. 1942 წლის 6 მაისს სპეციის სამხედრო-საზღვაო ბაზიდან სატვირთო ავტომანქანების მრავალრიცხოვანი კოლონა დაიძრა, რომელსაც შავ ზღვაში სამოქმედოდ ხუთ-ხუთი სატორპედო და ამფეთქებელი კატარღა მიჰქონდა. იტალიელთა მგზავრობა 22 მაისს ფოროსში დასრულდა, სადაც საზღვაო ბაზა მოაწყვეს და აქტიურ მოქმედებებზე გადავიდნენ.

სატორპედო კატარღა MTSM – (სიგრძით 7 მეტრი), 450 მმ-იან ტორპედოს, ატარებდა ეკიპაჟში 2 კაცი შედიოდა. შეეძლო მოქმედება როგორც პორტებში, ასევე ღია ზღვაში.


ნახევრად ჩაძირული „აფხაზეთი“. სევასტოპოლი, 1942 წლის ივნისი

ფეთქებადი კატარღა MTM – (სიგრძით 1,9 მეტრი), 300 კგ ფეთქებად მასალას ატარებდა. ფაქტობრივად, იგი წარმოადგენდა ტორპედოს, რომლის კურსს წამყვანი-მესაჭე განსაზღვრავდა და შესაბამის მიმართულებასაც აძლევდა. ამის შემდეგ კატარღა სამიზნისკენ თავისით მიცურავდა.

იტალიელებმა შავ ზღვაში ე. წ. ჯიბის წყალქვეშა ნავებიც გადაიყვანეს. 1942 წლის 22 აპრილს სპეციიდან სატვირთო ავტომანქანებით მე-11 ფლოტილიის 6 წყალქვეშა ნავი GB-1-GB-6 რუმინეთის პორტ კონსტანცაში გაიგზავნა, სადაც ისინი სათანადო მომზადების შემდეგ წყალში ჩაუშვეს. მოქმედების შეზღუდული რადიუსი და საბჭოთა საზღვაო კომუნიკაციებიდან დიდი მანძილით დაშორება წყალქვეშა ნავების ეფექტიანად გამოყენების საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომ ბაზირებისათვის იალტა შეირჩა. ოფიციალურად, ფლოტილია საბრძოლო მოქმედებებში 1942 წლის პირველი ივნისიდან ჩაება და მისი მთავარი ამოცანა ალყაშემორტყმულ სევასტოპოლში საბჭოთა წყალქვეშა ნავების სატრანსპორტო რეისების წინააღმდეგ ბრძოლა იყო.

*წყალქვეშა ნავი GB- წყალქვეშა წყალწყვა 45 ტონა; სიგრძე 15 მეტრი; წყალქვეშა სიჩქარე 7 კვანძი; ცურვის სიშორე 1400 მილი; ეკიპაჟი 4 კაცი; შეიარაღება 450 მმ-იანი 3 ტორპედო ან 2 ნაღმი;*

1943 წლის 8 სექტემბრამდე, სანამ იტალია კაპიტულაციას გამოაცხადებდა, წყალქვეშა ნავებმა 43 ლაშქრობაში 2 საბჭოთა წყალქვეშა ნავი C-32 და Щ-203 ჩაძირეს, თავად იტალიელებმა კი ერთი ნავი დაკარგეს. გაცილებით მოკრძალებული შედეგები ჰქონდა სატორპედო კატარღებს. მათ ანგარიშზე მხოლოდ ერთი გამარჯვებაა, – 1942 წლის 19-20 ივნისს სევასტოპოლიდან ნოვოროსიისკში გადასვლისას კატარღა MSM-571-მა საბჭოთა წყალქვეშა ნავი Щ-214 ჩაძირა. სხვა მხრივ, იტალიურმა მოიერიშე საშუალებებმა შავ ზღვაში თავი ვერაფრით ისახელეს.

## წყალქვეშა ომი საქართველოს სანაპიროსთან

შეზღუდული პარამეტრების მქონე იტალიური წყალქვეშა ნავები შავ ზღვაში საბჭოთა საზღვაო კომუნიკაციებზე ზეგავლენას ვერ ახდენდნენ. საჭირო შეიქნა უფრო დიდი წყალქვეშა ნავები ძლიერი შეიარაღებით. ნეიტრალური თურქეთი არაშავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო ხომალდების დარდანელი-ბოსფორის სრუტეებით გავლის ნებართვას არ იძლეოდა, ამიტომ წყალქვეშა ნავების შემოყვანა მხოლოდ სამდინარო-სახმელეთო გზებით თუ მოხერხდებოდა.

ადმირალმა დენიცმა საამისოდ IIB სერიის 6 წყალქვეშა ნავი U-9, U-18, U-19, U-20, U-23 და U-24 შეარჩია. ნავები 1942 წლის შემოდგომაზე გოტენჰაფენიდან კილში ორ სამეულად გადაიყვანეს. წონის შესამცირებლად მოიხსნა ყველაფერი, რაც იხსნებოდა და წონა 200 ტონით შემცირდა. კილის არხითა და მდინარე ელზით, სპეციალური პონტონების საშუალებით, ნავები ჯერ დრეზდენში, შემდეგ კი სატვირთო ავტომანქანებით ქალაქ ანგოლშტადში გადაიტანეს. აქედან ტრანსპორტირება მდინარე დუნაიზე გაგრძელდა, რუმინეთის ქალაქ გალაციმდე, სადაც 2400 კმ-იანი გზა დასრულდა. გალაციში წყალქვეშა ნავები აიწყო და ბაზირებისათვის კონსტანცაში გადავიდნენ.

*წყალქვეშა ნავი IIB – წყალქვეშა წყალწყვა 329 ტონა, სიგრძე 42, 7 მეტრი, ცურვის სიშორე წყალზედა მდგომარეობაში 1800 მილი, წყალქვეშა სიჩქარე 7 კვანძი, ეკიპაჟი 25 კაცი; შეიარაღება 533 მმ-იანი, 3 სატორპედო აპარატი 6 ტორპედოთი; 20 მმ-იანი 1X2 საზენიტო ავტომატი.* ჩამოყალიბდა წყალქვეშა ნავების 30-ე ფლოტილია, რომელსაც გამოცდილი მეზღვაური, კაპიტან-ლეიტენანტი როზემბაუმი მეთაურობდა. მას უკვე ჩაძირული ჰყავდა ხმელთაშუა ზღვაში ინგლისური ავიამზიდი „იმლი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1942 წლის 14 ოქტომბერს პირველად მწყობრში U-24 ჩადგა. მას 28 ოქტომბერს U-9, ხოლო 9 დეკემბერს U-19 მოჰყვა. 1943 წლის მაისს-ივნისში მეორე სამი წყალქვეშა ნავიც მზად იყო.

1942 წლის დამლევს წყალქვეშა ნავების ცურვას საცდელი ხასიათი მიეცა. მიმდინარეობდა შავი ზღვის საზღვაო აკვატორიის ათვისება. 11 ნოემბრიდან პირველ დეკემბრამდე U-9 ფოთი-ბათუმის მონაკვეთზე დაცურავდა. ამას მოჰყვა გაგრა-სოხუმი, სოხუმი-ფოთი, ბათუმი-ტუაფსეს მონაკვეთები. წყალქვეშა ნავების ლაშქრობებმა სისტემატური ხასიათი მიიღო და 1944 წლის აგვისტოს პირველ ნახევრამდე გაგრძელდა, სანამ კონსტანცა წითელმა არმიამ არ დაიკავა.

კავკასიის სანაპიროსთან, ძირითადად, მცირე ტონაჟის მცურავი საშუალებები: ბუქსირები, ბარჟები, შალანდები, იალქნიანი გემები დაცურავდნენ. გერმანელებმა სიტუაციას სწრაფად აუღეს ალღო და ხშირად შეტევისას ტორპედოებზე უარს ამბობდნენ და შეწყვილებულ 20 მმ-იან საზენიტო ავტომატებს იყენებდნენ. 1943 წლის 22 აგვისტოს U-24-მა განთიადთან ხის 2 მოტობოტი ჩაძირა არტილერიითურთ. ორი დღის შემდეგ, ფოთთან, U-23-სა და ძველ ჰიდროგრაფიულ გემ „შკვალს" შორის დიდი საზღვაო ბატალია გაიმართა, – „შკვალი" ჩაიძირა. დროდადრო გერმანული წყალქვეშა ნავები ზღვის სანაპიროსთან გამავალ სოჭი-ტუაფსეს რკინიგზის ხაზზე მოძრავ სამხედრო ეშელონებსაც ესროდნენ.

გერმანელების პირველი სერიოზული წარმატება იყო U-24-ით სოხუმიდან დასავლეთით 20 მილზე მყოფი, 1943 წლის 15 ივლისს ჩამოსული საბაზო მტრალავის „ზამჩიტნიკის" დაზიანება. იმავე წლის 23 ოქტომბერს U-23-მა ფოთთან 1005 ტონა წყალწყვის მტრალავი „სოვეტსკაია როსია" დააზიანა, ხოლო 372-ტონიანი თვითმავალი შალანდა „ტანაისი" ჩაძირა. გერმანელებმა მოახერხეს სოხუმის პორტში შემოყვანილი ყველა სატრანსპორტო გემის მწყობრიდან გამოყვანა, – ზოგი ჩაძირეს, ზოგიც დააზიანეს. მათ შორის იყო ტანკერი „ემბა", სატრანსპორტო „ლენინგრადი" და „ვოროშილოვი", სადარაჯო კატარღა №0132; ფოთთან მძიმე დაზიანებების შემდეგ ჩაიძირა ტანკერები „კრემლი", „ვაიან კუტიურე". 1943 წლის 2 ივნისს U-23-მა ფოთის ახლოს, ღია ზღვაში, თევზმჭერი კატარღა შენიშნა. ობერლეიტენანტმა ვალენმა გადაწყვიტა, რომ კატარღის გასანადგურებლად ხელყუმბარებიც საკმარისი იქნებოდა და მართალიც აღმოჩნდა, ამასთან, 3 ქართველი მეთევზე ტყვედ აიყვანეს.

გერმანულმა ნავებმა შავ ზღვაში 56 ლაშქრობაში 26 გემი და კატარღა ჩაძირეს, საერთო ტონაჟით 45426. ექვსივე წყალქვეშა ნავი 1944 წლის აგვისტო-სექტემბერში საბჭოთა ავიაციამ კონსტანცაში ჩაძირა.

საქართველოს სანაპიროსთან რუმინული წყალქვეშა ნავებიც პატრულირებდნენ. 1944 წლის 10-27 მაისს ბათუმთან „მარსუინული" იდგა. 1944 წლის 20 აპრილიდან 5 მაისამდე ტუაფსე-ბათუმის მონაკვეთზე „რეკონული" დაცურავდა. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის სანაპიროსთან საზღვაო გადაზიდვები ინტენსიურად მიმდინარეობდა, რუმინელ მეზღვაურებს მხოლოდ ერთხელ გაუმართლა, როცა ტანკერი „კრემლი" დააზიანეს.



ირჟი თუმანიშვილის დაჯილდოება

## ზოგიერთი გემის ბედი

დიდი წყალწყვის სამოქალაქო სამგზავრო გემების წინააღმდეგ განსაკუთრებული ინტენსიურობით მიმდინარეობდა ბრძოლა. საბჭოთა სარდლობა არცთუ იშვიათად ასეთ გემებს, ცოცხალ ძალასთან ერთად, დაჭრილებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის გადასაყვანად იყენებდა. ამიტომ გემის ჩაძირვა დიდ მსხვერპლს იწვევდა.

თბომავალმა „სვანეტიამ" სევასტოპოლში 1500-ზე მეტი დაჭრილი წითელარმიელი მიიღო და კავკასიის სანაპიროსაკენ აიღო კურსი. 1942 წლის 17 აპრილს, 11 საათზე, „სვანეტია" გერმანული ბომბდამშენების დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა და ორი საათის შემდეგ ზღვის ფსკერისაკენ წავიდა. მხოლოდ 143 კაცის გადარჩენა მოხერხდა.

1942 წლის 11 ივნისს, ღამით, ნოვოროსიისკში „გრუზიამ" სევასტოპოლისათვის გამიზნული 4000 მებრძოლი და 1300 ტონა ჭურვი მიიღო. გზად თბომავალმა რამდენიმე საჰაერო იერიშს გაუძლო. 13 ივნისის დილით „გრუზია" სევასტოპოლში შევიდა. გემთსადგომისაკენ მიმავალი გემის პიკირება გერმანულმა ბომბდამშენმა დაიწყო. ერთ-ერთი ბომბი იმ ტრიუმში ჩავარდა, სადაც ჭურვები ეწყო. მოხდა დეტონაცია. შუაზე გაგლეჯილი თბომავალი ფსკერისაკენ წავიდა, მხოლოდ რამდენიმე კაცი გადარჩა.

1942 წლის 10 ივნისს, სევასტოპოლში, გემთსადგომთან ჩაიძირა კიდევ ერთი სამგზავრო გემი „აბხაზია". ნოვოროსიისკთან, ცნობილი „მცირე მიწისათვის" მიმდინარე ბრძოლებში, გერმანელებმა 1943 წლის 27 თებერვალს საკანონირო ნავის, „კრასნაია გრუზიას" ჩაძირვა შეძლეს. ომს გადაურჩა კრეისერი „კრასნი კავკაზი", რომელმაც გვარდიელის წოდება დაიმსახურა. საკანონირო ნავი „კრასნაია აბხაზია" წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა, ხოლო მეორე კანონირმა „კრასნი ადჟარისტანმა" ომი ჯილდოების გარეშე დაასრულა.

## ქართველი მეზღვაურები ომში

ბრძოლებში ქართველმა სამხედრო მეზღვაურებმა ვაჟკაცობითა და თავდადებით ისახელეს თავი. მრავალი მათგანის გმირობა აღინიშნა სახელმწიფო ჯილდოებით, ხოლო ზოგიერთი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა.

ომის დაწყებიდან მეორე დღეს, 23 ივნისს, შავი ზღვის ფლოტის 63-ე ავიაბრიგადა, რომელსაც პოლკოვნიკი გიორგი ხატიაშვილი მეთაურობდა, რუმინეთის პორტებს კონსტანცასა და სულინას ბომბავდა. პლოეშტის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანასა და საწვავის საცავებზე თამამი და ეფექტური ავიადარტყმები განახორციელა ავიაესკადრილიამ, რომელსაც კაპიტანი ალექსანდრე წურწუმია მეთაურობდა.

საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს წყალქვეშა ნავის მეთაურს, იაროსლავ იოსელიანს. 1943 წლის 18 ივლისს, ფეოდოსიის რაიონში, მისი მეთაურობით M-11-მა გერმანული არათვითმავალი ბარჟა „დუნარია 1" (1505 ბრუტო რეგისტრირებული ტონა) ფსკერისკენ გაუშვა. იოსელიანმა თავი გამოიჩინა ჩრდილოეთის ფლოტშიც, როცა B-4-ის მეთაურობისას გერმანული წყალქვეშა ნავებზე მონადირე UA 1219 (542 ბრუტო რეგისტრირებული ტონა) ჩაძირა.

თავი ისახელა პოლონეთის ფლოტის საესკადრო ნაღმოსან „პიორუნის" ქართველმა არტილერიის პორუჩიკმა, ირჟი თუმანიშვილმაც. „პიორუნმა" მრავალ ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო 1944 წლის 14 ნომბერს ლა მანშის სრუტეში კუნძულ ჯერსის რაიონში ფრანგულ საესკადრო ნაღმოსან „აშანტთან" ერთად 3 გერმანული მტრალავი ხომალდი ჩაძირა.

შეუძლებელია ყველა ქართველი მეზღვაურის გმირობის მოთხრობა ერთ სტატიაში. ისინი შავი და ბალტიის ზღვების, ჩრდილოეთისა და წყნარი ოკეანის ფლოტებში, სამდინარო ფლოტილიებში, სავაჭრო ფლოტის გემებზე თავიანთ საბრძოლო ვალს პირნათლად იხდიდნენ და როცა საჭირო იყო, სიცოცხლესაც არ იშურებდნენ.

**თემურ ჩაჩანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

*პატივცემულო რედაქცია, ძალიან გთხოვთ მოგვითხროთ კაზაკების წარმოშობისა და ჩვენს მიმართ მათი აგრესიულობის გამომწვევი მიზეზების შესახებ. ჩაცმულობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წესით ჩვენი მონათესავეები უნდა იყვნენ და რამ გამოიწვია ქართველებისადმი მათი (რბილად რომ ვთქვათ) უარყოფითი დამოკიდებულება?*

*ლუკა სვანაძე, 15 წლის*

# ცუდას რად უნდა მტრობა...

## ანუ როგორ მიისაკუთრეს ერთმორწმუნე რუსებმა ქართული ხმალი

ყველა იმპერიას ერთი საერთო თვისება ახასიათებს – თუ არ იზრდება და ვითარდება, იშლება. ზრდა-განვითარებას კი, მოგეხსენებათ, თავისი ბუნებრივი საზღვარი აქვს. ე.ი. ყველა იმპერია, საბოლოოდ, დაშლისთვის არის განწირული. ასე დაიშალა რუსეთის თვითმპყრობელური იმპერია, მას კი წითელი რუსეთის (საბჭოთა) იმპერია მიჰყვა...

დღევანდელი რუსეთის ფედერაციაც დამცრობილი ფორმის (მიუხედავად უზარმაზარი ტერიტორიებისა) იმპერიაა. იგი დასუსტებულია, ვეღარ იზრდება, დაშლის პირასაა და ამიტომაც ეპოტინება მეზობელ სახელმწიფოებს, კერძოდ საქართველოს და ცდილობს, ტერიტორიების გემრიელი ნაჭრები წაჰგლიჯოს, აქაოდა ისევ მომდგამს ძალა სხვებზე ბატონობისაო.

ძველი, დერჟავული ზრახვებითაა განპირობებული დღევანდელი რუსეთის სახელმწიფოში, ისტორიულად ყველაზე აგრესიული ფენის, კაზაკების ცხოვრების წესჩვეულებების აღორძინება. ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაში (1887 წ) მათ შესახებ ვრცლადაა მოთხრობილი: კაზაკები, ძირითადად, ველიკორუსები (დღევანდელი რუსები) არიან, ნაწილი კი – მალოროსები (დღევანდელი უკრაინელები). ანთროპოლოგიურად ისინი არ განირჩევიან რუსებისაგან, მხოლოდ მეტ-ნაკლებად აქვთ შერეული ადგილობრივ აბორიგენთა სისხლი – მათი, ვის ტერიტორიაზეც დამკვიდრდნენ. ისტორიულად კაზაკების გენის წარმოშობა გამოიწვია, ერთი მხრივ, ბატონყმობის ინსტიტუტის აფსოლუტიზმამდე გაძლიერებამ, მეორე მხრივ, სოციალურმა შეჭირვებამ. „XV-XVI საუკუნეებში ყმა გლეხები მებატონეებს გაურბოდნენ და რუსეთის საზღვრების განაპირა რაიონებში სახლდებოდნენ, თავს ნადირობითა და თევზაობით ირჩენდნენ, შეძლებისდაგვარად ავაზაკობდნენ, ყაჩაღობდნენ და მეკობრეობდნენ. შემდეგ მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებასაც მოჰკიდეს ხელი. რადგან ქვეყნის განაპირა რაიონებში სახლობდნენ და მო-



მხდურისაგან თავდასხმას ყოველწუთს ელოდნენ, გასამხედროებულ ცხოვრებას ეწეოდნენ – ყველა ზრდასრული მამაკაცი ატამანის (ეს თანამდებობა არჩევითი იყო) ბრძანებისთანავე, საკუთარი იარაღით და ცხენით საომრად უნდა გამოცხადებულიყო.

ცხოვრობდნენ ხუტორებში და სტანიცებში, სადაც სხვა ეროვნების ადამიანებსაც შეეძლოთ ეცხოვრათ, რომლებსაც ისინი „ინოროდცებს“ უწოდებდნენ. მეზობლად ცხოვრებას ისინი მხოლოდ ებრაელებს უკრძალავდნენ.

კაზაკები უმთავრესად მართლმადიდებელი ქრისტიანები, ედინოვერცები და რასკოლნიკები იყვნენ. მართალია, ქრისტიანობას მისდევდნენ, მაგრამ მათ ორთოდოქსულ პატრიარქალურ ოჯახებში წარმართული კანონები ბატონობდა, – ოჯახის უფროსს, მამა კაზაკს, თავის რძლებზე (შვილების ცოლებზე) პირველი ღამის უფლება ჰქონდა, ისევე, როგორც შუა საუკუნეების ფეოდალს.

ეს კანონი კაზაკებს მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე შემორჩათ (მ.შოლოხოვი „წყნარი დონი“). ხშირად, ყოფილა შემთხვევა, რამდენიმე წლით ოჯახს მოწყვეტილ კაზაკს დაბრუნებისას, ორისამი „შვილი“ დახვედრია, რაც ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. თავისუფლებამოპოვებულნი, საკუთრებას დაუფლებულნი და მატერიალურად უზრუნველყოფილნი, უკეთესად ცხოვრობდნენ და, შესაბამისად, გვარიანადაც მრავლდებოდნენ. თუმცა აქაც თავისებურად იქცეოდნენ. კაზაკი თავის შვილებს მამულს, იმერელი აზნაურივით, ნაჭერ-ნაჭერ კი არ უყოფდა, არამედ ურჩევდა, ხმალი აეღო, სხვისთვის წაერთმია და ახალ მიწაზე დამკვიდრებულიყო.

მე-19 საუკუნის დასაწყისისთვის კავკასიიდან, ჩინეთის საზღვრებამდე, მთელ რუსეთის იმპერიას სარტყელივით ერტყა თერთმეტი კაზაკური მხედრიონი (ვოისკა) დონის, ყუბანის, ორენბურგის, ბაიკალისპირეთის, თერგის, ციმბირის, ურალის, ასტრახანის, სემირეჩენსკის, ამურისა და უსურიის. 1894 წლისთვის კაზაკური მოსახლეობა რუსეთში 5,5 მილიონს აღემატებოდა. მათი წლიური მატება კი, წელიწადში 2%-ს შეადგენდა. იმპერიის ხელისუფლება, რა თქმა უნდა, მალე მიხვდა, რომ კაზაკთა „გათავისუფლებას“ უფრო მეტი სარგებელი მოჰქონდა, ვიდრე მათ დევნას და დიდსულოვნად აპატია ფეოდალთა წინაშე ჩადენილი ცოდვები. კაზაკებმაც თავი გამოიდეს და ერთადერთ მეუფედ, ღმერთის შემდეგ, რუსეთის იმპერატორი გამოაცხადეს.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისთვის კაზაკებმა დღევანდელი ყუბანის, კრასნოდარისა და თერგისპირა ტრამალებზე მომთაბარე ხალხები შეავიწროვეს, ზოგი გაჟლიტეს, ნაწილი გაარუსეს, ნაწილი კი, არაიბერიული მოდგმის ყარაჩაელები, ბალყარელები და ოსები კავკასიის ჩრდილო კალთებს მოარეკეს. თავად კი მათ მიწებზე დასახლდნენ და ახლა კავკასიის ქედს გადმოღმა გადმოიხედეს. ამავე საუკუნის პირველ ნახევარში სამხრეთ კავკასიაში მშვიდობიანად შემოვიდნენ და საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ აფხაზეთში, შავი ზღვის პირას გამართეს ახალშენები. თუმცა იმ დროს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ: კოლხურმა ციებ-ცხელებამ მათი მოსახლეობის სამოც პროცენტს მუსრი გაავლო, დანარჩენები აიყარნენ და კვლავ ქედს მიღმა, ტრამალებს მიაშურეს. სამწუხაროდ, ქართველებმა მალევე გაიგეს კაზაკების მათრახებისა და ხმლების გემო, 1801 წლიდან მოყოლებული ყველა აჯანყებისა და სახალხო ეროვნულ-განმათავისუფლებელი გამოსვლის წინააღმდეგ ბრძოლაში, ავანგარდის როლს კაზაკობა ასრულებდა. საქართველოში მათ „ყაზახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებს“ უწოდებდნენ (ე. ნინოშვილი, მიხ. ჯავახიშვილი) უკანასკნელად კაზაკებმა გურია გაასწორეს მიწასთან, ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით...

კაზაკებმა ჯერ ერმაკის, შემდეგ კი დეჟნიოვისა და ხაბაროვის ხელმძღვანელობით დაიპყრეს ციმბირი და ეგრეთწოდებული შორეული აღმოსავლეთი. მათვე გაამდიდრეს რუსეთის ისტორია პუგაჩოვის, რაზინისა და ბულავინის გვარ-სახელებით. იმპერატორი კაზაკებს შესაფერის პატივს მიაგებდა, არამცთუ წილს სთხოვდა ნაალაფარიდან (რომელიც კანონის თანახმად ეკუთვნოდა), არამედ პირიქით, თავად უნიშნავდა ხელფასებს და ახალი მიწების ასათვისებლად აგულიანებდა.

მეცხრამეტე საუკუნეში კაზაკობა რუსეთში წოდებრივად აზნაურობასთან იყო გათანაბრებული და მონარქიზმის ერთადერთ ურყევ საყრდენს წარმოადგენდა. სწორედ კაზაკთა აქტიური მონაწილეობით დაითრგუნა 1905-1907 წლების „ბუნტი“, რითაც სოციალ-დემოკრატების გულისწყრომა გამოიწვიეს. კაზაკობა გენერალ კორნილოვის ხელმძღვანელობით, სამოქალაქო ომშიც შეუპოვრად ებრძოდა „წითლებს“. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ბოლშევიკებმა კაზაკებს წყენა გაუხსენეს და 1920 წლის ლენინის ბრძანებით, ამ ფენამ, როგორც დამოუკიდებელმა სამხედრო ერთეულმა, არსებობა შეწყვიტა. შემდეგ კი სტალინურმა კოლექტივიზაციამ და კერძო საკუთრების გაუქმებამ საბოლოოდ გადატეხა ხერხემალში კაზაკობა. ურჩები და არასაიმედოები, რომლებიც აშკარად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას, დახვრიტეს და გააციმბირეს. სხვებმა ბოროტი ზრახვები დაიოკეს, თოფიარაღი, ხმლები და ლაგამ-აღვირ-უნაგირი, „ჩულანებში“, „ჩერდაკებსა“ და „პოგრებებში“ გადამალეს და უკეთესი დროის მოლოდინში „ფსკერზე გაწვნენ“.

ომი ომია, გინდ ცივი იყოს და გინდ ცხელი. გინდ თანამედროვე, ათასი ცივილიზებული კონვენციითა და „ჰუმანური“ კანონებით შეზღუდული და გინდ ველური ინსტინქტებით განპირობებული. იგი საბოლოოდ ერთ რამეზე, ალაფზე დაიყვანება — ვაი დამარცხებულს, გამარჯვებულს კი, ყველაფერი, რაც ადრე დამარცხებულს ეკუთვნოდა. მთა-ბარი, სახლ-კარი, სახნავ-სათესი, დედა, მამა, შვილი, ცოლი, წინაპართა საფლავები, ყველაფერი გამარჯვებულისაა. უფრო ხშირად გამარჯვებული ფიქრობს — რაკი მოწინააღმდეგეს ძალით მოერია, მაშასადამე, მართალია და დამარცხებულის სულიერი ფასეულობების რევიზიას იწყებს. არ მოსწონს მისი ადათწესები, სიწმინდეები, მეურნეობა, ხელობა, საკვები, სიმღერა, მუსიკა, პოეზია, მშობლიური ენა. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის ყოველივე მიუწვდომელი და გაუგებარია. მსგავსი შოვინისტური აზროვნება გონებაშეზღუდულობის ნიშანია, ლოგიკა — პრიმიტიულია. როგორც ზემოთ ვთქვით, „რაც ჩემი გონებისთვის მიუწვდომელია, ყველაფერი ცუდია — არარაობაა. ამიტომ მე, გამარჯვებული, გირჩევ, შენც იგივე ფასეულობები აღიარო, რომელსაც მე ვაღიარებ. დაივიწყე შენი ადათ-წესები, შენი სიწმინდეები, შენი სიმღერა, შენი პოეზია, შენი კულტურა, შენი დედა ენა და ჩემთვის, გამარჯვებულისთვის, რომ ყველაფერი გასაგები იყოს, ჩემს დედა ენაზე მესაუბრე!“ ეს იმ შემთხვევაში, თუ არ მოსწონს, მაგრამ თუკი რამ მოეწონა დამარცხებულისა, სულიერსაც ისევე წაგლეჯს და წაართმევს, როგორც რაიმე ბრჭყვიალა ნივთს და შემდეგ თავის საკუთრებად გამოაცხადებს.

ყუბანელი კაზაკები, როგორც თვითონ უწოდებენ, „ჩერკესკას“ ატარებენ. ჩოხა ზოგადკავკასიურია და იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხების სამოსად ითვლება. მართალია ქართველი კაცი სამყაროს ფერებში ხედავს — „ყველაფერი — არაფერი“ (გრ. რობაქიძე); „ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“ (რუსთაველი) — რაც აზროვნების, ეროვნული ენის თავისებურებაა და არა უპირატესობა. მაგრამ ეს მრავალფეროვნება, არც ჩვენი ტაძრების არქიტექტურაში, არც ფრესკებზე, არც ხატწერაში და ჩვენი სამოსის სიჭრელეში არ ასახულა. ქართული ჩოხა, ასევე სხვა, ზემოხსენებული სიმბოლოები სისადავით, დახვეწილობითა და ზომიერებით გამოირჩევა. ქართველები, ძირითადად შავს, წაბლისფერს, შინდისფერს ანიჭებენ უპირატესობას. იშვიათად ჩოხებს თეთრი, რუხი, ლეგა ან მუქი ლურჯი ქსოვილისაგან იკერავდნენ. ახალუხი, წუღები, თავსაბურავი, ქამარი, სატევარი და მასრები არასოდეს ქმნიდნენ კონტრასტს ქსოვილის ფერთან (მოვერცხლილ-მოსევადებული იარაღიც კი შედარებით გვიანდელ ეპოქას ეკუთვნის).

კაზაკების „ჩერკესკები“ კი არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება, ფერთა სიჭრელეს მათ ტანსაცმელში საზღვარი არ აქვს. კაზაკს შესაძლოა ღია მწვანე ჩოხის შიგნით შხამიანი ყვითელი ახალუხი ეცვას. ფეხზე წითელი ჩექმები, თავზე ნარინჯისფერლენტიანი ბოხოხი ეხუროს. სატევარზე საერთოდ უარი თქვას. მასრები მწვანე ჩოხაზე სტაფილოსფრად უელავდეს და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, ისეთი ჭრელი ტანსაცმელი ატაროს, როგორც მის სულს გაუხარდება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დიდი განსხვავებაა კაზაკების „ჩერკესკებსა“ და კავკასიურ ჩოხას შორის, გამოუცდელი და გაუცნობიერებელი ადამიანები განსხვავებას ვერ პოულობენ, უფრო მეტიც, ზოგს ჩოხა კაზაკების ეროვნულ ტანსაცმლად მიაჩნია. როცა ქართული ცეკვის აკადემიური ანსამბლი 1963 წელს საფრანგეთის დედაქალაქში ჩავიდა და ქუჩებში მომავალი კონცერტების აფიშები გამოაკრეს, ფრანგებმა იკითხეს — ვინ არიან რუსეთიდან (საბჭოთა კავშირს ხშირად რუსეთად მოიხსენიებდნენ) ჩამოსული, ასეთ უცნაურ და ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანებიო? — ვინ და კაზაკებიო, — უპასუხეს რუსმა ემიგრანტებმა, რომელთა პირველი თაობა მაშინ, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მართალია, ყველაფერი მალევე გაირკვა, მაგრამ „ქართული გენი, როკვით განფენილი“, თავიდან მაინც რუსებს და თანაც, კაზაკებს მიეწერა...

არადა, იმ პირველ კაზაკს, რომელმაც ჩერქეზი მოკლა, გაძარცვა და თავისიანებთან „ჩერკესკით“ გამოცხადდა, ჩოხა უპირველეს ყოვლისა, იმავე მიზნით სჭირდებოდა, რა მიზნითაც ალუდა ქეთელაურს, მტრის მოჭრილი მარჯვენა — საკუთარი ვაჟკაცობის საბუთად. განსხვავება ამ ორს შორის საწყისშია — პირველი ავაზაკობს, ძარცვავს, მეორე კი თავისას იცავს. ასე რომ, ყუბანელი კაზაკების დღევანდელი სამოსი ზოგადი მორალური თვალსაზრისით



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაყაჩაღარია და მათი დღევანდელი მორთულობა ცინიზმად აღიქმება.

რუსეთი და საქართველო პირისპირ ოფიციალურად არასდროს შებმია ერთმანეთს, მაგრამ რამდენჯერაც მტრისგან დასუსტებული ქართველი სული მოითქვამდა, აღმოჩნდებოდა, რომ რუსი „აჯდა“ თავზე. მექანიზმი ამ პარადოქსისა არის ის, რომ რუსს ხელს არ აძლევს ძლიერი საქართველოს არსებობა (ძლიერი საქართველო, კავკასიის დამოუკიდებლობას ნიშნავს), „ერთმორწმუნე“ პირდაპირ ბრძოლას, ღია ომს გაურბის და სხვებს აგულიანებს ჩვენ წინააღმდეგ, რათა დაგვასუსტოს, დაგვაძაბუნოს, მერე მხსნელად მოვიდეს და თავისი „ძმური“ თათი მძიმედ დაგვადოს მხარზე.

ასეა თუ ისე, ორას წელზე მეტია, რაც რუსები დომინირებენ საქართველოში. ამ დროის განმავლობაში არაერთი ჩვენი მატერიალური ფასეულობა წაიღეს და თავის საკუთრებად გამოაცხადეს. ამ ფასეულობათაგან ზოგის კვალი დაკარგულია, ზოგისა კი თითო ოროლა ადამიანმა თუ იცის. ჩემი სიტყვების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ქართული ხმლის ისტორია.

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული მთელ მსოფლიოში განთქმული იყო დამასკური ხმალი, რომელსაც განსაკუთრებული ფოლადით, საგანგებო წრთობის შედეგად ამზადებდნენ. ამ ფოლადით იყო გამოჭედილი სახელგანთქმული იაპონური, ჩინური, ინდური, სპარსული, თურქული და ქართული ხმლები.

მას შემდეგ, რაც თემურ ლენგმა დამასკო დაანგრია და ყველა იქაური ოსტატ-ხელოსანი ბუხარაში წაასხა, დამასკური ფოლადის გამოდნობისა და წრთობის საიდუმლო დაიკარგაო, გვამცნობენ მემატიანენი, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში აწ უკვე რუსეთის პროვინციად ქცეულ საქართველოში აღმოჩნდნენ იარაღის ოსტატები, რომელთა ნახელავიც დამასკურს არაფრით ჩამოუვარდებოდა. თბილისელი ელიაზარიშვილების გამოჭედილი ჯევარდნები მთელ კავკასიაში საუკეთესოდ ითვლებოდა, მათი ნახელავი ევროპაშიც გადიოდა და დიდადაც ფასობდა.

თუ რამდენად დახვეწილი იყო ქართველი კაცის მოთხოვნილება ხმლისადმი, ნათლად ჩანს გამოჩენილი ქართველი სწავლულის, მამუკა ბარათაშვილის ტრაქტატიდან: „ხმალი ძველი, გრძელი, გახრილი, მჭეველი დამკვეთელი და სრულია, გლუვი იყოს თუ გამოფერდული, ან ღაროსანი, გორდა თუ კალმიდი, ამას ქართველნი ჰყვარობენ. კარგი და გამორჩეული ესე არის, რომ გვარიანიც იყოს ძველი და არა ღვარჭნილი, არცა მცირედი სიმრუდე ჰქონდეს, არცა მაღალ-დაბლობა აჩნდეს, ლიბრი იყოს და არა თეთრი საშუალო, ძვალთა და რკინათა მკვეთელი და თვით უვნებელი და ადრე არ დამბლანგველი, უტალ-უნაფცხენო, ყუა-ზრქელ გინდა სწორე, შაშარ მოკლე“. დაახლოებით ასეთ ხმალს აკეთებდა თბილისელი ოსტატი ყარამან ელიაზარიშვილი, რომელსაც ხელობა მამა-პაპისგან ჰქონდა ნაანდერძევი (მამამისი გიორგი, დარეჯან დედოფლის ყმათა სიაშია მოხსენიებული. სავარაუდოა, რომ გ. ელიაზარიშვილის გაჭედილი ხმლებით იბრძოდნენ ქართველები კრწანის-ყარყუთის ომში). იმპერიის ხელისუფლებას არ გამოჰპარვია ელიაზარიშვილების არსებობა. მით უმეტეს, რომ იმ დროში ხმალი ერთ-ერთ მთავარ საბრძოლო იარაღად ითვლებოდა. რუსეთში, მართალია, არსებობდა იარაღის სერიოზული მწარმოებელი ქარხანა ზლატოუსტის („ზავოდ ბელოგო ორუჟია“), მაგრამ მათი გამოშვებული ხმლები არაფრად ვარგოდა. შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი კანკრინი სერიოზულად დაინტერესდა ამ საქმით და კავკასიის მთავარმართებელს გრაფ პასკევიჩ-ერევანსკის დაავალა, შეემოწმებინა ქართული იარაღის ავკარგობა. ცდამ საოცრად შთამბეჭდავი შედეგი გამოიღო – ქართულმა ხმალმა თხილის ჯოხივით გათალა ზლატოუსტის ქარხნის გამოშვებული ხმალი. „მიუხედავად იმისა, რომ ელიაზარიშვილები საუკეთესო იარაღს ამზადებდნენ, მათი თანამედროვენი უფრო მაღლა აყენებდნენ ძველებურ ქართულ ხმალს, – გორდას სახელით რომ იყო ცნობილი“ (პ. გუგუშვილი). პასკევიჩმა საგანგებოდ შეისყიდა ყარამან ელიაზარიშვილისგან: ხმალი – 30 ჩერვონეცად, დაშნა – 50-ად და სატევარი – 30-ად და კანკრინს გაუგზავნა. ამ უკანასკნელმა იარაღით იმპერატორი ნიკოლოზ პირველი დააინტერესა.

გადაწყდა, ელიაზარიშვილი დაეყოლიებინათ ზლატაუსტის ქარხნის ოსტატებისთვის გაეზიარებინა საიარაღო ფოლადის გამოდნობისა და მისი წრთობის მეთოდები. ყარამანი მასალად იყენებდა ინდოეთის რკინა „ვუნცას“ და ქართულ ნალებს. ხოლო წრთობისას იყენებდნენ უძველეს აზიურ მეთოდებს. ერთი ხმლის პირს მარჯვენა ყარა ტაბანის, მარცხენას კი ყარა-ხორასნის მეთოდით აწრთობდნენ. ამას გარდა, ელიაზარიშვილები ფლობდნენ სხვა საიდუმლოებებსაც, რომლებიც მისტიკურ მოვლენებთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ყარამან ელიაზარიშვილს არ უნდოდა საგვარეულო საიდუმლოს გაცემა, ბოლოს მაინც დაჰყვა იმპერატორ ნიკოლოზ პირველის პირად თხოვნას. 1828 წლის მაისში თბილისში საგანგებოდ ჩამოვიდნენ ზლატაუსტის ქარხნის ოსტატები, რუსი ვასილ იუჟაკოვი და გერმანელი კარლ ვოლფერცი. აგრეთვე მუშები დიატლოვი და იანოვსკი. ქართველმა ოსტატმა უცხოელებს გადასცა ფოლადის გამოდნობის საკუთარი რეცეპტი, შეასწავლა მისი წრთობის ხერხები და იარაღის პირზე ვერცხლისა და ოქროს მავთულით ჩაჭდეული ხვეულებისა და სხვა სამშვენების გაკეთება (პ. გუგუშვილი). რუსეთიდან ჩამოსულმა შეგირდებმა კარგად შეისწავლეს ხმლების დამზადების ქართული ხელოვნება და სამშობლოში გაბრუნდნენ. იმავე წელს გამოჭედეს ქართული ჯევარდნები, რომელსაც, რა თქმა უნდა, ზლატაუსტის დამღა დაადეს და ნიმუშები იმპერატორს მიართვეს. ნიკოლოზ პირველს ხმლები ძალიან მოეწონა და ბრძანა, კადეტთა სამთო კორპუსის მუზეუმისთვის გადაეცათ. ხოლო ყარამან ელიაზარიშვილს ჯილდოდ გაუგზავნა დიდი ოქროს მედალი წმ. ანას ლენტით და 1000 ჩერვონეცი ოქროთი. ეს იყო და ეს, მას შემდეგ ქართული ფოლადის გამოდნობის, მისი წრთობის ხერხები აღარავის უხსენებია. ზლატაუსტის ქარხანა კი თითქმის ორასი წლის განმავლობაში შტამპავდა ქართული ფოლადით გამოდნობილ ხმლებს. ის „შაშკები“ და „საბლიები“ ძველი კაზაკების შთამომავლებმა რომ გამოქექეს „ჩერდაკებსა“ და „ჩულანებში“, სწორედ ყარამან ელიაზარიშვილის ქართული მეთოდითაა გამოდნობილ-გამოწრთობილი, მაგრამ ეს მათ სულაც არ აინტერესებთ, რადგან დღემდე „სილა იესტ, უმა ნე ნადა“-ს ფილოსოფიით ცხოვრობენ...

**P.S.** ბატონი კოტე ჩოლოყაშვილის ცნობით, ყარამან ელიაზარიშვილის რეცეპტი ქართველებისთვისაც ყოფილა ცნობილი, „რომლის მიხედვითაც 1955 წლის 2 დეკემბერს, მეტალურგ კარლო ლეჟავას რუსთავის ქარხანაში გამოუდვნია განსაკუთრებული ფოლადი. ფოლადმა შემდეგი ნიშნები გამოავლინა: 1. ელიაზარიშვილის რეცეპტით დამზადებული ფოლადის ნიმუში ჩარხზე დამუშავებისას ჩვეულებრივი საჭრისებით ვერ გაიჭრა. მისი გადაჭრა მხოლოდ რამდენჯერმე ალესილი საუკეთესო საჭრისის, „პობედიტის“ (ალმასის) საშუალებით მოხერხდა; 2. ელიაზარიშვილის რეცეპტით ჩატარებული მჭედლური შედუღება გამოირჩევა დიდი სიმტკიცით; 3. ელიაზარიშვილის რეცეპტის კუსტარული დამუშავების შედეგად შესაძლებელია მიღებულ იქნას უმაღლესი ხარისხის ფოლადი“. ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ ქართველებს ოდესმე სამხედრო მრეწველობის ჩანასახი მაინც გვექნება, ზემოხსენებული რეცეპტის მოძიება აუცილებლად მოგვიწევს.

თამაზ ჟორჟოლიანი

**გთავაზობთ წინა ნომერში შეპირებულ მასალას საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში მოსახვედრად გასავლელი პროცედურებისა და ტესტების შესახებ.**



# როგორ იღებენ მოხალისეებს საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში

მოგეხსენებათ, საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში მოსახვედრად, ჯერ მისი სამხედრო პუნქტი უნდა მოძებნოთ. დავუშვათ, წარმატებით გაიარეთ ათასობით კილომეტრი და საფრანგეთის ტერიტორიაზე, ლეგიონის უახლოეს პუნქტს, მაგალითად პარიზში, მიადექით. რა ხდება ამის შემდეგ? სწორედ ამაზე მოგითხრობთ ქვემოთ:

პუნქტის ჭიშკართან, რომელიც შემოღობილი სამხედრო ობიექტის ერთადერთ შესასვლელს წარმოადგენს, დაგხვდებათ ლეგიონერი (კაპრალი ან შეფ-კაპრალი), იგი ფრანგულად დაგელაპარაკებათ. თქვენს დუმილს მოჰყვება კითხვა ეროვნების შესახებ. იმედია, ამაზე მაინც უპასუხებთ. შემდეგ პასპორტს მოგთხოვენ. მერე შეგიყვანენ ოთახში, რომლის კარსაც სახელური მხოლოდ გარედან აქვს. აქ თქვენ შეგიძლიათ დაჯდეთ, საჭიროების შემთხვევაში დალიოთ წყალი და გახვიდეთ ტუალეტში. ამიტომ ისღა დაგრჩენიათ იჯდეთ და ელოდოთ... რამდენიმე ხანში მოვა ლეგიონერი და გთხოვთ გაჰყვეთ (როცა ოთახში შემოვა, ფეხზე უნდა ადგეთ). თქვენ შეგიყვანენ შენობაში, სადაც გაგჩხრეკენ. გაგხდიან ტანზე და ქვედა საცვლის ამარა დაგტოვებენ. ეს გახლავთ შემოწმების პირველი ეტაპი. ამ დროს შეგიმოწმებენ მხედველობას, კბილებს, აგწონიან, გაგზომავენ. დაინტერესდებიან ტატუირებით, ნაიარევით და მათი წარმოშობის ისტორიით. გკითხავენ გადატანილი გაქვთ თუ არა ოპერაციები და ასე შემდეგ... მოგვიანებით დაისმება შეკითხვები: რისთვის ჩამოხვედი? რომელ აღმსარებლობას აღიარებ? ვინ არიან შენი მშობლები. გამოკითხვის შემდეგ დაგარქმევენ ახალ სახელს, მოგცემენ ახალ დაბადების ადგილს და თარიღს. ამ მომენტიდან ახალ სახელზე უნდა გამოეხმაუროთ (თუმცა სხვა მოხალისეების გაცნობისას ნამდვილი სახელის თქმა აკრძალული არ არის). კაპრალი აღწერს თქვენს ნივთებს. ყოველივე უსარგებლოს ჩამოგართმევენ: უბის წიგნაკს, მაკრატელს (გირჩევთ, წინასწარ დაიჭრათ ფრჩხილები), თუ თან რაიმე საკვები გაქვთ, გადააგდებენ. შემდეგ მოგცემენ სპორტულ კოსტიუმს და შეგიყვანენ საძინებელ ოთახში, გაჩვენებენ თქვენს ადგილს. მთელ თავისუფალ დროს ოთახში გაატარებთ. საიდანაც მხოლოდ ტუალეტში გასვლა შეიძლება. ოთახში ტელევიზორი და ვიდეომაგნიტოფონი დგას. კასეტებზე ლეგიონის საქმიანობაა ჩაწერილი...

დღის განაწესი შემდეგია: ადგომა – $5^{00}$-$5^{30}$; საუზმე – $6^{00}$; სადილი – $11^{00}$; ვახშამი – $17^{00}$; დაძინება $21^{00}$–$21^{30}$.

დილით ადგომისას, აუცილებელია დაბანა და საწოლის გასწორება. შემდეგ, დერეფანში ხდება მწყობრის მოწყობა, საწოლების გასწორების ავ-კარგობას კაპრალი ამოწმებს. იმ შემთხვევაში თუ საწოლი უგერგილოდაა გასწორებული, მოხალისე ისჯება. ლეგიონში სასჯელად იყენებენ იატაკიდან მკლავებით აზიდვებს და კეფაში წამოთაქებას. ამის მერე ყველა გადის გარეთ და მწყობრში დგება, სადაც შერჩევით რამდენიმეს გამოიძახებენ. ამ დროს ყურადღებით უნდა იყოთ, რომ თქვენი ახალი გვარი არ გამოგეპაროთ.

გამოძახებულებმა საუზმემდე მორიგეების სათავსოები უნდა დაალაგონ, საუზმის შემდეგ კი ერთი საათით რჩებიან სასადილოში სამუშაოდ. დანარჩენებს სამხედრო ნაწილის შიგნით სხვადასხვა დავალებას აძლევენ: შენობებისა და ტერიტორიის დასუფთავება, სხვადასხვა საგნების გადაზიდვა და ა.შ.

ასე გრძელდება რამდენიმე დღიდან 2-3 კვირამდე. ობანის გადასარჩევ ბანაკში გაგზავნამდე კიდევ ერთ სამედიცინო შემოწმებას გაივლით. ადრინდელ პროცედურებს დაემატება წნევის გაზომვა, უფრო დაკვირვებით შეგიმოწმებენ მხედველობას, სმენას, მეტ კითხვას დაგისვამენ გადატანილი ავადმყოფობებისა და ტრავმების შესახებ.

გადაგზავნა ხდება ნავახშმევს. მოგცემენ თქვენს ტანსაცმელს, წაგიყვანენ სადგურში, საიდანაც მატარებლით გაემგზავრებით ქალაქ მარსელში. დილის 6-7 საათზე მარსელის ვაგზალზე გადაჯდებით ელექტრომატარებელში და რამდენიმე გაჩერების შემდეგ ობანში აღმოჩნდებით. ამჯერად ავტობუსში ჩაჯდებით და 5 წუთში, ლეგიონის ცენტრალურ ბაზაში ამოჰყოფთ თავს.

აქ თქვენ შეგიყვანენ მოხალისეებისათვის განკუთვნილ შენობაში და უფრო დაკვირვებით გაგჩხრეკენ. შემდეგ მოგცემენ ყველაფერს, რაც მოხალისესთვის არის აუცილებელი – 2 ცალ ტრუსს, ერთ მოკლე სპორტულ შორტს, კედებს, მაისურს, ერთჯერადი სამართებლების შეკვრას და საპარს კრემს, კბილის ჯაგრისსა და პასტას, საყოფაცხოვრებო და აბანოს საპონს, ტუალეტის ქაღალდს და ორ ზეწარს. საკუთარი ნივთებიდან მხოლოდ პირსახოცს, ფლოსტებს, ლექსიკონს ან სასაუბროს დაგიტოვებენ.

შემდეგ შეგიყვანენ ოთახში, სადაც გაჩვენებენ თქვენ საწოლს. სხვადასხვა ეროვნების მოხალისეებს ცალ-ცალკე ოთახებში ათავსებენ. შემდეგ კი დროდადრო როტაციას აწყობენ. ახალი დღის წესრიგი დიდად არ განსხვავდება ძველისაგან, მხოლოდ დაიწყება $5^{30}$-$6^{00}$ საათზე, ამასთან ერთად, იშვიათ შემთხვევაში შეიძლება დაძინება გაჭიანურდეს. აქ თავისუფალი დრო საგრძნობლად შემცირდება. შედარებით მეტი მუშაობა მოგიწევთ, მაგრამ უსაქმოდ ჯდომას ხომ შრომა ჯობია. ჯერ ერთი, მუშაობისას დრო შეუმჩნევლად, სწრაფად გადის. მეორეც, ეს საშუალებას მოგცემთ, მცირედ მაინც ჩაიხედოთ ლეგიონის ცხოვრებაში – გაეცნოთ თქვენნაირ ახალწვეულ მოხალისეებს. მესამე, ხშირად სამუშაოდ სამხედრო ნაწილის გარეთ, მაგალითად, ვეტერანთა სახლში (ამ გზის მიკროავტობუსით გავლას კი, მარტო ერთ მხარეს 20 წუთი სჭირდება), ანდა მარსელში, ოფიცერთა დასასვენებელ ბაზაზე წაგიყვანენ.

თავისუფალ დროს ეგრეთწოდებულ სპორტქალაქში გაატარებთ, სადაც ძელსკამების ნაცვლად, ხის მორები აწყვია. აქ მოხალისეები ჩვეულებრივ კლანებად იყოფიან (ძირითადად, ეროვნების მიხედვით), მაგრამ შეიძლება ყოველგვარი პრობლემის გარეშე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხვიდეთ და გამოელაპარაკოთ პოლონელებს, სლოვაკებს, რუსებს ან სხვა ეროვნების მოხალისეებს, რა თქმა უნდა, თუკი უცხო ენები იცით. სერიოზული კონფლიქტები აქ არ ხდება, რადგან იციან, რომ მსგავს შემთხვევაში, ყოველგვარი გამოძიებისა და გარჩევის გარეშე, მტყუანიცა და მართალიც მაშინვე გარეთ აღმოჩნდება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ობანიში გატარებულ ყოველ დღე-ღამეში თქვენ მიიღებთ 25 ევროს (უქმე დღეებისთვის – 40 ევროს) და, რა თქმა უნდა, გაივლით მისაღებ ტესტებს.

## ტესტები

აქ წარმოდგენილია ტესტების სავარაუდო ვარიანტები, რომელთაც ლეგიონში ჩასარიცხად შემოგთავაზებენ. სავარაუდო ვარიანტები იმიტომ ჰქვია, რომ ვერავინ მოგცემთ გარანტიას, რომ ტესტების შინაარსი არ შეიცვლება. ამიტომ ეს ნიმუშები მხოლოდ დაახლოებით წარმოდგენას შეგიქმნით, თუ რა გელით წინ. დაგეხმარებათ უფრო მომზადებულად და მშვიდად შეხვდეთ ტესტურ გამოცდებს. შემოგთავაზებენ სამი სახის ტესტს: ფსიქოლოგიურს, სამედიცინოს და ფიზიკურს. აღსანიშნავია, რომ შეგიძლიათ აირჩიოთ პირველად ფსიქოლოგიურ ტესტს გაივლით თუ სამედიცინოს. ფიზიკურ ტესტს მხოლოდ სამედიცინო ტესტის წარმატებით ჩაბარების შემდეგ შემოგთავაზებენ.

ტესტირებას, როგორც წესი, კაპრალი ატარებს. საუბარი უმთავრესად ფრანგულ ან ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს. ტესტირება მრავალი ტესტისაგან შედგება, და ერთი მეორის მიყოლებით 1,5-2 საათი მიმდინარეობს. თითო ტესტს გარკვეული დრო აქვს გამოყოფილი. თქვენ მოგცემენ ტექსტს მშობლიურ ენაზე. თუკი ტექსტების დარიგებისას მოხდა გაუგებრობა და თქვენ არამშობლიურ ენაზე შევსებული ტესტი შეგხვდათ, არ უნდა დაიბნეთ. ასწიეთ ხელი და ამის შესახებ კაპრალს მოახსენეთ. ტესტები მრავალფეროვან დავალებას მოიცავს.

1. დავალება, რომლის დროსაც აუცილებელი იქნება, დახატოთ ხე. შემდეგ შემოგთავაზებენ დახატული, დავუშვათ 20 ხიდან, შეარჩიოთ ორი, რომლებიც შედარებით გესიმპათიურებათ.

რჩევა: უნდა დახატოთ და შესაბამისად აირჩიოთ, უბრალო ფოთლოვანი ხეები, არავითარი პალმები და ნაძვები. კერძოდ: ხეები ფესვთა სისტემის გარეშე, რომელთაც ნაკლები რაოდენობის ტოტები, შვერილები და ფულუროები აქვთ.

2. ტესტი კბილანებით. მოგეცემათ მრგვალი კბილანების სურათი, რომლის მიხედვითაც უნდა ამოიცნოთ, რომელ მხარეს იტრიალებს D კბილანა, თუ A კბილანა მარჯვნივ მოძრაობს და ა.შ. ყოველი ახალი სურათის განხილვისას სირთულე მოიმატებს. 3 კბილანას კიდევ ერთი დაემატება, ანდა ორს შორის ღვედური გადაცემა აღმოჩნდება. ნახატების ქვემოთ მოცემულია პასუხის ვარიანტები. თქვენი მოვალეობაა მათ შორის სწორი პასუხის დაფიქსირება.

რჩევა: ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კარგად ერკვევით მექანიკაში. არ შეუშინდეთ ამოცანის თანდათან გართულებას.

3. მოგეცემათ სურათი და მასთან ერთად, 4-5 მისი მსგავსი. აუცილებლად უნდა ამოირჩიოთ პირველის იდენტური.

4. სურათზე, რომელსაც მოგცემენ, გამოსახული იქნება რამდენიმე რიგად დალაგებული კუბები. რიგები შეიძლება სხვადასხვა სიმაღლის და სისქის იყოს. უნდა გაარჩიოთ, რამდენი კუბია მთლიანად კონსტრუქციაში და სხვადასხვა ვარიანტს შორის სწორ პასუხს მიაგნოთ.

5. 3X3 ზომის სურათზე 9 ფიგურიდან ერთი აკლია. უნდა აღმოაჩინოთ ეს ფიგურა და სურათი შეავსოთ.

6. მოგეცემათ კითხვების ნუსხა. თითოეული კითხვის გასწვრივ უნდა დაწეროთ პასუხი „კი“ ან „არა“. ანდა „+“ ან „–“ კითხვები შემდეგი ხასიათისაა: კარგად გრძნობთ თუ არა თავს კოლექტივში? გიყვართ თუ არა მარტოობა? ანდა: გტკიოდათ თუ არა როდისმე მუცელი? გიყვარდათ თუ არა ცხოვრებაში? თუ მოგიპარავთ და ა.შ.

რჩევა: მსგავსი კითხვები დაფიქრებას მოითხოვს – თუკი თქვენ დადებითად უპასუხეთ კითხვაზე, რომ კოლექტივში ყოფნა მოგწონთ, კითხვაზე გიყვართ თუ არა მარტოობა, დადებითი პასუხის გაცემა აღარ ღირს. მეორე ჯგუფის კითხვებზე უპასუხეთ ისე, როგორც ამას თქვენი ცნობიერება გკარნახობთ.

7. ტესტი რუკის დამახსოვრებაზე. მოგეცემათ საცხოვრებელი უბნის რუკა თავისი სახლებით, ქუჩებითა და სპეცშენობებით. ობიექტებს ექნება წარწერები: სკოლა, ფეხსაცმლის მაღაზია, აფთიაქი და ა.შ. მოცემული იქნება ქუჩების დასახელებაც. რუკის დასამახსოვრებლად მოგცემენ 5 წუთს. შემდეგ მოგცემენ კონტურულ რუკას (წარწერების გარეშე) და თქვენ უნდა დააწეროთ ობიექტებს სახელები (თუ თავდაპირველად მოცემული იყო 25-30 ობიექტი, საკმარისია მხოლოდ 12-10 ობიექტის აღნიშვნა).

რჩევა: უნდა დაიმახსოვროთ მხოლოდ შენობები (და არა ქუჩები), მათი სახელები და რიგი: თუ მთლიანი რუკის დამახსოვრება გიძნელდებათ, შეეცადეთ, მხოლოდ ზემოთა ნაწილი დაიმახსოვროთ, ან ქვემოთა მარცხენა ნაწილი, ან ყველა მაღაზია და ყველა ავტოგასამართი სადგური.

სამედიცინო ტესტი ცალკე შენობაში ტარდება. ჩვეულებრივ 10-12-კაციან ჯგუფს გამოიძახებენ. შენობაში შესვლის შემდეგ ყველა იხდის ტანზე, ჯდება მორზე და ელოდება გამოძახებას. გამოძახების დროს ყურადღებით უნდა იყოთ, რადგან ყველას გვარით იძახებენ და საკუთარი გვარის გაგონებისთანავე უნდა

# სამხედრო ლექსიკონი

**მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი“ აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.**

Аэростат заграждения – გადამღობი აეროსტატი

База тыловая – ზურგის ბაზა

База полевая – საველე ბაზა

Баржа – კარჭაპი

Баркас – ორჩხომელი

Батальон – ათასეული

Батальон сапёрный – მესანგრეთა ათასეული

Батальон медико-санитарный – სამედიცინო-სანიტარული ბატალიონი

Батарея кочуюшая – მოხეტიალე ბატარეა

Батарея солнечная – მზის ბატარეა

Безвредный – უვნებელი

Безгильзовый – უჰილზო, უმასრო

Берег высадки десанта – დესანტის გადასასხამი ნაპირი

Беспламенный – უალო

Бинокль – ჭოგრიტი

Бинт – სახვევი, ბანდი

Боевой – საბრძოლო

Боезапас – საბრძოლო მარაგი

Боеприпасы – საბრძოლო მასალები

Боеприпасы кумулятивные – კუმულატიური საბრძოლო მასალები

Боеприпасы холостые – ფუჭი საბრძოლო მასალები

Боеспособность – ბრძოლისუნარიანობა

Боец – მეომარი

Бой встречный – შემხვედრი ბრძოლა

Бой на изнурение – ბრძოლა დაუძლურებაზე

Бой на истощение – ბრძოლა გამოფიტვაზე

Бой штыковой – ხიშტით ბრძოლა

Бомба бетонобойная – ბეტონგამტანი ბომბი

Бомба бронебойная – ჯავშანგამტანი ბომბი

Бомба глубинная – სიღრმისეული ბომბი

Бомба зажигательная – ცეცხლგამჩენი ბომბი

Бомба самонаводящаяся – თვითდამმიზნელი ბომბი

Бомба светящая – მანათობელი ბომბი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოეხმაუროთ. კომისია 3 ეტაპისაგან შედგება. თავიდან ყველა ორ კაპრალს შორის გაივლის. აქ თქვენ აგიღებენ შარდის ანალიზს, შეგიმოწმებენ კბილებს, მხედველობას. აღრიცხავენ და ჩაინიშნავენ ყველა ნაჭარევს. ჩაიწერენ სად და რა ვითარებაში მიიღეთ ისინი. მოგიწევთ აგრეთვე შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა: გადაგიტანიათ თუ არა როდესმე სიყვითლე, ყბაყურა, ოპერაცია, მოტეხილობანი და მძიმე ტრავმები? გატაცებული იყავით თუ არა სპორტით, რომელი სახით და რა დროით? რატომ გადაწყვიტეთ ლეგიონში მისვლა. მოგიწევთ ბიოგრაფიის მოყოლა. ამის შემდეგ გამოგიძახებენ მეორე კაბინეტში, ადიუტანტთან. აქ მხოლოდ შეკითხვებს იძლევიან. გეკითხებიან — პასუხობ. კითხვებს შორის აუცილებლად იქნება ის კითხვები, რომლებიც ადრე დაგისვეს. საუბარი მიმდინარეობს თარჯიმანი ლეგიონერის მეშვეობით. მესამე კაბინეტში თქვენ მოხვდებით კაპიტანთან, რომელიც გააგრძელებს გასინჯვის პროცედურას. გაგისინჯავთ კბილებს, სმენას, მხედველობას, მოუსმენს ფილტვებს და შინაგან სნეულებათა გამოსაკვლევად მთლიანად გაგსინჯავთ (თირკმლები, ღვიძლი). ამის შემდეგ ისევ დაგისვამენ კითხვებს, რის შემდეგაც ან უარს გეტყვიან ტესტირების გაგრძელებაზე (სამედიცინო ტესტის ჩაუბარებლობის გამო), ან ნებას დაგრთავენ გაიაროთ შემდეგი გამოცდები.

ფიზიკური ტესტი მხოლოდ კროსისგან შედგება. ის დილაობით, სტანდარტულ სტადიონზე ტარდება, რომლის წრეც 400 მეტრია, სარბენი ბილიკის საფარი კი რეზინისაა. გარბენის წინ არიგებენ მაისურებსა და ნომრებს. სტადიონზე (ყაზარმიდან 1,2 კმ) კროსის მონაწილენი სირბილით მიდიან. მიირბენენ თუ არა სტადიონზე, ჯგუფი მაშინვე სტარტზე მოეწყობა და იწყება კროსი დროზე. სავალდებულოა 3 წუთში — 2,8 კმ-ის გარბენა, ამასთან, თუ აღნიშნული მანძილი 3 წუთზე ნაკლებ დროში გაირბინე, არ უნდა გაჩერდე და მანამდე ირბინო, სანამ დრო ბოლომდე არ ამოიწურება. ეს გახლავთ ეგრეთწოდებული კუპირის ტესტი. პირველი ჩასტვენის გაგონებისას ყველა იწყებს სირბილს, მეორე სასტვენზე — ყველა ჩერდება. ყოველ წრეს ლეგიონერი სიაში აღნიშნავს. ბოლოს ყველა მწყობრში დგება და უკან, ყაზარმებისკენ გამორბის. დაბრუნებულები ნომრებს და მაისურებს აბარებენ და შხაპის მისაღებად მიდიან.

## გესტაპო

ასე სახიერად უწოდებენ გასაუბრების პროცესის გავლას, რომელსაც უშიშროების ოფიცერი ატარებს. გასაუბრების მიზანი თქვენ შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნაა. კითხვები შეიძლება მრავალფეროვანი იყოს, უმჯობესია, თუ ფანტაზიას მოთოკავთ და ლამაზი ლეგენდების შეთხზვას თავს დაანებებთ, რადგან თქვენ წინაშე სწორედ ის ხალხი ზის, ვისი პროფესიაც ჭეშმარიტების ამოცნობაა. მათ ადვილად შეუძლიათ გამოგიჭირონ სიცრუეში, თანაც თქვენი მიღება-არმიღების საქმეში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს სწორედ ეს ოფიცრები ასრულებენ.

გასაუბრება სამ ეტაპად მიმდინარეობს. საუბარი წარსულზე — ბიოგრაფია, ჩასვლის მიზეზი. მოტივები, რომლებმაც ლეგიონში ჩარიცხვის სურვილი გაგიღვივათ. ამ დროს ირკვევა, რა პრობლემები გქონდათ სამშობლოში და ამასთან დაკავშირებულ კითხვებს გისვამენ. მთავარია, იგივე გაიმეორო, რაც პირველ დღეს, მისაღებ პუნქტში გამოცხადების დღეს, ან სამედიცინო კომისიის დროს თქვი.

მეორე — იგივე კითხვები იმავე მიმართულებით, რომელთა მიზანია გაარკვიონ, რამდენად მართალი იყავი აქამდე.

მესამე — იმავე კითხვებს დაგისვამთ ლეიტენანტი, ოღონდ თარჯიმნის მეშვეობით.

უნდა შევახსენოთ, რომ „გესტაპოში“ თქვენ ხვდებით წინა ტესტების წარმატებით ჩაბარების შემდეგ. ეს გასაუბრება შეიძლება ერთ დღეში დასრულდეს, შეიძლება რამდენიმე დღე გაგრძელდეს. ერთადერთი, რაც შესაძლებელია გირჩიოთ, არის ის, რომ თქვით სიმართლე, უპასუხეთ სწრაფად და ნათლად.

## ROUGE – ღუჟ

„ღუჟ“ ფრანგული სიტყვაა და წითელს ნიშნავს. ადრე, მოხალისე, ვინც სასწავლო ბანაკში გაგზავნას ელოდა, სახელოს ზემოთ წითელ მკლავსახვევს ატარებდა, სწორედ ამიტომ შეარქვეს ამ ეტაპს „ღუჟ“-ი. „ღუჟ“-ში ხვდება ის მოხალისე, ვინც გესტაპო გაიარა. პარასკეობით, დილის შემოწმების დროს, ჯერ იძახებენ ჯგუფებს, რომლებიც ტესტირებაზე ან სამუშაოდ უნდა გავიდნენ, შემდეგ იწყება სიის მიხედვით გამოძახება. ისინი, ვის გვარებსაც ამოიკითხავენ „ღუჟ“-ს უერთდებიან. როგორც წესი, არჩევენ 18 კაცს (იშვიათად 19-20). როცა უკანასკნელ გვარს ამოიკითხავენ, დანარჩენებისთვის გაისმის ბრძანება „ცივილ“, რაც იმის მანიშნებელია, რომ მათთვის ლეგიონი დამთავრებულია, ყოველ შემთხვევაში, ამჯერად მაინც (აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა დაწუნებული სრულად იღებს ლეგიონში გამომუშავებულ თანხას).

ვისაც გაუმართლებს და წითელ სამკლავურს მოირგებს, თავს გადაპარსავენ, მისცემენ მოკლეყელიან ჩექმებს და სამხედრო ქუდს. ასევე აძლევენ ახალ სპორტულ ფორმას, რომელსაც უკვე ლეგიონის ემბლემები ამშვენებს. ამიერიდან მოხალისის დღის წესრიგიც სხვანაირადაა აგებული. დილით ჯერ „ღუჟს“ აღვიძებენ, შემდეგ კი დანარჩენებს. „ღუჟი“ მორიგეობს მოხალისეთა სამხედრო ნაწილის ჭიშკართან და შენობის შესასვლელთან (2 საათიანი ცვლა). რჩეულებს სამუშაოებით აღარ ტვირთავენ, სამაგიეროდ, ყოველდღე 5-7-კილომეტრიანი კროსი და ერთსაათიანი ცურვა გარანტირებული აქვთ. გარდა ამისა, ეცნობიან ლეგიონის ცხოვრებას, ისტორიას, გადიან დამატებით მედკომისიას. ასე ატარებენ ერთ კვირას. ხუთშაბათს დებენ სამხედრო ფიცს და ლეგიონერის ტრადიციულ, კოკარდიან ბერეტს იხურავენ.

პარასკევს დილით კი ტულუზის ახლოს, პირინეის მთებში მდებარე სასწავლო ბანაკში მიემგზავრებიან...

## ყურადღება!

გვინდა მეტისმეტად მიამიტ მკითხველებს ვაუწყოთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 410-ე მუხლის მესამე პუნქტში წერია: „დაქირავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

ამავე მუხლში ნათლად არის გაშიფრული „დაქირავებულის“ ვინაობა: „დაქირავებულად ითვლება ის, ვინც არ არის შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე და მოქმედებს მატერიალური გასამრჯელოსთვის, მუდმივად არ ცხოვრობს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე. აგრეთვე ის, ვინც გაგზავნილი არაა ოფიციალური მოვალეობის შესასრულებლად. ასე რომ, თუ მოხალისე ლეგიონში სამსახურის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებას ვარაუდობს, შესაძლოა სერიოზულ პრობლემებს გადაეყაროს.

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 4. ცივი იარაღი; 5. სომხეთის დედაქალაქი; 6. ოფიცრის წოდება; 8. საბჭოთა საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე 60-70-იან წლებში; 11. პარტიის ნაწილი ჩოგბურთში; 13. ტანკის, გემის ან თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; 15. ამერიკელი პროფესიონალი მოკრივე; 16. საბჭოთა მწერალი, ჟურნალისტი მეორე მსოფლიო ომის დროს; 17. დედალი ფუტკრის თავდაცვის იარაღი; 20. სახელმწიფო აზიაში; 23. კონსტანტინე არსაკიძის მეტსახელი; 25. მსხვილი იმპერიალისტური კოლონიური სახელმწიფო; 27. ძველებური იალქნიანი გემი; 28. სპირტიანი სასმელი; 29. სამაგიდო თამაში.

**შვეულად:** 1. არათვითმავალი სამდინარო გემის კაპიტანი; 2. გემის საჭე; 3. სადამ ჰუსეინის მშობლიური ქალაქი; 6. ძველი სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი ალექსანდრე ...; 7. ჟირაფების ოჯახის იშვიათი ცხოველი; 9. ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 10 საეკლესიო წელთაღრიცხვის 15-წლიანი ერთეული ან რომელიმე წელი ამა თუ იმ მეფის ტახტზე ასვლიდან; 11. ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული დათვი; 12. იტალიის ფეხბურთის გუნდი; 14. ისრის წვერი; 18. აშშ-ის ავიაბაზა გრენლანდიაში; 19. ამერიკული ფილმი, სადაც სტალონე ცნობილ იტალიელ მოკრივეს განასახიერებს; 21. დიპლომატიური წერილი; 22. მტაცებელი ფრინველი; 24. ბრიტანული სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი; 26. ამერიკული ავიაბაზა იტალიაში; 27. ვაჭართა წოდებრივი თანრიგი ძველად.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* ***თარაზულად:*** 7. ხარება; 8. იტალია; 9. გალერა; 10. აფთარი; 11. ყირიმი; 12. ეკრანი; 16. პელე; 17. შარვალი; 18. აზია; 19. იანკი; 20. კრახი; 24. ფრიდონი; 27. მისია; 28. რაული; 31. მათარა; 32. ელიავა; 33. სინოდი; 34. ონაგრი; 35. ფიზიკა; 36. იდილია. ***შვეულად:*** 1. ბარამიძე; 2. ლესელიძე; 3. ნაგანი; 4. ბიწაძე; 5. ქანთარია; 6. მიგრანტი; 13. ბაგი; 14. ავანგარდი; 15. ელჩი; 20. კორა; 21. იენა; 22. დინამიტი; 23. პიკადორი; 25. კაპილარი; 26. ალავერდი; 29. რაპირა; 30. ტენორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საციტრინო ცხოველები

**ამ რუბრიკაში გვინდა მოკლედ იმ ძაღლებზე მოგითხროთ, რომლებსაც „არსენალის“ გვერდებზე ცალკე სტატია მანამ არ დაეთმობა, სანამ დიდი, ნორმალური ძაღლები არ გადაშენდებიან ქვეყნიერების ზურგიდან. ამით სულაც არ გვინდა, ქვემოთ მოყვანილი ჯიშების მფლობელები გავანაწყენოთ. ჩვენ, მაგალითად, სუპერმობილებზეც ვწერთ, მაგრამ არა გვგონია, „მოსკვიჩების“, „ვოლგებისა“ და „ჟიგულების“ პატრონებს ეს გულთან ახლოს მიჰქონდეთ...**

## პეკინესი

საუკუნეების მანძილზე იგი პეკინში ჩინეთის იმპერატორის კარზე, მის მშვენიერ ბაღებში ბინადრობდა. ამ პატარა მათხოჯის გამრავლების უფლება მხოლოდ იმპერატორს ჰქონდა. თუ ვინმე გაბედავდა უზენაესი მბრძანებლის ნების დარღვევას, სიკვდილით სჯიდნენ. ჩინეთში იმდენად დიდი იყო პეკინესის კულტი, რომ ერთ-ერთი მათგანი გარდასახულ ბუდად აღიარეს და სათანადო პატივს მიაგებდნენ კიდეც. პირველად ევროპაში, კონკრეტულად კი ინგლისში, ეს ჯიში 1896 წელს ჩაიყვანეს – სულ ხუთი ცალი. მაშინ იმპერატორის სასახლეზე თავდასხმა მოხდა, იმპერატორმა ძაღლების დახოცვა ბრძანა, რათა ეს განძი მტრებს არ ჩავარდნოდა ხელში. მაგრამ ევროპელებმა შეძლეს მათი გადარჩენა და სწორედ ამ ძაღლებმა დაუდეს დასაბამი პეკინესის ჯიშის გამრავლებას ევროპაში.

*ზომა: სიმაღლე 15-20 სმ, საშუალო წონა 4 კგ.*

*დადებითი: მხიარული, დამოუკიდებელი, ცხვირპაჭუა.*

*უარყოფითი: მუდმივად აწუხებს თვალის დაავადებები და ბუყბუყებს, როგორც პატარა დრაკონი.*

*ფასი: 100-300 დოლარი.*




## ჩიხუახუა

ამ ჩახვეული სახელის პატრონი მსოფლიოში ყველაზე პატარა ძაღლია. ძველი მექსიკური სამარხები სავსეა მათი ბარელიეფებით. ევროპაში ამ ჯიშის არსებობის შესახებ მაშინ შეიტყვეს, როდესაც მექსიკის პრეზიდენტმა, ცნობილ მომღერალს ანეგელინა პატის საჩუქრად მიართვა. ამ ერთი ციდა ძაღლის ტარება, ჯიბითაც შეიძლება. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ მე-20 საუკუნის 40-იანი წლების ერთ-ერთი პოპულარული ანსამბლის ხელმძღვანელი, ილლიაში ამოჩურთული ჩიხუახუათი დირიჟორობდა.

*ზომა: სიმაღლე 18-23 სმ. საშ. წონა 1 კგ-მდე*

*დადებითი: მგრძნობიარე, მორიდებული, სრულიად უწყინარი. ყველა მოთხოვნილებას კატასავით, სილიან ყუთში იკმაყოფილებს.*

*უარყოფითი: ჯიბეშიც კი შეიძლება დაიკარგოს და ასეთ შემთხვევაში მისი პოვნის იმედი ნუ გექნებათ.*

*ფასი: 200-500 დოლარი*

## ტოიტერიერი

ვირთხებზე მონადირე ძაღლების შთამომავალია. არსებობს როგორც სწორბეწვიანი (ინგლისური), ასევე მოკლებეწვიანი (მოსკოვური) ტოიტერიერი.

*ზომები: სიმაღლე 25-30 სმ. საშუალო წონა 3 კგ.*

*დადებითი: ხუმარა, მებრძოლი, საოცრად მამაცი, ხმოვანი და იოლად მოსავლელი.*

*უარყოფითი: უყვარს პატრონის ლოგინში ნებივრობა და ნებისმიერ კონკურენტს ბასრი კბილებით „უმასპინძლდება“.*

*ფასი: 200-400 დოლარი.*

## ქსოლოიტცკუინტლი

მექსიკური ქოსა ძაღლია. მისი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი სიქაჩლეა. ჩვენ თუ გვკითხავთ, ეს ყველაზე საწყალი ძაღლია ქვეყანაზე: ოფლიანობს როგორც ადამიანი, გათბობის გარეშე ბინაშიც კი იყინება, ზაფხულში თაკარა მზეზე კი მეორე ხარისხის დამწვრობის მიღებასაც ახერხებს. ამასთან ერთად, კბილების ნახევარი აკლია. მისი სხეულის ტემპერატურა $+41^0$-მდე აღწევს, როცა სხვა ძაღლების ტემპერატურა $+38,5^0$-ს არ აღემატება. ხანდახან ყეფს კიდეც, უფრო სწორედ, წკავწკავებს.

*ზომა: სიმაღლე 45-50 სმ. საშუალო წონა 14 კგ.*

*დადებითი: ვეგეტარიანელი, თავისუფლად ინაცვლებს ელექტროღუმელის ფუნქციას (ჩვენი პირობებისთვის ზედგამოჭრილია).*

*უარყოფითი: საშინლად გამოიყურება, მუდმივად გიჩნდება სურვილი, შეამოწმო, შემთხვევით ხომ არ მოკვდა.*

*ფასი: 500-1500 დოლარი.*

## მოპსი

გამოყვანილია ჩინეთში. ევროპაში პირველად 1688 წელს მოხვდა და მყისვე მაღალი წრის ქალების ყურადღება მიიპყრო. თავიანთი სილამაზის ხაზგასასმელად, ქალბატონები ამ შეუხედავ არსებას ხელჩანთასავით მუდამ თან დაატარებდნენ. მოპსებიც ინგლისური ნები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სყოფით ითმენენ ასეთ მოპყრობას და პოპულარობაც დღემდე შეუნარჩუნეს.

*ზომები:* სიმაღლე 25-30 სმ საშ. წონა 7 კგ.

*დადებითი:* კეთილი და იმდენად შეუხედავი, რომ უნებურ პატივისცემასაც იწვევს.

*უარყოფითი:* ხმამაღლა ხვრინავს.

*ფასი:* 100-250 დოლარი.

### იორკშირული ტერიერი

მისთვის ალბათ მხოლოდ მანიკიური და პედიკიური თუ არის უცხო, დანარჩენი კი... ეს ძაღლი მოითხოვს ყოველდღიურ დავარცხნას, ბეწვის დახვევას წინასწარ სპეციალური ზეთით გაჟღენთილი ბრინჯის ქაღალდის მეშვეობით. სხვადასხვა შამპუნსა და ბალზამში ბანაობას, ფენით გაშრობას... სამაგიეროდ, ასე მოვლილი ტერიერი მართლაც რომ მზეთუნახავია.

*ზომა:* სიმაღლე 20-23 სმ. საშ. წონა 3 კგ.

*დადებითი:* აქტიურია და, მიუხედავად ეროვნული დეკორატიულობისა, ხმამაღლა ყეფაც შეუძლია.

*უარყოფითი:* მისი მოვლა უფრო რთულია, ვიდრე სამი ახალშობილი ბავშვისა. თუ მისი აქსესუარების რაოდენობასაც გავითვალისწინებთ, სირთულეს სიძვირეც ემატება.

*ფასი:* 600-5000 დოლარი.

### მალტური ბალონკა (მაალტესი)

ერთ-ერთი უძველესი ჯიშია, რომელიც ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე წარმოიშვა. ჩვ.წ.აღ-ით I ს-ში რომის მბრძანებელს მაალტუს პუბლიუსს სწორედ ეს ძაღლი ჰყავდა, სახელად „ისა“, რომელიც ძალიან უყვარდა და ამაყობდა კიდეც მისით. ამავე საუკუნის მოღვაწემ მარკუს ვალერიუს მარტალმა, სადიდებელი სტროფებიც კი მიუძღვნა მბრძანებლის ძაღლს.

*ზომები:* სიმაღლე 20-25 სმ. საშ. წონა 3 კგ.

*დადებითი:* კეთილი, უყვარს ადამიანებთან ურთიერთობა და სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებს ამ თვისებებს.

*უარყოფითი:* თეთრია და სჭირდება ყოველდღიური მოვლა.

*ფასი:* 200-600 დოლარი.

### ტაქსა

გამოყვანილია გერმანიაში XVIII ს-ში, სოროებში სანადიროდ და მსოფლიოში ყველაზე ჭკვიან ძაღლად შეიძლება ჩაითვალოს. არ გაგიკვირდეთ, ის სრულყოფილი მონადირე ძაღლია და მიუხედავად თავისი მოკრძალებული ზომისა, საკმაოდ ძლიერი და მოხერხებულია, ვერ იტანს სკანდალებს, მასთან მხოლოდ მოლაპარაკებით თუ გახვალ ფონს.




*ზომები:* სიმაღლე 12-22 სმ. სტანდარტული 9 კგ. ჯუჯა – 5 კგ. ყველაზე პატარა კი – 3.5 კგ-ს იწონის.

*დადებითი:* სიცოცხლის მოყვარული, საზრიანია და ყველა ძაღლივით ცდილობს იყოს ადამიანი.

*უარყოფითი:* იოლად იქცევს მთელ ოჯახს თავისი გავლენის ქვეშ და არის ტირანი. არ უყვარს ბავშვები და მტკივნეულად იკბინება.

*ფასი:* 70-200 დოლარი – სტანდარტული, უფრო მცირე ზომის ტაქსები კი 300-600 დოლარი ღირს.

### იტალიური მწევარი

იგი ჯერ კიდევ ძვ. ეგვიპტეში გამოჰყავდათ. მისმა პოპულარობამ XVIII ს-ში მწვერვალს მიაღწია. მათ დიპლომატიური მიზნებისთვისაც კი იყენებდნენ: მონარქები ამ ძაღლს ერთმანეთს ყურადღებისა და კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ჩუქნიდნენ. სხვათა შორის, იგი ერთადერთი ძაღლია, რომელმაც რომის პაპის დაკბენა „მოახერხა“. ჰენრი მერვის ელჩი პაპს თავის ძაღლთან ერთად განქორწინების უფლების მისაღებად ეწვია და ხელზე სამთხვევად დაიხარა... ცუგამ იფიქრა, რომ პაპი თავს ესხმოდა მის პატრონს, არც აცია, არც აცხელა და პონტიფიკს მკლავში ჩააფრინდა.

*ზომა:* 32-38 სმ. საშ. წონა 5 კგ.

*დადებითი:* ამტანი, კეთილგანწყობილი, მამაცი.

*უარყოფითი:* მუდამ თრთის და იგდებს სახსრებს.

*ფასი:* 250-500 დოლარი.

### ტოიპუდელი

ჩვეულებრივი პუდელია, ოღონდ ძალიან პატარა.

ზომა: სიმაღლე 25-35 სმ. საშ. წონა 5 კგ.

დადებითი: მხიარული, კონტაქტური, სიხარულით მოარბენინებს ხოლმე ფლოსტებსა და ჟურნალებს.

უარყოფითი: ესაჭიროება მუდმივი მოვლა, რის გამოც წყალწაღებული პრანჭიას სახელი აქვს მოპოვებული.

### საბოლოო რჩევა

უმჯობესი იქნება, თუ ძაღლს კლუბის საშუალებით შეარჩევთ. ბაზრობაზე ძაღლის ყიდვისას დიდი სიფრთხილე გამოიჩინეთ. ახალი „მეგობარი“ შეძენისთანავე გაასინჯეთ ვეტერინარს და ბარემ თქვენც გაესინჯეთ ფსიქიატრს, რადგან წინ ბედნიერი დღეები გელით: ყეფა მთელი ღამის მანძილზე, გუბეები პარკეტსა და საწოლზე, სეირნობა ალიონზე და ბეწვი საყვარელ კერძებში... წარმატებებს გისურვებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ფორდის" ფირმიდან „მკვლევარი"




ამერიკული კომპანია „ფორდის" ნაწარმიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია **„Ford EXPLORER"**-ი, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იწარმოება. ეს მანქანა ამერიკაში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ყველგანმავლად არის აღიარებული. სწორედ ამ გიგანტით დადიან ძფბ-ს ჩინოვნიკები, მდიდარი დიასახლისები, ჰოლივუდის ვარსკვლავები, პოლიციის შერიფები და „სილიკონის დაბლობის" მაგნატები.





ეროვნული
ბიბლიოთეკა





Ford EXPLORER-ი კარგა ხანია დიდი მოწონებით სარგებლობს და მით უფრო გასაკვირია, რომ ფორდის მესვეურებმა 2002 წელს მისი აბსოლუტურად განახლებული ვარიანტი შექმნეს. საკვირველიო, იმიტომ ვთქვით, რომ ამერიკელებს, ზოგადად ერთი ახირება ახასიათებთ. თითქოს თანამედროვე და ტრადიციების არად ჩამგდები ხალხია, მაგრამ პირად ნივთებთან მიმართებაში უზომო კონსერვატიზმს იჩენენ. ამიტომ ფორდმა ნაკლები ყურადღება დაუთმო „მკვლევარის" გარეგნული სახის შეცვლას და აქცენტი მის მექანიკური ღირსებების გამრავლებაზე გააკეთა.

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად დიზაინერების შეზღუდვისა, მანქანა მაინც ძალიან ლამაზი გამოვიდა, ზომებით კი იმავე ფორდის VIP-ყველგანმავალს, EXPEDITIONS-ს დაემსგავსა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მექანიკურ თვისებებზე საუბარი ჯობია იმით დავიწყოთ, რომ თითქმის ორტონიან მონსტრს სპორტული ავტომობილის აჩქარება ახასიათებს. 8 ცილინდრიანი V-სებრი ძრავით აღჭურვილი „მკვლევარი“ 100 კმ\სთ-მდე 8.6 წამში ადის, ხოლო 6-ცილინდრიანი ძრავა ამას 11-იოდე წამს ანდომებს. თანამედროვე 5-საფეხურიანი ავტომატური სიჩქარეთა კოლოფი თანდათანობით მზარდ, ძლიერ აჩქარებას უზრუნველყოფს. მართალია, ამ მანქანაზე (სპეცშეკვეთის შემთხვევაში) გათვალისწინებულია მექანიკური კოლოფის დაყენებაც, თუმცა 2-ტონიანი გიგანტის შემთხვევაში ეს დაახლოებით იგივეა, რაც მარილიანი მაკარონის ნაზავით გაკეთებული ფენოვანი ხაჭაპური.

ჩვენს რუბრიკაში გამოქვეყნებული ყველგანმავლების უმეტესობისგან განსხვავებით, „ექსპლოერი“ უფრო საგზაო მანქანაა, ვიდრე ოღროჩოღრო ბილიკებზე სასიარულო, თუმცა მისთვის არც ამგვარი მიმართულებებია უცხო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, ფორდელებმა სპორტული პიკაპის გამოცდისას ერთი არასასიამოვნო სიურპრიზი აღმოაჩინეს: ტრასაზე, მაღალ სიჩქარეზე (70-80 კმ\სთ) მანევრირებისას ეს მანქანა შემთხვევების დაახლოებით 30 პროცენტში ყირავდებოდა. საბედნიეროდ, ჩვეულებრივ „მკვლევარს“ კოტრიალის მოყვარულს ვერ ვუწოდებთ.

რაც შეეხება კომფორტს, ეს ყველგანმავალი ამერიკული სტანდარტებით არის შექმნილი. ეს სტანდარტები კი იმას გულისხმობს, რომ შეიძლება უნაზესი ტყავის სავარძლის გათბობისა და პოზიციის სარეგულირო ღილაკის გვერდზე, იმავე სავარძლის საზურგის უხეში მექანიკური რეგულატორი აღმოაჩინოთ. ეს ევროპელებისთვის წარმოუდგენელი ბარბაროსობაა. მართლაც, კიდევ ერთი ღილაკი და პატარა ელექტროძრავი არ გააღარიბებდა ფორდელებს, მაგრამ...

„მკვლევარი“ იდეალურად ამართლებს თავის სახელწოდებას, როდესაც საქმე ჯიბეებზე, თაროებსა და ე.წ. „ბარდაჩოკებზე“ მიდგება. ისინი ისეთი რაოდენობითაა მიმობნეული სალონში, რომ შეიძლება იმის ჩაწერაც კი მოგიწიოთ, სად რა შეინახეთ...

**მართალია საკიდარი და საერთოდ, სავალი ნაწილი მშვენივრად ართმევს თავს დავალებებს, მაგრამ ამერიკაში ეს მანქანა ავტობანის მობინადრედ არის მიჩნეული**





**„მკვლევარი“ მშვენივრად გამოდგება ამერიკული უგზოობისთვის, ჩვენთან ასეთი პირუეტებისთვის, უბრალოდ, ადგილი არ ეყოფა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# USP

## უნივერსალური თვითდამტენი... სპეციალურად „ზღვის ლომებისთვის“

იგი უნიკალურა, – დარწმუნებით აცხადებენ ცნობილი საიარაღო ფირმის Heckler und Koch-ის წარმომადგენლები თავიანთი USP-ის – უნივერსალური თვითდამტენი პისტოლეტის შესახებ. თუმცა მათ არ იციოდნენ, რომ ერთ-ერთ USP-ს ჩარჩო გაუტყდა, როდესაც ერთ-ერთი თბილისური „გარჩევის“ დროს მისმა პატრონმა ვაზნების დახარჯვის შემდეგ თავად პისტოლეტი ჩაარტყა თავში „არაკეთილმოსურნეს“. მაგრამ რას იფიქრებდნენ გერმანელი იარაღის სპეციალისტები, რომ მათ ნაქებ USP-ის არაპირდაპირი დანიშნულებით გამოიყენებდნენ თბილისში.

ერთია მწარმოებელი ფირმის სარეკლამო განცხადებები და მეორე, როდესაც თავად გამოცდი. USP ხელში კარგად ზის, თუმცა ვისაც ხელის პატარა მტევანი აქვს, იგი არც ისე კომფორტულად იგრძნობს თავს USP-ს სროლისას.

ეს პისტოლეტი გამოირჩევა უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომებით – მისი გადატენვისას, როდესაც ვაზნა სავაზნე კოლო-

**ჩვენი დოსიე:** სტანდარტული USP-ს სავაზნე კოლოფში 9 მმ კალიბრის 15 ვაზნა ეტევა. პისტოლეტის სიგრძე 194 მმ-ია, სიმაღლე 136 მმ, ხოლო სიგანე კი 32 მმ. პისტოლეტის მასა 720 გრ-ს აღწევს.




**ჩვენი დოსიე:** გასული საუკუნის 90-იან წლებში Heckler und Koch-მა შექმნა უნივერსალური თვითდამტენი პისტოლეტის რამდენიმე მოდიფიკაცია, მათ შორისაა საბაზო 9X19PAR კალიბრის USP.45ACP ტიპის ვაზნაზე გათვლილი USP Tactical-ი, Compact-ი, Expert-ი და Match-ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფიდან ლულისკენ იგზავნება, ლია ჩახმახი შეყენებულ მდგომარეობაში რჩება და ამ დროს შეიძლება პისტოლეტი დამცველზე დააყენო ისე, რომ ჩახმახი შეყენებულ მდგომარეობაში დარჩეს და თანაც სატარებლადაც უსაფრთხოა.

საჭიროების შემთხვევაში ელვის უსწრაფესად შეიძლება USP-ს ამოღება ბუდიდან და დამცველის დაშვება, რის შემდეგაც პისტოლეტი უკვე გამზადებულია სასროლად. ასეთ დროს პისტოლეტის სასხლეტზე თითის გამოსაკრავად და სროლის განსახორციელებლად სულ 2.2 კგ ძალის დატანებაა საკმარისი, ხოლო თუკი ჩახმახი დაშვებულ მდგომარეობაში იქნებოდა და გასროლისას მისი ხელახლა შეყენება გახდება საჭირო, ამისთვის მსროლელს არანაკლებ 5.5 კგ ექვივალენტი ძალის დაკარგვა მოუწევს, რაც საკმაოდ მოქმედებს პირველი გასროლის სიზუსტეზე.

იმ USP-დან, რომელიც სტატიის ავტორმა გამოსცადა, 1998 წლიდან მოყოლებული, 45 ათასზე მეტი გასროლაა განხორციელებული, მაგრამ პისტოლეტის სასროლი მექანიზმი და, რაც არანაკლებ დაუჯერებელია — ლულის შიდა ღარები მშვენიერ მდგომარეობაში იმყოფება. ეს, პრინციპში, არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან USP იქმნებოდა სპეციალურად საარმიო მიზნებისთვის, კერძოდ კი პროფესიონალი სპეცრაზმელებისთვის.

თუკი USP-ს ტიპის პისტოლეტები, სახელწოდებით P8 შეიარაღებაში მიიღო გერმანიის ბუნდესვერმა, ხოლო მისი მეორე ვარიანტი P10 — გერმანელმა პოლიციელებმა, USP-ს ყველაზე მძლავრი მოდიფიკაცია USP.45 Tactical-ი ამერიკული „ზღვის ლომების“ არსენალში აღმოჩნდა. ჩვეულებრივი USP-სგან განსხვავებით, ამ უკანასკნელს უყენდება სპეციალური მაყუჩი, რომელიც გასროლის ხმას არანაკლებ 35 დეციბელით ამცირებს — ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზღვიდან მოულოდნელად, უჩუმრად გამოსულ ამერიკელ „ზღვის ლომებს“ სანაპირო დაცვის საარტილერიო ბატარეის პირადი შემადგენლობის განადგურება ისე შეუძლიათ, რომ კაციშვილი ვერაფერს გაიგებს.

თბილისში იარაღის ერთ-ერთ მაღაზიაში ახალი USP 3100 ლარი ღირს, მაგრამ მიუხედავად მაღალი ფასისა, თავისი კლიენტი მაინც ჰყავს. USP „ზიგ ზაუერის“ P-226-სა, „ბერეტასა“ და „გლოკთან“ ერთად ელიტურ პისტოლეტად ითვლება.

*ირაკლი ალადაშვილი*



*მადლობას ვუცხადებთ ცეცხლსასროლი იარაღის ტირ „დიანას“ პისტოლეტის გამოცდაში გაწეული დახმარებისთვის.*

# Heckler & Koch
# USP




არსენალი